# არსენალი

№4 (176) 15-28 თებერვალი, 2013 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი ფასი 2 ლარი

1425/2
2013



**ექსკლუზივი:**
**აგვისტოს ომის ყველაზე სკანდალური ნაალაფარი**

**თავდაცვის მინისტრის ორწლიანი „ხედვა“**

**რა მოსწერა ქართველმა მზვერავმა რუსეთის ციხიდან სააკაშვილს...**

ეროვნული ბიბლიოთეკა














სკალპის აღების რიტუალი 46

ატომური ჭურვები არტილერიისთვის 49

გოლიათების დაბრუნება 23

ბათუმში აგებული საპატრულო „გრიფები“ 19

ხაკისფერი ლითონის ცხენები 34

გაზრდილკალიბრიანი და მოდერნიზებული „ნეგევი“ 52

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 სამხედრო სიახლეები

**არმია**

7 თავდაცვის მინისტრის ორწლიანი „ხედვა“

**სამხედრო სამსახური**

9 ჯარში ნებაყოფლობით და გაწვევით...

**სამხედრო წარმოება**

11 ერთი დღე „თბილავიამშენში“ — იქ, სადაც ქართული სამხედრო ტექნიკა იბადება

**სპეცსამსახურები**

13 ქართველ მზვერავს დახმარება სჭირდება!

**ექსკლუზივი**

17 აგვისტოს ომის ყველაზე სკანდალური ნაალაფარი

**ფლოტი**

19 ბათუმში აგებული საპატრულო „გრიფები“

**გახსენება**

22 დაგვიანებული პატივი...

**ინოვაციური ტექნოლოგიები**

23 გოლიათების დაბრუნება

**რეგიონი**

26 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა

**მეომრები**

30 500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

**საბრძოლო მანქანები**

34 ხაკისფერი ლითონის ცხენები

**წარსულის ფურცლები**

38 უკრაინელი მოხალისის ჩანაწერები: საქართველოს 93-ის ცხელი შემოდგომა

**ორი სტიქიის მბრძანებლები**

41 საგემბანო ავიაცია

**100 დიდი მხედართმთავარი**

44 ლორდი ჰოვარდ ეფინგემელი

**ტრადიციები**

46 სკალპის აღების რიტუალი

**სამხედრო ისტორიები**

49 ატომური ჭურვები არტილერიისთვის

**იარაღის გალერეა**

52 გაზრდილკალიბრიანი და მოდერნიზებული „ნეგევი“


პალიტრა მედია

## რედაქციისგან

სამხედრო მოსამსახურეს განსაკუთრებულად აქვს გამლიერებული ღირსების გრძნობა და თითოეული ჯარისკაცისთვის, კაპრალისთვის, სერჟანტისთვის თუ ოფიცრისთვის სულერთი ნამდვილად არ არის, თუ როგორ აკრიტიკებენ ან იხსენებიენ ესა თუ ის პოლიტიკური ფიგურები შეიარაღებულ ძალებს, თავდაცვის სამინისტროსა და მათ ხელმძღვანელ პირებს.

ზოგიერთი პოლიტიკოსის ბოლოდროინდელ გამონათქვამებს მხოლოდ უარყოფითი შეფასება შეიძლება მიეცეს, რადგან ამით დარტყმა არა რომელიმე თანამდებობის პირს, არამედ მთლიანად ქართულ არმიას მიაყენეს.

აბსოლუტურად დაუშვებელია პოლიტიკური თამაშები ქართული არმიის გარშემო, ვისგანაც უნდა მოდიოდეს ის.


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი



ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
11.02.2013

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ

## „მაგარი ბიჭების“ კონკურსი



იანვრის ბოლოს პერტონში, ინგლისის ცენტრალურ რეგიონში, მთელი ქვეყნიდან შეიკრიბნენ მაგარი ბიჭები. დიახ, ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელსაც სახელიც შესაფერისი აქვს — Tough Guy (მაგარი ბიჭი), მართლა ძალიან ძლიერი და ამტანი უნდა იყო, რომ დასაცინი არ გახდე.

რაც შეეხება შეჯიბრებას, რბოლაში არა მხოლოდ ინგლისელები, უცხოელებიც ცდიან ბედს და ტალახში, კლდეებზე, მღვიმეებში, მავთულხლართებში, ცეცხლსა და კიდევ ათას უბედურებაში ცდილობენ გაღწევას, რათა ფინიშთან პირველი მივიდნენ.

ასეთ საინტერესო ასპარეზობას არც მაყურებელი აკლია ხოლმე. თავის მხრივ, უქმად არც „მაგარი ბიჭების“ გულშემატკივრები არიან, რომლებიც რბოლის პარალელურად საქველმოქმედო მიზნით შემოწირულობას აგროვებენ.

## „უფალო, დალოცე ეს იარაღი“



ბელორუსში ტრადიცია აქვთ — ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ახალწვეულებისთვის პირველი იარაღის გადაცემას საგანგებო ცერემონიალი ეძღვნება. ამ პომპეზური ღონისძიების შემადგენელი ნაწილი კი ავტომატების კურთხევაცაა, რასაც ბელორუსის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახური ასრულებს ხოლმე. ავტომატების კურთხევის წლევანდელ ცერემონიალში ბელორუსის არმიის 320 ჯარისკაცი მონაწილეობდა, რომლებმაც ფიცი ერთი თვის წინ დადეს.

## სამსახურში აყვანამდე ძაღლებს ტვინის ტომოგრაფიას ჩაუტარებენ

მიუხედავად ასაფეთქებელი მასალისა და ნარკოტიკების აღმოსაჩენ ტექნოლოგიათა სფეროში მიღწეული პროგრესისა, ძიებისა და ჩხრეკისთვის ძაღლი დღემდე რჩება ერთ-ერთ საიმედო საშუალებად. თუმცა საბრძოლო მოქმედებებმა ერაყსა და ავღანეთში, ასევე სპეცოპერაციებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ოთხფეხა მეგობრებზე მოთხოვნა ერთი-ორად გაზარდა.

ერთი სიტყვით, დღეს მსოფლიოში სამსახურებრივი ძაღლების დეფიციტია, თანაც, ცხოველის გაწვრთნა საკმაოდ სოლიდურ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული — საშუალოდ 20 ათასი დოლარი თითო ძაღლზე.

სააგენტო DARPA სამსახურებრივი ძაღლების შერჩევას ტვინის სკანირების გამოყენებით გეგმავს. ახალი პროგრამა სახელწოდებით FIDOS-ი მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის გამოყენებასა და მიზნად „იდეალური სამსახურებრივი ძაღლის შერჩევის ოპტიმიზაციას“ ითვალისწინებს. სხვა სიტყვებით, პროგრამა ძაღლების ტვინის სკანირებას ახდენს, რათა სამხედროებმა „ოთხფეხა მეგობრებს“ შორის გასაწვრთნელად პერსპექტიული კანდიდატურები გამოავლინონ. ამასთან, პროგრამა სასწავლო პროცესის რეალურ დროში ოპტიმიზაციის საშუალებას იძლევა. შედეგად, ძაღლი უფრო სწრაფად ეუფლება საჭირო უნარ-ჩვევებს და პროცესიც გაცილებით იაფი ჯდება.



## უხმაურო და 50 წელი საწვავის გარეშე

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალები ინოვაციურ ძალისმიერ აგრეგატს ქმნის, რომელსაც მომავლის ატომურ რაკეტმზიდებზე გამოიყენებს. ახალი ბირთვული ენერგოდანადგარი პრაქტიკულად უხმაურო იქნება და 50 წელი საწვავის შევსების გარეშე იმუშავებს.

სრულიად ახალი ბირთვული ძალისმიერი აგრეგატის მქონე წყალქვეშა ნავი „ოჰაიოს“ კლასის წყალქვეშა რაკეტმზიდებს ჩაანაცვლებს და მას მექანიკური ტრანსმისია არ ექნება, რაც ძრავას უხმაუროს გახდის. ამ დროისთვის აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალები 24 ბალისტიკური რაკეტით აღჭურვილ 14 წყალქვეშა ნავ „ოჰაიოს“ ითვლის და კიდევ 4 ფრთოსანი რაკეტების მზიდებად არის გადაკეთებული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირანმა გამანადგურებელი წარმოადგინა



ირანმა ისლამური რევოლუციის დღეს გამართულ საზეიმო ცერემონიალზე სამამულო წარმოების გამანადგურებელ-ბომბდამშენი წარმოადგინა. თვითმფრინავმა სახელად Qaher 313 მიიღო, რაც სპარსულად დამპყრობს ნიშნავს.

ამ ღირსშესანიშნავ ამბავს, რა თქმა უნდა, თავად ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადიც დაესწრო, რომელმაც თანამემამულეთა წინაშე სიტყვით გამოსვლისას სიამაყით აღნიშნა, რომ გამანადგურებელი, რომლის მახასიათებლებს ამერიკული F/A-18 Hornet-ისას ამსგავსებენ, ირანელმა სპეციალისტებმა შექმნეს.

ერთადგილიან Qaher 313-ში ნაკლებად შემჩნევადობის ტექნოლოგიებია გამოყენებული და დაბალ სიმაღლეზე ფრენა შეუძლია. რაც შეეხება სხვა მახასიათებლებს, ჯერჯერობით, ირანელები მათ არ ახმაურებენ.

საერთაშორისო ექსპერტებს კი მიაჩნიათ, რომ ირანელთა გამანადგურებელი მხოლოდ მაკეტია და ფრენას ვერ შეძლებს

# F-22-ის პილოტი დამიზნებას თავისა და თვალების მოძრაობით შეძლებს

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა გამანადგურებელ **F-22 Raptor**-ის დამიზნების ახალი სისტემით აღჭურვას გეგმავს, რომელიც პილოტის ჩაფხუტში იქნება ინტეგრირებული. ახალი სისტემის მთელი არსი ის არის, რომ გამანადგურებლის პილოტები მიზანში ამოღებასა და მისკენ „ჰაერი-ჰაერის" ტიპის რაკეტა AIM-9X Sidewinder Block II-ის წარმართვას თავისა და თვალების მოძრაობით შეძლებენ.

როდის აღიჭურვება F-22 Raptor-ი ახალი სისტემით, ჯერ უცნობია. ამ დროისთვის კი აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში ამ ტიპის 185 გამანადგურებელია. რამდენიმე ხნის წინ გავრცელდა ცნობა, რომ ამერიკელები უახლოეს რამდენიმე წელიწადში Raptor-ის ახალი რადიოელექტრონიკით აღჭურვასა და შეიარაღების ნომენკლატურის გაფართოებაზე სულ ცოტა 16 მლრდ დოლარის დახარჯვას აპირებენ.



# პუტინი მკვდრეთით აღმდგარ „ჩაიკაში" გადაჯდება?

ჯგუფი „გაზ"-ი პროექტ „კორტეჟით" „ჩაიკას" მარკის საპრეზიდენტო ლიმუზინების წარმოების აღდგენას აპირებს. ადგილობრივ პრესაში გავრცელებული ცნობით, რუსი ინჟინრები ავტომობილების ლიმუზინ Mercedes-Benz S 600 W221 Pullman Guard-ის პლატფორმაზე აწყობას იმედოვნებენ.

რუსეთს გერმანული ავტოგიგანტის ეს მოდელი შემთხვევით არ აურჩევიათ, – სწორედ ამ მანქანით დაბრძანდება ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი.

სხვათა შორის, სწორედ პუტინმა მოუწოდა ცოტა ხნის წინ რუს ჩინოვნიკებს, უარი თქვან Mercedes-სა და BMW-ზე და არჩევანი სამამულო წარმოების ავტომობილების სასარგებლოდ გააკეთონ. პასუხად, ვიცე-პრემიერმა დმიტრი როგოზინმა უმალვე ყველას გასაგონად თქვა, სამსახურებრივ ლიმუზინზე უარს ვამბობ და აწი თუ რუსულ სამოქალაქო ჯავშანმანქანა ГАЗ-2330 Тигр-ზე მიხილავთ, ნუ გაგიკვირდებათო.



საქართველოს პარლამენტის



არმიის დანაყოფების მობილურობის განავითარებლად მათი სწრაფად გადასროლის გაუმჯობესება იქნება საჭირო

გმული ნაბიჯია წოდებრივი სარგოების სისტემაზე გადასასვლელად. ამასთან, გაუქმდება სპეციალური „სახელფასო დანამატების“ მანკიერი სისტემა, რადგან ყოველთვიურად „სახელფასო დანამატს“, როგორც წესი, თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობის ერთი და იგივე პრივილიგებული ფენა იღებდა. სამოქალაქო ოფისის თანამშრომელთა სარგოების გაზრდა არანაკლებ 20%-ით იგეგმება.

„მინისტრის ხედვის“ დოკუმენტის თანახმად, შეიარაღებული ძალების განვითარების ძირითადი პრიორიტეტები 2013-14 წლებში იქნება: სამანევრო, საცეცხლე მხარდაჭერის, სადაზვერვო, მართვისა და კონტროლის, მობილურობა-კონტრმობილურობის, საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება და ლოგისტიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

საბრძოლო მომზადების გაძლიერების მიზნით შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბში იქმნება საბრძოლო მზადყოფნის მონიტორინგის სამმართველო.

საბრძოლო მომზადების ძირითად პრიორიტეტებად უახლოეს ორ წელიწადში მიჩნეულია: ამოცანაზე ორიენტირებული სწავლებების გამართვა; საბრძოლო მომზადების საომარ პირობებთან მაქსიმალურად მიახლოება; ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება; შტაბების მომზადების დონის გაუმჯობესება და სამხედრო სწავლებებში სხვა უწყებების (პირველ რიგში კი შსს-ს გასამხედროებული დანაყოფების, როგორც „მინისტრის ხედვის“ დოკუმენტის პრეზენტაციის დროს ირაკლი ალასანიამ განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი) ჩართვა, უწყებათშორისო კოორდინაციის გასაძლიერებლად.

თავდაცვის მინისტრმა ალასანიამ განაცხადა, რომ პროფესიული შეიარაღებულ ძალებზე გადასვლის ხელშეწყობისთვის პირველ ეტაპზე [illegible] სამხედრო სამსახურის [illegible]-დან 12 თვემდე შემცირება იგეგმება, თუმცა არ დაუზუსტებია სამსახურის სამთვიანი ვადით მოკლება შეეხება თუ არა იმ წვევამდელებს, რომელთა გაწვევა ახლა, საგაზაფხულო ეტაპზე დაიწყო.

NATO-ში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება უახლოეს ორ წელიწადშიც, ისევე როგორც ავღანეთში ISAF-ის ოპერაციაში მონაწილეობის გაგრძელება.

„მინისტრის ხედვაში“ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თავდაცვის უწყების გამჭვირვალობასა და შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის დაწესებას. ანუ საუბარია იმაზე, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში თავდაცვის უწყებაში ფაქტობრივად აღარ არსებობდა (განსაკუთრებით ირაკლი ოქრუაშვილისა და ბაჩო ახალაიას პერიოდში. დავით სიხარულიძის მინისტრობის დროს კი, პირიქით, სამხედრო უწყება ცოტა ხნით უფრო გახსნილი და ცივილიზებული გახდა).

თავდაცვის უწყებაში ირაკლი ალასანიას გუნდის მოსვლისთანავე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დამოკიდებულება არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დამოუკიდებელ მასმედიასთან, რაც უცილობლად მისასალმებელია და ვიმედოვნებთ, რომ „მინისტრის ხედვა“ ამ მხრივ არც უახლოეს ორ წელიწადში შეიცვლება.

**ირაკლი ალადაშვილი**



„მინისტრის ხედვა“ ითვალისწინებს საბრძოლო მომზადების საომარ პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებას

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯარში ნებაყოფლობით და გაწვევით...

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მიღებას იწყებს. ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია თავდაცვის უწყებამ 4 თებერვალს დაიწყო. ინფორმაცია საკონტრაქტო სამსახურისთვის კანდიდატების შერჩევის პროცესის შესახებ მედიას თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, თამარ ქაროსანიძემ გააცნო. მინისტრის მოადგილის თქმით, სამინისტროს ადმინისტრაციის საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლები და სამხედრო მოსამსახურეები მთელი საქართველოს მასშტაბით მოსახლეობას საკონტრაქტო სამსახურის პირობებს გააცნობენ და საინფორმაციო ბუკლეტებსა და ბიულეტენებს დაურიგებენ.

„ჩვენი წარმომადგენლები ყველა რეგიონში მიაწვდიან დეტალურ ინფორმაციას დაინტერესებულ პირებს. მინდა წინასწარ დიდი მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც გადაწყვეტს და შემოუერთდება შეიარაღებულ ძალებს. მე კი შემიძლია გავცე დაპირება, რომ ყველა ის ცვლილება, რაც გატარდება თავდაცვის სამინისტროში, არის იმისკენ მიმართული, რომ გაუმჯობესდეს სამხედრო ბაზებში არსებული პირობები და თითოეულმა სამხედრო მოსამსახურემ იგრძნოს, რომ მის მიმართ არის განსაკუთრებული დამოკიდებულება“, — ამბობს თამარ ქაროსანიძე.

მაღალი ანაზღაურება — 700 ლარი; 20-30%-იანი ზრდის პერსპექტივით; სამხედრო მოსამსახურისა და მისი ოჯახის სოციალური და სამართლებრივი დაცვა; მაღალი დონის უფასო სამედიცინო მომსახურება; გაუმჯობესებული სადაზღვევო პაკეტი; განათლება და პროფესიული ცოდნის ამაღლება; საერთაშორისო პროგრამებში და უცხოეთში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა; თანამედროვე აღჭურვილობა; და სრულფასოვანი კვება — ეს ის პირობებია, რომელთაც სამინისტრო საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მიღების შემთხვევაში ჯარისკაცებს ჰპირდება.

თუმცა, მანამდე ჯარისკაცობის მსურველებმა სპეციალური მომზადება უნდა გაიარონ და რეკრუტები გახდნენ. რეკრუტების მომზადება საქართველოში ამ ეტაპზე ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისსა“ და ქუთაისში მე-3 ქვეითი ბრიგადის ბაზაშია შესაძლებელი. ამავე ბაზებში მიმდინარეობს საბუთების მიღებაც.

თუ როგორ ხდება რეკრუტების გაწვრთნა, მომზადება და რა პირობებში იცხოვრებენ ისინი, ამის შესახებ მასმედიის წარმომადგენლებს ინფორმაცია ეროვნული სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ლევან ბერიამ მიაწოდა. მან სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე ჟურნალისტებს მეგზურობა გაუწია და რეკრუტების მიღების პროცესი გააცნო.

ჟურნალისტებმა სასწავლო ცენტრში სასწავლო აუდიტორია, სიმულაციების ცენტრი და ყაზარმები დაათვალიერეს. სასწავლო ცენტრში სამი სკოლაა: საარტილერიო, კავშირისა და ჰაერსაწინააღმდეგო-ტანკსაწინააღმდეგო. სწავლების პერიოდში სამხედროები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული ყველა საარტილერიო ტექნიკის ექსპლუატაციას შეისწავლიან.

„სასწავლო ცენტრში რეკრუტები გაივლიან ძირითად სამხედრო მომზადების კურსს, რომელიც 12 კვირას მოიცავს — 9 კვირა ინდივიდუალურ, 3 კი სპეციალიზებულ მომზადებას დაეთმობა.

სამკვირიანი კურსი — ტანკსაწინააღმდეგო ხელის ყუმბარმტყორცნელების, ავტომატური დაზგიანი ყუმბარმტყორცნელების გათვლების ნომრების, მეტყვიამფრქვევებისა და ავტომატის ლულისქვეშა ყუმბარმტყორცნელების მომზადებას მოიცავს.

„ცხრა კვირის განმავლობაში რეკრუტი იმ დონეზე დაეუფლება სროლას, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ჯარისკაცი, როგორც ერთეული მებრძოლი“, – ამბობს ვიცე-პოლკოვნიკი.

იმისათვის, რომ გახდეს რეკრუტი, მოქალაქე ფიზიკურ ტესტს, ნორმატივს აბარებს და სამხედრო-სამედიცინო შემოწმებას გადის. ორივე ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ რეკრუტი ირიცხება საწყისი საბრძოლო მომზადების 9-კვირიან კურსზე (BCT – Bazic Combat Training). სპეციალურ პროგრამაზე ჩარიცხვის დღიდან ის უზრუნველყოფილია კვებით, სამხედრო ფორმით, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებითა და ყაზარმაში განთავსებით.

საწყისი საბრძოლო მომზადების სპეციალურ კურსზე რეკრუტი ელემენტარულ სამხედრო უნარ-ჩვევებს ეუფლება და მომზადებას გადის სამხედრო დისციპლინებში — ტაქტიკური მომზადება, საინჟინრო მომზადება, მასობრივი დაზიანების იარაღისგან დაცვა, ზოგადი საკითხები, ფიზიკური მომზადება, სამედიცინო მომზადება საერთო-საჯარისო წესდებები, სამხედრო კანონები, სამწყობრო მომზადება, კავშირის საშუალებები, საცეცხლე მომზადება, სამხედრო ტოპოგრაფია.

სასწავლო პროგრამა ასევე სამწყობრო საერთო-საჯარისო, სახელმწიფოებრივ, სამედიცინო, ტოპოგრაფიულ, მეკავშირის, საცეცხლე და ტაქტიკურ სწავლებებს მოიცავს. ყველაზე დიდი დრო საცეცხლე და ტაქტიკურ მომზადებას დაეთმობა. სრული კურსის დასასრულს რეკრუტი პროფესიონალ ქვეით მსროლელად ყალიბდება. სპეციალობების მიხედვით გადამზადება ზემდგომი ბრძანების საფუძველზე ხორციელდება და მომავალი ყუმბარამტყორცნებლების, მეტყვიამრქვევებისა და სხვა სპეციალისტების გაწვრთნას გულისხმობს.

რეკრუტებს სწავლების პერიოდში ტერიტორიის დატოვება ეკრძალებათ, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. ახლობლებთან შეხვედრის შესაძლებლობა მომავალ ჯარისკაცებს პირველი ოთხი კვირის შემდეგ, ბაზასთან ახლოს ეძლევათ, მობილურით სარგებლობის უფლებაც ასევე განსაზღვრულ დროსა და ადგილას ექნებათ.

როგორც ვიცე-პოლკოვნიკი ბერია აღნიშნავს, საწყისი საბრძოლო მომზადების გავლა არც ისე მარტივია. ყველაზე რთული სწავლების პირველი კვირაა, თუმცა რეკრუტები ჯარისკაცისთვის აუცილებელ თვისებებს მალევე იძენენ. მიუხედავად სირთულისა, მსურველი საკმაოდ ბევრია. 21 იანვრიდან 4 თებერვლამდე საბუთები 700-ზე მეტმა მოქალაქემ შეიტანა. საბუთების მიღება კი 28 თებერვლამდე გაგრძელდება. ბერიას თქმით, სასწავლო ცენტრ „კრწანისს" 1100 სამხედრო მოსამსახურის მომზადების რესურსი აქვს.

„რეკრუტთა მომზადების პროგრამა დაიხვეწა და გარკვეულწილად შეიცვალა. აქ მოსულ მოქალაქეებს კვალიფიციური სამხედრო ინსტრუქტორები დახვდებიან. რეკრუტებმა თავი გარიყულად არ უნდა იგრძნონ, ამიტომ ჩვენ მუდამ გვერდში ვუდგავართ. როდესაც სამოქალაქო ცხოვრებიდან ადამიანი ჯარში ხვდება, მისი დაშინება არ უნდა მოხდეს. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ რეკრუტებმა თავი ისე იგრძნონ როგორც საკუთარ ოჯახში", — აღნიშნავს ბერია.

სწავლებისას ერთ-ერთი მთავარი როლი სიმულაციურ ცენტრსაც ენიჭება. ესაა კარგად აღჭურვილი ცენტრი, სადაც სამხედროებს სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღით პირობითი მოწინააღმდეგის განადგურება შეუძლიათ. ცენტრში არსებულ ცეცხლსასროლ იარაღებზე ლაზერული მოწყობილობებია დამონტაჟებული. როდესაც მსროლელი ცეცხლს ეკრანის მიმართულებით გახსნის, ლაზერის საშუალებით ფიქსირდება, თუ როგორ განადგურდა მტერი.

რეკრუტების პროგრამაში ჩართვა 18-დან-35 წლამდე მოქალაქეებს შეუძლიათ. საწყისი საბრძოლო მომზადება მარტში დაიწყება. კურსის დასრულების შემდეგ, სამხედრო მოსამსახურეებთან 4-წლიანი კონტრაქტი გაფორმდება და ისინი საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფში განაწილდებიან.

P.S. ორი სიტყვით სამხედრო სავალდებულო გაწვევაზეც.

თავდაცვის მინისტრის მიერ უკვე დეკლარირებულია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ეტაპობრივად საკონტრაქტო სამსახურზე უნდა გადავიდეს. ეს გადაწყვეტილება აისახა პრეზიდენტის ბრძანებულებაშიც, რომელიც მან 31 იანვარს გამოსცა და რომლის საფუძველზეც სავალდებულო სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა დაიწყო.

ბრძანებულების მიხედვით, მოქალაქეთა გაწვევა 2013 წლის 1-ლი თებერვლიდან 2013 წლის 30 ივნისამდე უნდა გაგრძელდეს. წვევამდელთა რაოდენობა წელს მნიშვნელოვნად მცირდება და 1650-მდე ახალგაზრდას შეეხება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ გასამხედროებულ დანაყოფებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 670 წვევამდელით განისაზღვრა, გასულ წელს ამავე უწყებაში 1300 მოქალაქე გაიწვიეს.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარე დაცვისა და სპეციალური დაცვის სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 365 წვევამდელით განისაზღვრა, რაც წინა წელთან შედარებით 285-ით ნაკლებია.

თავდაცვის სამინისტრო 600 წვევამდელს მიიღებს. გასული წლის საგაზაფხულო გაწვევა 2397 ახალგაზრდას შეეხო.

გაწვევას კოორდინაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უწევს. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას 18-დან-27 წლამდე ასაკის მოქალაქეები ექვემდებარებიან, რომლებიც სამხედრო აღრიცხვაზე არიან და არ აქვთ გადავადების ან გათავისუფლების უფლება. უწყების მიღების შემდეგ, წვევამდელები მითითებულ ვადაში უნდა გამოცხადდნენ შესაბამის გამწვევ კომისიებში. გამოუცხადებლობა სამხედრო სამსახურიდან თავის არიდების მიზნით გამოიწვევს დაჯარიმებას 1.000 ლარის ოდენობით.

როგორც მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების სამსახურის უფროსი გოჩა ხარშილაძე ამბობს, წვევამდელთა ჩარიცხვა 15 თებერვლიდან დაიწყება. ამჟამად კი მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები და წვევამდელთა სამედიცინო შემოწმება. საგაზაფხულო გაწვევა წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში მიმდინარეობს, სადაც მათ სამედიცინო გამოკვლევებიც უტარდებათ და დოკუმენტაციის სრულად მოსაგვარებლად რამდენიმე ადგილას მისვლა აღარ სჭირდებათ.

**ნათია ლეჟავაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



**ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უმოკლეს ვადაში უამრავი სიახლე დაიგეგმა. აქედან ზოგი მათგანი უკვე დანერგილია, ზოგის თაობაზე კი დისკუსია მიმდინარეობს. დიდი საზოგადოებრივი ინტერესით სარგებლობდა თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში მყოფი სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა" და მის დაქვემდებარებაში გადასული „თბილავიამშენი", რომელთა შესახებ ბოლო დროს უამრავი ურთიერთგამომრიცხავი ვერსია გავრცელდა. „არსენალი" „თბილავიამშენის" გენერალურ დირექტორს შოთა ქვარაცხელიას ესტუმრა და საწარმოს პირველი პირისგან სამომავლო გეგმები და პრიორიტეტები მოისმინა.**

# ერთი დღე „თბილავიამშენში" — იქ, სადაც ქართული სამხედრო ტექნიკა იბადება

**— ბატონო შოთა, გვინდა მკითხველთან წარგადგინოთ. სად მუშაობდით „თბილავიამშენში" მოსვლამდე?**

— 2007 წელს დავამთავრე ISM (ევროპული მართვის სკოლა), რის შემდეგაც დავიწყე მუშაობა საკონსულტაციო კომპანია „ჯიემსიჯიში" (ამჟამად INOVO), შემდეგ დაახლოებით ორი წელი მარკეტინგული კვლევებისა და კონსულტაციის კომპანია „ეისითიში" ფინანსური მიმართულებით ვიმუშავე. ამის მერე ერთხანს ელექტრონული ტექნოლოგიების ბიზნესით ვიყავი დაკავებული, სადაც კარგი შედეგიც მქონდა. თუმცა, ერთხელაც თავდაცვის სამინისტროდან დამირეკეს და ამ კომპანიაში გადმოსვლა შემომთავაზეს. აქვე გეტყვით, რომ რამდენიმე წიგნი მაქვს მომზადებული, მაგრამ სამსახურის მუდმივი ცვალებადობის გამო, ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანა მიწევს.

**— სამხედრო სფეროთი ადრეც იყავით დაინტერესებული?**

— დიახ, ნახევრად იუმორით გეტყვით, რომ ბავშვობიდან ვაწყობდი სამხედრო თვითმფრინავების მოდელებს და დღემდე ვარ კოლექციონერი. წლებია გატაცებული ვარ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნის მიერ წარმოებული სამხედრო ტექნიკისა და ავიაციის მოდელების შეგროვებით. დღემდე ინახება ჩემს სკოლაში ჩემი აწყობილი თვითმფრინავი. სამხედრო ტექნიკა ყოველთვის მაინტერესებდა და რაც თავი მახსოვს, ვკითხულობ ჟურნალ „არსენალს"...

**— ბატონო შოთა, გადავიდეთ საწარმო „თბილავიამშენზე". რა ცვლილებას გეგმავთ და საერთოდ, როგორია თქვენი ხედვა საწარმოს განვითარების მიმართულებით?**

— სანამ უშუალოდ ცვლილებებსა და ჩვენს ხედვაზე გადავიდოდე, მეც გავაკეთებ პატარა შესავალს, — მიგვაჩნია, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაცია საჭიროც არის და აუცილებელიც. ყურადღებით ვაკვირდებით საზოგადოების, ენთუზიასტების ჯგუფის ინტერესს და გვინდა მათ ადეკვატური ინფორმაცია მივაწოდოთ, გამჭვირვალობა იყოს. რაც მთავარია, საზოგადოებას სწორი ინფორმაცია ჰქონდეს და იმას არ ფიქრობდეს, რომ საჩვენებლად ან ალლუმიდან ალლუმამდე ვმუშაობთ, ამაში თავად დარწმუნდებით, როდესაც ქარხანას დავათვალიერებთ. ის პროექტები, რომელიც აღებული გვაქვს, დასასრულებელია და იმ პროდუქტის სახე უნდა მივცეთ, რისთვისაც ვმუშაობთ. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია საქართველოს მოთხოვნებზე გათვლილი სტრუქტურა ჩამოვაყალიბოთ, მოლაპარაკება მიმდინარეობს უცხოელ პარტნიორებთანაც. ჩვენ რომ მოვედით, თურქმენეთთან კავშირი გაწყვეტილი იყო. ეს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ მოხდა. ამაზე ვმუშაობთ და ვიმედოვნებთ, კავშირის აღდგენა შესაძლებელია. მომავალი გვიჩვენებს, რა იქნება, ჯერ სულ სამი თვეა, რაც მოვედით და ძალიან ბევრი რამ არის დასალაგებელი.

**— წინა ხელმძღვანელობასთან, თავდაცვის მაშინდელ მინისტრსა და მის კადრთან რევაზ ჭარბაძესთან გაქვთ კითხვები?**

— დიახ, მაგრამ ამას თავდაცვის გენერალური ინსპექცია შეისწავლის, როგორც სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში", ისე „თბილავიამშენში".

რაც მთავარია, ქარხნის თანამშრომლები გუნდებად დაყოფილი არ ყოფილან. აქ მუშაობენ პროფესიონალი კადრები და ყველა მათგანი ქარხნისთვის მნიშვნელოვანია, რადგან მასზეა დამოკიდებული ჩვენი წარმატებული მუშაობა. ეს ეხება, როგორც სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას", ისე „თბილავიამშენს".

**— რა არის თქვენი მუშაობის პრიორიტეტი, ქარხნის ხელმძღვანელობის ხედვა?**

— ჩვენი პრიორიტეტია იმ სუსტი წერტილების გაძლიერება, რომელიც ქვეყანაში სხვადასხვა მიმართულებით არსებობს. მაგალითად, თუ მექანიკაში ძლიერი ვართ, ელექტრონიკაში ცოტათი მოვიკოჭლებთ და ამ სფეროში, უცხოელი პარტნიორების დახმარებით გავდიოდით ფონს. რა თქმა უნდა, საწყის ეტაპზე უცხოელ პარტნიორებთან გავაგრძელებთ თანამშრომლობას, მაგრამ შემდგომში სურვილი გვაქვს ეს სფერო წინ წავწიოთ და თანდათან ავითვისოთ. იმავდროულად, გაგრძელდება ის მიმართულებები, რომლებიც ბოლო წლებში პრიორიტეტული იყო, — ჯავშანტექნიკა, უპილოტო, საარტილერიო და ისეთ სახეს მიიღებს, როგორც XXI საუკუნის საბრძოლო ტექნიკას შეესაბამება. შიდა საუბრები გვაქვს ავიაციის სფეროს გეგმებზე.

**— ამბობდნენ, რომ თავდაცვას სამხედრო ტექნიკა მხოლოდ აღლუმისთვის ახსენდებოდა, ტექნიკა, რომელიც აქ დამზადდა, თავდაცვის სამინისტროში დღემდე არ წაუღიათ და ქარხნის ბალანსზეა...**

— ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ეს ტექნიკა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილებაა, ჩაუტარდა როგორც საველე, ასევე საცეცხლე გამოცდა. ყველა მანქანას თან მოჰყვა ის კითხვარები და შენიშვნები, რომელიც გამომცდელებს

გაუჩნდათ. გამოცდა საკმაოდ მკაცრი იყო. მანქანებს ტყვიაგამტარობასა და აფეთქებაზე გამოცდა ჯერჯერობით არ გაუვლია, მაგრამ ეს აუცილებელია.

**— ის 80 მილიონი, რომელიც სახელმწიფომ 2010 წელს ქარხანაში ჩადო, რას მოხმარდა?**

— დაახლოებით 34 მილიონის 40-მდე მაღალი დონის, თანამედროვე ჩარხ-დანადგარები იქნა შეძენილი, თუმცა, საიდუმლოა, რა ტიპის. დანარჩენი თანხა კი „ლაზიკის“, „დიდგორისა“ და ა.შ. პროექტებზე დაიხარჯა. რაც შეეხება სახელფასო ანაზღაურებას, „დელტაში“ დაახლოებით 2700-მდე კაცი მუშაობს, მათ შემადგენლობაშია „თბილავიამშენი“ (დაახლოებით 1500-მდე თანამშრომელი) და საინჟინრო ბატალიონი. ეს ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მისი ნახვა თავდაცვის საიტზე შეგიძლიათ.

**— დაგეგმილი გაქვთ თუ არა შტატების გაზრდა და ხელფასების მომატება თანამშრომლებისთვის?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენი ძირითადი მიმართულებაა კვალიფიკაციის ამაღლება. ეს იქნება უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა და კადრების ადგილობრივი და უცხოეთში გადამზადება.

**— რომელ ქვეყნებთან მუშაობთ?**

— ეს ეხება როგორც ევროპის, ისე აზიის ქვეყნებს...

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ „დიდგორის“ საერთაშორისო სამხედრო ტექნიკის გამოფენაზე გატანა იგეგმება...**

— არა, ამ ეტაპზე ამას არ ვაპირებთ, რადგან „დიდგორსა“ და სხვა ნაკეთობებს გრიფი ადევს, რაც მას გამოფენაში მონაწილეობას უზღუდავს. ისინი საიდუმლო ბრძანებით არის შესრულებული.

**— პრეზიდენტმა ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნა, ქართული სამხედრო ტექნიკის შესყიდვით სამხრეთ კორეა იყო დაინტერესებულიო.**

— შემიძლია დაგადასტურო, რომ მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობდა, მაგრამ ძნელი სათქმელია, შედეგი მოჰყვებოდა თუ არა, ვინაიდან საქართველო სულ რამდენიმე წელია ამ საქმით დაინტერესდა. მით უმეტეს, რომ სამხრეთ კორეა სამხედრო ტექნიკის წარმოებაში მოწინავე ქვეყნად ითვლება. ჩვენი ერთ-ერთი დიდი პლუსი ის არის, რომ ჩვენი პროდუქცია იაფია და ამიტომაც შეიძლება საინტერესო იყოს უცხოური ქვეყნებისთვის.

**— ბატონო შოთა, ბოლო დროს „დელტასა“ და „თბილავიამშენზე“ არაერთი ვერსია გავრცელდა. ჩვენი ინფორმაციით, დისკუსია მიმდინარეობდა, როგორ უნდა გაეგრძელებინათ მათ მუშაობა, დამოუკიდებელ სუბიექტად თუ თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყვნენ.**

— თავიდანვე ჩამოყალიბდა ასეთი აზრი, რომ ეს არის სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი და მის შემადგენლობაში უნდა დარჩეს, მაგრამ სამხედრო ავიაციის წარმოება 14 ქვეყანას აქვს, მათ შორის ერთ-ერთია საქართველო და ამ პოტენციალის განვითარებას სახელმწიფოსგან დიდი მხარდაჭერა სჭირდება. ავიაცია არის მაღალტექნოლოგიური ინდუსტრია და შესაბამისად, საქართველოში ამხელა წარმოების კერძო ფინანსებით შენარჩუნება ძნელია. ეს საწარმო ერთი-ორი ადამიანის კი არა, მთელი ქვეყნის ძლიერებაა და მისი განვითარება და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენება ჩვენი პრიორიტეტია.

**— მაშ, რის საფუძველზე განაცხადა პრეზიდენტმა, რომ „დელტა“ თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობიდან გადიოდა და ცალკე კომპანიად უნდა ჩამოყალიბებულიყო, რაც მისი თქმით, დიდი შეცდომა იქნებოდა.**

— შეიძლება ამ თემაზე საუბარი პოლიტიკურ დონეზე იყო, თუ რამდენად კომპეტენტურია თავდაცვის სამინისტრო ამხელა საწარმო მართოს, რადგან მოგეხსენებათ, „დელტას“ დაქვემდებარებაშია „თბილავიამშენი“, „ქართული [illegible] კომპანია“, სამშენებლო კომპანია, რომელიც ძირითადად სამხედრო შეკვეთებზე მუშაობდა, ასევე 7 კვლევითი ინსტიტუტი. ასე რომ, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ჩვენ სფეროში ოდნავ მაინც ჩახედულია, მიხვდება, რომ ამ სტრუქტურის დაცალკევება შეუძლებელია.

ინტერვიუს დასრულების შემდგომ გეზი მექანიკური საამქროსკენ ავიღეთ. აქ ნაღმსატყორცნი ლულები მზადდება...

როგორც ბატონმა შოთამ აგვიხსნა, საბჭოეთის დროინდელ დანადგარებთან ერთად, თანამშრომლები აქტიურად მუშაობდნენ ახალ, თანამედროვე ტიპის ჩარხებსა და დაზგებზე. იქიდან, სამწყობრო საამქროში გადავედით, სადაც სხვა სამხედრო ტექნიკასთან ერთად, ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებული „დიდგორები“ და „ლაზიკები“ იწონებდნენ თავს. ვნახეთ აწყობის პროცესში მყოფი Су-25-ები. ქარხნის შიდა ტერიტორიაზე გამართულ გამოფენაზე სხვადასხვა ზომის კამუფლირებულ ტანსაცმელთან და სამხედრო ბათინკებთან ერთად, მინის ჩარჩოში, პირველი ქართული წარმოების ავტომატიც შევნიშნეთ წარწერით „საქართველო, უპირველეს ყოვლისა“...

„ჩვენ საკმაოდ დიდი და ჯანსაღი ამბიცია გვაქვს და ვნახოთ, როგორ გავართმევთ თავს“, — გვითხრა ქარხნის ახალგაზრდა დირექტორმა დამშვიდობებისას. პოტენციალი კი ნამდვილად არსებობს...

„არსენალი“ წარმატებას უსურვებს საწარმოს ქართული სამხედრო ტექნიკის შექმნასა და უკვე არსებულის დახვეწაში, ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ აღიარების მოპოვებასა და თავის დამკვიდრებაში. და თუკი ოდესმე ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე მათზე „განსხვავებული აზრი“ დაიწერა, ეს ჯანსაღი კრიტიკა იქნება და არა ჩასაფრებული პოზიციიდან შეტევა.

*ლალი პაპასკირი*



„თბილავიამშენის“ საამწყობრო საამქრო



# ქართველ მზვერავს დახმარება სჭირდება!

## რა მოსწერა ქართველმა მზვერავმა რუსეთის ციხიდან სააკაშვილს

**ზაზა ხერკელაძის დედასთან, ქალბატონ ზეინართან საუბარი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ეს არ იყო ჩვეულებრივი ინტერვიუ. ეს უფრო დატანჯული, თუმცა ჯერ კიდევ გაუტეხელი დედის გულისნადების, შიშისა და იმედის ამოთქმა იყო. თავიდანვე შევთანხმდით, რომ ამ საუბრისა და დოკუმენტების საფუძველზე მომზადებული პუბლიკაცია არ იქნებოდა სენსაციური დეტალებით გადატვირთული. ქვემოთ გთავაზობთ ამ საუბრის მხოლოდ ძირითად ნაწილს. ქალბატონ ზეინარს უჭირდა იმ მძიმე დღეების გახსენება.**

დასასრული, დასაწყისი იხ.
„არსენალი“ №3, 2013წ.

**— ქალბატონო ზეინარ, როდის გაიგეთ ვლადიკავკაზში თქვენი შვილის დაკავების ამბავი?**

— 28 ივნისს ჩემი ქალიშვილის, მზიას დაბადების დღეა. 2008 წლის 28 ივნისს ზაზამ დას რომ არ დაურეკა მისალოცად, ყველას გაგვიკვირდა, ჩვენ რომ ვურეკავდით, ტელეფონი გამორთული ჰქონდა. შემდეგ მისი სამსახურის ხალხი დამეხმარა ვიზის მიღებაში, რომ სასწრაფოდ წავსულიყავი. იყო იმის რეალური საშიშროება, რომ ზაზას მეუღლე, რომელიც ასევე დაკავებული იყო, ჯაშუშად გამოეცხადებინათ, ხოლო ერთი წლის ტყუპი — ანი და ნიკოლოზი, ბავშვთა სახლში ჩაებარებინათ.

**— ზაზას მალევე შეხვდით?**

— ჩასვლის მეორე დღესვე დამიბარეს იქაურ უშიშროებაში. მე გამოვცხადდი, თან ბავშვებიც წავიყვანე. ზაზა რომ შემოიყვანეს, ის გამომძიებელს მიუბრუნდა და სთხოვა, ჩემთვის მისი ცოლ-შვილის საბუთები დაებრუნებინათ და გამოეშვით. გამომძიებელმა კი პასპორტი გამომართვა და გამოგვიცხადა, შენს ცოლს დედაშენიც დაემატება, ბავშვებს კი ბავშვთა სახლში გავუშვებთო.

**— გასაგებია, ეს თქვენს შვილზე ზემოქმედების ხერხი იყო. შემდეგ რა მოხდა?**

— მე და ჩემი რძალი ბავშვებიანად გამოგვიშვეს, ჩვენი საბუთები კი დაიტოვეს. რამდენიმე დღეში რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო. ვლადიკავკაზის ქუჩებში მანქანები რომ დადიოდნენ, რადიო მაღალ ხმაზე ჰქონდათ ჩართული და ყველა მხრიდან ისმოდა, დააკავეს ქართველი დაზვერვის თანამშრომელი, ახალგაზრდა ოფიცერი ესა და ესო. დღესაც არ ვიცი, სადაც ვცხოვრობდით, იქ, სპეციალურად იყო ეს დავალება, თუ მთელ ქალაქში ასე ხდებოდა. შიშის ზარმა აგვიტანა. ჩემი რძალი ნერვიულობის ნიადაგზე ცუდად გახდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში დააწვინეს. ერთხელ მაღაზიაში ჩავედი ბავშვებისთვის რძის საყიდლად, იქ კი გამყიდველი ოსი ქალი იყო. იცოდა, ვინც ვიყავით, დანას დაავლო ხელი და გარეთ გამოგვყარა, თქვენი ხალხი ტანკებით უვლის ცხინვალში ჩვენს ხალხსო. ამის შემდეგ სახლიდან ვერ გავდიოდით. თუმცა, ყველა ასე არ გვექცეოდა. ერთი ოსი ბიჭი, რომელსაც დედა მოხუცე ჰყავდა, გვერდში ამოგვიდგა და გვპატრონობდა. ღამით ჩუმად მოდიოდა და საჭმელი მოჰქონდა. რომ ბინდდებოდა, შიშით შუქსაც ვერ ვანთებდით, ვითომ იქ არ ვიყავით. ერთი წლის ბავშვები საწოვარას არ წოვდნენ და დედას ითხოვდნენ. როგორღაც ვაჩერებდით. საშინელება იყო. თითქმის ორი თვე ასე გავატარეთ.

**— ამ პერიოდში ზაზასგან რა ისმოდა?**

— არაფერი. ისევ მე დავუკავშირდი ზაზას სახაზინო ადვოკატს და ვთხოვე, წერილს დავწერ, რუსულად თარგმნე და პროკურატურაში შეიტანე-მეთქი, თან თავისი ტელეფონით ეს საცოდავი ბავშვებიც გადაიღო, შიმშილით რომ მეხოცებოდნენ. მისი წასვლიდან ნახევარ საათში დამიბარეს გამომძიებელთან, რომელმაც მითხრა, თქვენი შვილი ვერ გადმოვიბირეთ და თქვენს საბუთებს გიბრუნებთო, თან დამამშვიდა, ასე ნუ განიცდით, ეს პოლიტიკური დაკავებაა. საქართველოში ჩვენი ხალხიც ჰყავთ დაკავებული და გაიცვლებიანო. ამ დროს კი ზაზა უკვე მოსკოვში ჰყოლიათ გადაყვანილი. ჩემი რძალიც გამოვიყვანეთ საავადმყოფოდან და საქართველოში დაბრუნება მოვინდომეთ. მინვოდის აეროპორტში საბუთები ჩამოგვართვეს, ჩვენი თანმხლები ის ოსი ბიჭი კი დააკავეს, შენ იცი, ვის ეხმარებიო? თუმცა, მალევე გამოუშვეს. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ შევძელით ერევანში ჩაფრენა და მერე საქართველოში ჩამოსვლა.

**— ვიცი, რომ ზაზა სამსახურის საქმეებზე შინ არაფერს ლაპარაკობდა. დედის გულმა ყველაფერი იცისო და თქვენ თუ ხვდებოდით, რას საქმიანობდა?**



ზაზა ხერკელაძე და ქალბატონი ზეინარი

— ზაზა ხევის წესებზე გაზრდილი ვაჟკაცია. მან თვითონ მიაღწია ყველაფერს. ის მისი „მეგობრებივით" ლაჩარი არ არის, რომლებმაც უღალატეს, გაუშვეს და თან ჩაუშვეს.

**— ქალბატონო ზეინარ, რას გვეტყვით იმის შესახებ, რომ საქართველოს წინა ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფდა მის კავშირს სახელმწიფო სტრუქტურებთან?**

— ჩემი შვილი საგარეო დაზვერვის ოპერატიული სამმართველოს უფროსის მოადგილე, უფროსი ლეიტენანტია. ამიტომ 2008 წლის სექტემბერში, ვლადიკავკაზიდან ჩამოსვლის შემდეგ, შევხვდი გელა ბეჟუაშვილს, რომელიც დამპირდა, ყველაფერს გავაკეთებთ და თქვენს შვილს ვუშველითო. ეს იყო პირველი და უკანასკნელი შეხვედრა მასთან.

შემდეგ სისტემატურად ვითხოვ ბეჟუაშვილთან შეხვედრას, მაგრამ ბატონი გელა სხვადასხვა მიზეზით თავს მარიდებს.

წერილი გადავეცით საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, დავით ბაქრაძეს. ერთხელ მიხეილ სააკაშვილი დუშეთში იყო ამოსული, როგორღაც მოვახერხე, დაცვას ხელიდან დავუსხლტი და პირადად გადავეცი ჩემი განცხადება. წინა მთავრობამ კარგად იცოდა ჩემი შვილის ამბავი, მაგრამ მეუბნებოდნენ, ჩუმად იყავით, კედლებმაც კი არ უნდა გაიგონ არაფერი. ამით ზაზას მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდებაო. ასე მეუბნებოდნენ თითქმის ხუთი წელი და არაფერს აკეთებდნენ.



**რუსეთის ციხიდან პრეზიდენტ სააკაშვილისთვის გამოგზავნილი ქართველი მზვერავის წერილი**

**— ახლა რას აპირებთ?**

— არჩევნების შემდეგ ხალხი მეუბნება, ახალი მთავრობა უშველის ზაზასო. მე თხოვნით მივმართე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს, ოფიციალური განცხადება გავუგზავნე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს. საქმის კურსში არიან: ეკა ბესელია, თეა წულუკიანი, არჩილ კბილაშვილი და კიდევ ბევრი პოლიტიკოსი. ყველას ვთხოვ დახმარებას.

ჯერ არაფერი ჩანს საიმედო: მთავრობის კანცელარია ჩემს განცხადებას იუსტიციის სამინისტროს უგზავნის, ისინი კი საგარეო საქმეთა სამინისტროს. იქიდან კვლავ იუსტიციის სამინისტროს უბრუნებენ და უკვე სამი თვეა, ჯადოსნურ წრეზე ტრიალებს. თუ ეს ბიუროკრატია კიდევ გაგრძელდა, შიმშილობას დავიწყებ.

თქვენი საშუალებით მინდა მივმართო ბატონ ბიძინა ივანიშვილს:

***ბატონო ბიძინა, იმედია, თქვენც არ ეცდებით ჩემს გაჩუმებას. სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს ჩემს შვილს. იქ ამ განსაცდელში საქართველოს გულისთვის აღმოჩნდა!***

***გაწუხებთ თქვენ, რადგან ქართველ ხალხს მხსნელად მოევლინეთ და იქნებ თქვენ მაინც უშველოთ ჩემს ოჯახსა და ჩემს შვილს. მე ვიცი, რომ საქართველოში არიან დაპატიმრებული რუსეთის მოქალაქეები და იქნებ მოხდეს გაცვლა.***

## ქართველი ოფიცრის მძიმე არჩევანი

ქალბატონ ზეინართან საუბრისას დადასტურდა, თუ რა ზეწოლას განიცდიდა ქართველი ოფიცერი. ჩვენი აზრით, ეფ-ეს-ბეს დაპატიმრებამდე ჰქონდა ზუსტი ცნობები მის შესახებ და ყველანაირი ხერხით ცდილობდა, ზაზა ხერკელაძე ფარულ თანამშრომლობაზე დაეთანხმებინა. თავად განსაჯეთ: როდესაც მზვერავს არალეგალურად, სათანადო დოკუმენტების გარეშე გზავნი მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე და იძულებულს ხდი, იქ შეიძინოს ყალბი საბუთები, რა დროსაც ჩავარდნის შანსი ასმაგად იზრდება, ეს ან დაზვერვის ანბანის უცოდინარობაა, ანდა ღალატი. ხომ არ იყო ეს წინასწარვე განწირული სპეცოპერაცია?

ამ გარემოების გათვალისწინებით რა არჩევანი ჰქონდა ქართველ ოფიცერს?

***— რუსეთის კონტრდაზვერვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის მიუხედავად, არ ეღიარებინა, რომ სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდა.*** ზაზა ხერკელაძე კარგა ხანს ვაჟკაცურად უძლებდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას და უარყოფდა რუსეთში სადაზვერვო საქმიანობას. თან საქართველოს ხელისუფლების დახმარების იმედი ჰქონდა, ხომ არ მიმატოვებენ უპატრონოდო. მაშინაც და ამჟამადაც კომფორტულ კაბინეტებში მოკალათებული ჩინოვნიკები კი არაფერს აკეთებდნენ მის დასახსნელად. ზაზასთვის ყველაზე მძიმე ასატანი მეუღლის, მცირეწლოვანი შვილებისა და დედის მდგომარეობა იყო, რომლებიც ვლადიკავკაზში ეფ-ეს-ბეს მძევლები იყვნენ.

***— ეფ-ეს-ბეს მოთხოვნას დასთანხმებოდა და მათი ორმაგი აგენტი გამხდარიყო.*** ზაზა ხერკელაძე საპასპორტო რეჟიმის დარღვევის საბაბით დააკავეს. აქედან გამომდინარე, მას მაშინვე გაათავისუფლებდნენ, ვერავინ ვერაფერს გაი-

გებდა და დიდ პატივშიც ჰყოლებოდათ: კარიერულ წინსვლაში ხელს შეუწყობდნენ, მატერიალურად უზრუნველყოფდნენ და ა.შ.

*— ეღიარებინა მზვერაობა და მიეღო შესაბამისი სასჯელი.* ჩვენი აზრით, იმ პირობებში, როგორშიც ზაზა ხერკელაძე იყო, ეს არჩევანი ყველაზე რაციონალური იყო როგორც ქვეყნისთვის, ასევე მისი ოჯახისთვისაც. საქართველოს პატრიოტმა ოფიცერმა ზაზა ხერკელაძემ არ უღალატა სამშობლოს და უარი განაცხადა ორმაგ აგენტობაზე. ამიტომაც დასაჯეს ის უმკაცრესად და 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით მიუსაჯეს.

## როცა უთქმელობა დანაშაულია!

2013 წლის ივნისში ხუთი წელი სრულდება, რაც ზაზა ხერკელაძე დააკავეს და რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით (ჯაშუშობა) იხდის რუსეთში სასჯელს. ამ დროს წინა ხელისუფლების შემორჩენილი ლიდერები და მათ დაქვემდებარებაში არსებული სპეცსამსახური დამალობანას თამაშს განაგრძობენ.

„პოლიტიკა ბინძური საქმეა", – ამ სიტყვებს საბჭოთა დიქტატორ იოსებ სტალინს მიაწერენ. ბევრი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამას. თუმცა, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება გვიჩვენებს, რომ სტალინი არ ცდებოდა. თავად განსაჯეთ, მიხეილ სააკაშვილს პოლიტპატიმრების გათავისუფლების საწინააღმდეგო არგუმენტები რომ შემოელია, მხოლოდ მაშინ გაახსენდა რუსეთის ციხეებში მყოფი ჩვენი ხალხი.

2013 წლის 16 იანვარს მისმა მორიგმა ცინიკურმა განცხადებამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ზოგიერთ პოლიტიკოსს ადამიანების ტანჯვა სულ არ აინტერესებს. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით: *„საქართველოს პარლამენტმა გაუშვა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, მათ შორის, გვეორქიანი, სკრილნიკოვი, ბევრი სხვა და გაუშვა ყოველგვარი პირობის გარეშე. არის რამდენიმე საქართველოს მოქალაქე და რამდენიმე ადამიანი, ვინც გასამართლებულია რუსეთის ფედერაციაში, როგორც საქართველოს მზვერავი და იხდის სასჯელს. ჩვენ არ ვაღიარებთ, რომ ისინი არიან მზვერავები, მაგრამ ისინი არიან გასამართლებული ამ მუხლით. მე ვიცი, რომ არსებობდა გეგმები შესაბამისი სამსახურების, იმ პირობებშიც კი, როდესაც ისინი არ არიან აღიარებული ჩვენ მიერ როგორც მზვერავები, მაგრამ არიან ჩვენი მოქალაქეები, მომხდარიყო მათი გაცვლა რუსეთის ფედერაციის კარგად დადასტურებულ ჯაშუშებზე, რომლებიც ჩვენ გვყავდა დაპატიმრებული. ამით საქართველოს პარლამენტმა, პრაქტიკულად, უარი თქვა ჩვენი მოქალაქეების გათავისუფლებაზე რუსეთში, იმიტომ, რომ ცალმხრივად, უპირობოდ გაათავისუფლა ეს ხალხი ჩვენი ციხეებიდან. მინდა, ყველას ვუთხრა, რომ ეს არის ძალიან ცუდი პრეცედენტი. ისტორია განსჯის იმათ, ვინც ეს გააკეთა".*

პრეზიდენტისგან დეზინფორმაციის შეგნებულად გაჟღერების ზემოთ მოყვანილი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ პრეზიდენტი და მის პირად დაქვემდებარებაში დარჩენილი სპეცსამსახურების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ გაურკვევლობაში არიან. მათ ხუთი წლის განმავლობაში ვერ ჩამოაყალიბეს გამოკვეთილი პოზიცია 2008 წელს რუსეთის ტერიტორიაზე დაკავებულ პირებზე. მაშინ ოფიციალური კომენტარები მხოლოდ გაცვეთილი ფრაზებით შემოიფარგლებოდა: „ეს არასერიოზულია", „ეს რუსეთის მორიგი დეზინფორმაცია და პროვოკაციაა" და ა.შ. ამჟამად აღმოჩნდა, რომ მზვერავებად არ ვაღიარებთ, თუმცა გაცვლა გვინდოდაო, მაგრამ ამ პოპულისტური განცხადებებით რა შეღავათი აქვთ იქ დაპატიმრებულებს და აქ მათ ოჯახებს?

დავუშვათ, სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს ხალხი მზვერავებად არ აღიარა, ჯერ ერთი, რა მოვიგეთ ჩვენ და მათმა ოჯახებმა ამით? მეორე, საქართველოს მოქალაქეს ან თუნდაც ეთნიკურ ქართველს უცხოეთში გასაჭირში წლების განმავლობაში უპატრონოდ რომ მიატოვებ, რა სინდისით უნდა მოსთხოვო სამი თვის მოსულ ახალ ხელისუფლებას ამ ურთულესი პრობლემის სასწრაფოდ მოგვარება?

## სახელმწიფო ვალდებულია!

ყველა ჩვენგანს უნდა ჰქონდეს ერთი კითხვა: 2008 წლის 28 ივნისიდან დღემდე პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ რა გააკეთეს ზაზა ხერკელაძის დასახსნელად? რად გვინდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც თავის მოქალაქეებს არ იცავს?

იურისტმა სააკაშვილმა კარგად უნდა იცოდეს საქართველოს კონსტიტუცია და ძირითადი კანონები. შეიძლება დაავიწყდა, ამიტომ შევახსენებთ.

„საქართველოს კონსტიტუცია", მუხლი 13.

„საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა".

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ"

მუხლი 6. „საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს თავის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ იცავს საქართველო".

„საქართველოს კანონი სადაზვერვო საქმიანობის შესახებ"

*მუხლი 11. პუნქტი 6.*

*„საქართველოს დაზვერვის სისტემის იმ სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც სადაზვერვო საქმიანობისათვის დააკავეს ან დააპატიმრეს საზღვარგარეთ, უნარჩუნდება ყოველთვიური ფულადი ანაზღაურება სრული ოდენობით და დაკავების ან პატიმრობის ერთი დღე ეთვლება ნამსახურობის სამ დღედ. საქართველოს საზღვრებს გარეთ სადაზვერვო საქმიანობისთვის საქართველოს სადაზვერვო სისტემის სამხედრო მოსამსახურის და/ან მისი ამ საქმიანობისთვის ოჯახის წევრების დაკავების, დაპატიმრების ან გასამართლების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მათ სრულ გათავისუფლებას".* ასე რომ, კონსტიტუცია და ზემოაღნიშნული კანონები პირდაპირ ავალდებულებდა სააკაშვილის ხელისუფლებას, გაეტარებინა ქმედითი ღონისძიებები დაკავებულების და უპირველესად, საქართველოს მოქალაქის, ზაზა ხერკელაძის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.

ამავე დროს პირდაპირ უნდა განვაცხადოთ: სააკაშვილმა კარგად იცის, რომ ის პირი, ვისზედაც ზაზა ხერკელაძის გაცვლას რუსეთი ჯერ კიდევ 2011 წლის ზაფხულიდან გვთავაზობდა, პოლიტპატიმრების სიაში არ არის და საქართველოს პარლამენტს არ გაუთავისუფლებია!

## რატომ არ შედგა გაცვლა 2011-2012 წლებში?

ჩვენს ხელთ არის ზაზა ხერკელაძის მიერ 2011 წლის აგვისტოში ნიჟნი-ტაგილის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ყოფილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის სახელზე გამოგზავნილი რუსულ ენაზე შედგენილი წერილი. ფართო სა-

ზოგადოება დღეს პირველად გაეცნობა ამ წერილის შინაარსს. ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ამ დოკუმენტიდან.

ზაზა ხერკელაძე წერს: ***„წარმოდგენილი მტკიცებულებების შემდეგ მე იძულებული ვიყავი გამოძიების დროს და სასამართლო პროცესზე მეღიარებინა, რომ ნამდვილად ვაწარმოებდი დაზვერვას რუსეთში. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამ პერიოდში ვიქცეოდი ღირსეულად, როგორც შეჰფერის ქართველ ოფიცერს: არ ვუღალატე ჩემი ხალხის ინტერესებს და არ შევლახე მუნდირის ღირსება. რუსეთის კონტრდაზვერვის მიერ ჩემს დაკავებაში ჩემი ბრალი არ არის, მე ვაკეთებდი ყველაფერს ისე, როგორც მასწავლეს“.***

წერილში შემდეგ ვკითხულობთ: ***„ახლახან მომმართა ადგილობრივმა უფლებადამცველმა ... (გვარს შეგნებულად არ დავასახელებთ – ბ. ა.). მან მოახერხა ჩემთან შეხვედრა და მითხრა, რომ წარმოადგენს რუსეთის მოქალაქისა და ჩრდილოეთ ოსეთის მილიციის თანამშრომლის... (გვარს შეგნებულად არ დავასახელებთ – ბ.ა.), რომელიც უკვე ხუთი წელია საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებითაა დაკავებული, დედის... (გვარს შეგნებულად არ დავასახელებთ – ბ.ა.) ინტერესების დამცველს.***

***უფლებადამცველი ირწმუნება, რომ ცდილობს ორგანიზება გაუკეთოს ჩემსა და ... მის გაცვლას. ამბობს, რომ ეს რეალურია, რადგანაც ესაუბრა მაღალი თანამდებობის პირებს და დადებითი პასუხი მიიღო. მე მისი მჯერა. ბატონებო, ახლა ყველაფერი თქვენს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული... მე მინდა დავბრუნდე სამშობლოში, ვნახო ბავშვები, დედა და მეუღლე...***

***ერთადერთი, რაც აუცილებელია, ესაა რუსეთისთვის თქვენი პირდაპირი ან შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით ოფიციალური მიმართვა, რომ საქართველო მზადაა განიხილოს გაცვლის ვარიანტები... არ გეგონოთ, რომ ვწუწუნებ და ვჩივი. მე მზად ვარ, ვზიდო ჩემი ჯვარი ბოლომდე.***

***მაგრამ თუ ამგვარი შესაძლებლობა გამოჩნდა, საჭიროა გამოვიყენოთ, იქნებ მართლაც გამოვიდეს რამე“.***

შემდეგ ზაზა ხერკელაძე მიუთითებს იმ უფლებადამცველის ტელეფონსა და ელექტრონული ფოსტის მისამართს.

ძნელია აუღელვებლად წაიკითხო ეს წერილი. იმედია, ზაზა ხერკელაძე მალე დაბრუნდება სამშობლოში და მაშინ ბევრ მნიშვნელოვან ფაქტსაც შევიტყობთ.

როგორც ამ დოკუმენტით ირკვევა, ჯერ კიდევ 2011 წლის აგვისტოში რუსეთის მხარე მზად იყო ქართველი დაზვერვის ოფიცრის, რუსეთის მოქალაქე, ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერზე გაცვლის ვარიანტის განსახილველად.

რუსეთის ეს მოქალაქე 2006 წლის 7 ნოემბერს მცხეთაში გაასამართლეს ჯაშუშობის ბრალდებით, ცნეს დამნაშავედ და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ჩვენი ინფორმაციით, ის დღესაც იხდის სასჯელს.

## რა ღონისძიებები უნდა გაატაროს ახალმა ხელისუფლებამ?

საქართველოს ხელისუფლების ვალია მაქსიმალურად დაეხმაროს იმ პირებს, რომლებიც ჯაშუშობის ბრალდებით 2008 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე რუსეთის ეფ-ეს-ბემ ჩრდილოეთ კავკასიაში დააკავა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ უკვე სამი თვეა მიდის ჯადოსნურ წრეზე ტრიალი: სამინისტროები ერთმანეთში აბურთავებენ ზაზა ხერკელაძის საკითხს. ისეთი პირი უჩანს, რომ ეს ბიუროკრატია კიდევ დიდხანს გაგრძელდება, თუ საქმეში პირადად საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი არ ჩაერია.

პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, აუცილებელია ქართველი ოფიცრის დასახსნელად სახელმწიფო სტრუქტურების (საგარეო საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო დაზვერვის დეპარტამენტი) კოორდინირებული მოქმედება. ამგვარი დავალების მიცემა და შესრულების გაკონტროლება კი მხოლოდ პრემიერ-მინისტრის კომპეტენციაა. ამას წინათ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, თურქეთის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე პატიმრების გაცვლის შესახებ განაცხადა, მე არც კი ვცდილობ ასეთი საკითხები შევისწავლო და ვამისამართებ უწყებებშიო.

ეს გასაგებია, წინა ხელისუფლების „დამსახურებით“ ქვეყანაში მართლაც უამრავი პრობლემაა დაგროვილი, რომელთა შესწავლა და გადაწყვეტა დიდ დროს მოითხოვს.

ამავე დროს გვინდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მივმართოთ:

***ბატონო ბიძინა, იქნებ დაუშვათ გამონაკლისი და რუსეთში 2008 წლის ზაფხულში ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული საქართველოს მოქალაქის, ზაზა ხერკელაძის გამოხსნის საკითხი პირად კონტროლზე აიყვანოთ. ის ხომ ჩვეულებრივი პატიმარი არ არის!***

***ამჟამად დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც არის შანსი, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდეს!***

***ამ საკითხების განხილვა პირველ ეტაპზე შეიძლება დაიწყოს „აბაშიძე-კარასინის ფორმატში“.***

***ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება, თუ ჯაშუშობის მუხლით გასამართლებულ პატიმართა გაცვლა მოხდება.***

***მთელი საზოგადოებრიობა ამ ფაქტს კეთილი ნების გამოხატულებად აღიქვამს და, რაც ყველაზე მთავარია, შვილებს მამა დაუბრუნდება, მეუღლეს – ქმარი და დედას – შვილი!***

ახალ ხელისუფლებას საქართველოს მოქალაქის, ზაზა ხერკელაძის უფლებების დაცვას კანონი ავალდებულებს. ნაცხელისუფლებასაც ევალებოდა, თუმცა, არაფერი გააკეთა. იმედია, დღესაც იგივე არ განმეორდება.

**ბესიკ ალადაშვილი**

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აგვისტოს ომის ყველაზე სკანდალური ნაალაფარი

## ნაალაფარი „სტრელების" საქარხნო ნომრებით ადვილად შეიძლებოდა (და ახლაც შეიძლება) იმის დადგენა, თუ რომელი რუსული სამხედრო ნაწილიდან გადასცეს ისინი ოს სეპარატისტებს

29233

2008 წლის აგვისტოს რამდენიმედღიანმა ომმა ბევრს, როგორც საქართველოსა და რუსეთში, ისე მსოფლიოში დაამახსოვრა ვიდეო- და ფოტოფირები, რომლებზეც აღბეჭდილია, თუ როგორ ანადგურებენ და რუსეთში ეზიდებიან ქართული არმიისთვის წართმეულ ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას.

თუმცა იმ ელვისუსწრაფეს ომში სხვა ეპიზოდიც გახლდათ, რომელიც დღემდე არ იყო გასაჯაროებული, თუმცა წესით, დიდი საერთაშორისო სკანდალი უნდა გამოეწვია, თუმცა არც ახლაა გვიან.

ცხინვალის მისადგომებიდან უკან დახეული ქართული არმიის ერთ-ერთმა დანაყოფმა 2008 წლის აგვისტოში თბილისში ჩამოიტანა 16 ცალი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Стрела-2М, რომლებიც ქართველ სამხედროებს დარჩათ ალაფად ცხინვალთან ბრძოლაში, როდესაც ოსი სეპარატისტები და მათი რუსი ინსტრუქტორები გაიქცნენ და „სტრელები" დაყარეს.

თბილისში ჩამოტანილ „სტრელები" ქართული არმიის საჰაერო თავდაცვის სპეციალისტებმა შეამოწმეს და დადგინდა, რომ 16-ვეს გამშვებ კონტეინერზე სპეციალურად წაშლილი იყო საქარხნო ნომრები და საღებავით კუსტარულად სამნიშნა ციფრები ეწერა.

უეჭველია, რომ ვინც გასაშვებ კონტეინერზე წაშალა საქარხნო ნომრები, იმედოვნებდა, რომ ამით შეუძლებელს გახდიდა, დადგენილიყო თუ როდის და სად იქნა დამზადებული კონკრეტული საზენიტო რაკეტა და როგორ მოხვდა ის ოსი სეპარატისტების ხელში, რაც საერთაშორისო ხელშეკრულებების უხეში დარღვევა გახლდათ.

ინფორმაციისთვის: 2005 წლის 24 თებერვალს ბრატისლავაში რუსეთის ფედერაციისა და აშშ-ის სამიტზე ხელი მოეწერა ორმხრივ ხელშეკრულებას, რომელიც გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებზე კონტროლის გაძლიერებას ითვალისწინებდა. დოკუმენტს ხელი მაშინდელმა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა მოაწერეს, ამასთან, რუსეთის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ ხელშეკრულების დადება მათი ინიციატივა გახლდათ.

ხელშეკრულების თანახმად, მოსკოვი და ვაშინგტონი ვალდებული იყვნენ, ერთმანეთისთვის დაუყოვნებლივ მიეწოდებინათ ინფორმაცია, თუ



ფოტოფაქტი — ნაალაფარი „ოსურ-რუსული" „სტრელების" ნაწილი, რომელთა კონტეინერებზე საქარხნო ნომრები სპეციალურადაა წაშლილი



ვინ იცის, რუსეთის მიერ ოს და აფხაზ სეპარატისტებისთვის მალულად გადაცემული „სტრელები“ შემდგომში რომელი საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფებების შეიარაღებაში აღმოჩნდა...

რომელ ქვეყანას რა ტიპის და რა რაოდენობის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები მიჰყიდეს.

ამ კლასის საზენიტო საშუალებებზე კონტროლის გამკაცრება იმით იყო განპირობებული, რომ არც თეთრ სახლში და არც კრემლში არ სურდათ „სტინგერები“, „იგლები“ თუ „სტრელები“ მოხვედრილიყო ათასი ჯურის ტერორისტების ხელში, რომლებსაც ამ კომპაქტური და ეფექტური საზენიტო იარაღით შეეძლოთ ჩამოეგდოთ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო თვითმფრინავები და შვეულმფრენები.

დავუბრუნდეთ ცხინვალის მისადგომებიდან ალაფად წამოღებულ 16 ცალ „სტრელას“. ვინც ამ „სტრელების“ გასაშვებ კონტეინერებზე მათი საიდენტიფიკაციო საქარხნო ნომრები წაშალა, იმედოვნებდა, რომ საზენიტო რაკეტის გაშვების შემდეგ გადაგდებული, უკვე უმაქნისი გასაშვები კონტეინერის აღმოჩენის შემთხვევაშიც ვერც ქართული მხარე და ვერც დასავლელი დამკვირვებლები ვერ დაადგენდნენ ზუსტად ამ „სტრელების“ წარმომავლობას, ხოლო უკვე გაშვებული საზენიტო რაკეტა ან საჰაერო მიზანთან აფეთქდებოდა, ან ფრენის მე-14-17 წმ-ზე თვითლიკვიდაციას განიცდიდა, რაც ასევე შეუძლებელს გახდიდა საზენიტო რაკეტაზე დატანილ საქარხნო ნომრის იდენტიფიკაციას.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, „სტრელების“ ოსი სეპარატისტებისთვის გადამცემი მხარე შეცდა, რადგან ეს შეიარაღება ხელში ჩაუვარდა ქართველებს.

თბილისში საჰაერო თავდაცვის სპეციალისტებმა ყველა „სტრელა“ დაშალეს. გასაშვები კონტეინერიდან გამოღებულ 9M32M ტიპის საზენიტო რაკეტებს კარგად ეტყობოდათ საქარხნო ნომრები, რომლითაც მათი იდენტიფიკაცია დიდ პრობლემას აღარ წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მაშინდელმა არც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, არც გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობამ და მით უმეტეს, არც იმჟამინდელმა მთავრობამ არ მოინდომა და არ გაიტანა ნაალაფარი „სტრელების“ ისტორია საერთაშორისო ასპარეზზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში, 2005 წლის ბრატისლავის ხელშეკრულების თანახმად, აშშ-ის ხელისუფლება ვალდებული იქნებოდა, მოეთხოვა რუსეთისთვის პასუხი, თუ რომელი რუსული სამხედრო ნაწილიდან და როდის იქნა გატაცებული სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ოსური სეპარატისტული წარმონაქმნისთვის.

ფაქტია, რომ რუსეთმა, როგორც გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის Стрела-2M (9K32M)-ს მწარმოებელმა მხარემ, დაარღვია ბრატისლავის 2005 წლის ორმხრივი ხელშეკრულება და არაფორმალურ წარმონაქმნს მალულად გადასცა გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების მნიშვნელოვანი პარტია.

იქნებ იმ 16 ნაალაფარი „სტრელას“ გარდა, არავინ იცის, კიდევ რამდენი ასეთივე საშიში საზენიტო საშუალება გადასცა რუსეთმა ოსთა თუ აფხაზთა შეიარაღებულ ჯგუფებს და შემდგომში მსოფლიოს რომელ კუთხეში და რომელი ტერორისტული დაჯგუფების ხელში აღმოჩნდება ის.

**P.S.** ნაალაფარი „სტრელების“ შემოწმების შემდგომ დადგინდა, რომ ყველა მათგანის სითბური თვითდამიზნების სისტემა გამართულად მუშაობდა, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყო.

***ირაკლი ალადაშვილი***



გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Стрела-2M-ის სიგრძე 1,5 მ, ხოლო მასა კი 15 კგ-ია. მის საბრძოლო მდგომარეობაში გადასაყვანად საკმარისია 10-15 წმ. საზენიტო რაკეტის სითბური თვითდამიზნების მოწყობილობამ 2,3 კმ სიმაღლემდე მაქსიმალური, 950 კმ/სთ სიჩქარით მფრენი ობიექტი შეიძლება 4,2 კმ დისტანციამდე (მიყოლებით სროლის შემთხვევაში) გაანადგუროს. თუკი გაშვება შემხვედრი კურსით ხდება, მაშინ საზენიტო რაკეტის ტაქტიკური მონაცემები მნიშვნელოვნად ეცემა: სროლის მაქსიმალური სიშორე — 2,8 კმ-მდე, ხოლო სამიზნის სიჩქარე არა უმეტეს 550 კმ/სთ-ისა უნდა იყოს.



P-109 „ფაზისი“ – ბათუმელ გემთმშენებელთა ბოლო „გრიფია“

# ბათუმში აგებული საპატრულო „გრიფები“

„არსენალმა“ რამდენიმე სტატია მიუძღვნა ბათუმის ან უკვე განადგურებულ გემთსაშენ ქარხანას. არადა, მისი პოტენციალის ქვეყნის ინტერესებისთვის გამოყენება თავისუფლად შეიძლებოდა და საზღვაო საზღვრების დაცვისთვის ერთობ საჭირო საპატრულო კატარღების სხვა ქვეყანაში ყიდვაც არ დაგვჭირდებოდა.

ქარხნის ბიოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო პერიოდი საპატრულო „გრიფების“ მშენებლობასთან არის დაკავშირებული.

60-იანი წლების დასაწყისში ლენინგრადში ცენტრალურმა საზღვაო-საკონსტრუქტორო ბიურო „ალმაზმა“ საპატრულო კატარღის (პ. 1400 „გრიფი“) პროექტი მოამზადა.

კატარღის დანიშნულება სანაპირო რაიონებში, სრუტეებსა და პორტების ღია რეიდებზე, მდინარეებისა და ტბების მონაკვეთებზე სახელმწიფო საზღვაო საზღვრების დაცვა, აგრეთვე, სამძებრო-სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობა, სანავიგაციო საშუალებათა მომსახურება, ეკოლოგიური კონტროლი და სალოცმანო სამსახური იყო.

თავიდანვე კატარღის ზომები რკინიგზით, სამდინარო გზებით ან სპეციალიზებული საზღვაო გემებით ტრანსპორტირების გათვალისწინებით შეირჩა.

მოგვიანებით დამკვეთების მოთხოვნით პროექტი გადაკეთდა (პ. 1400M), გაბარიტული ზომები გაიზარდა და რკინიგზით გადაზიდვა გამოირიცხა.

საბჭოთა კავშირში „გრიფების“ სამსახურის ძირითადი რაიონები შავი, ბალტიისა და კასპიის ზღვები იყო, თუმცა თითო-ოროლა ჩრდილოეთისა და შორეულ აღმოსავლეთშიც აღმოჩნდა.

1967 წელს ლენინგრადში პრიმორსკის გემთსაშენი ქარხანა (ახლა ს/გ „ალმაზი“) „გრიფების“ მშენებლობას შეუდგა და პირველი ოთხი კატარღაც ააგო. 1969 წლიდან სერიული წარმოება უკრაინაში ფეოდოსიის ქარხანა „მორემ“ და 1978 წლიდან ბათუმის გემთსაშენმა ქარხანამ განაგრძეს.

ბატონი მერაბ ჭანიშვილი კატარღების მშენებლობა-გამოცდების უშუალო მონაწილეა და „გრიფებთან“ დაკავშირებული ბევრი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა.

ბათუმის გემთსაშენი ქარხნის №1 ელინგი, სადაც პატარა კატარღები შენდებოდა და იქვე ოჩამჩირის საზღვაო მესაზღვრეთა ბრიგადის ბათუმის დივიზიონის კატარღები 1980-იან წლებში ბაზირებდნენ






**ბათუმში აგებული „გრიფების“ (პ. 1400M) ტექნიკური პარამეტრები: სრული წყალწყვა — 40,0 ტონა, სიგრძე — 23,8 მეტრი, სიგანე — 5 მეტრი, ზღვაოსნობის უნარი — 5 ბალი, დიზელის ძრავა —2x1100-ცხ. ძალიანი M 401Б, სიჩქარე — 28-30 კვანძი, ცურვის სიშორე ეკონომიური 13 კვანძით — 450 მილი, ეკიპაჟი — 9 კაცი, ავტონომიურობა — 5 დღე, შეიარაღება — შეწყვილებული 12,7 მმ-იანი დანადგარი Утес-M**

**— ბატონო მერაბ, როდის დაიწყო და რამდენ ხანს გაგრძელდა ბათუმის გემთსაშენი ქარხანა „გრიფების“ მშენებლობა?**

— მშენებლობისთვის მზადება რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. იმ დროისთვის პროექტი უკვე მოდერნიზებული იყო, ამიტომ ჩვენ 1400MM პროექტის „გრიფებს“ ვაგებდით.

შემკვეთს, საბჭოთა სასაზღვრო-საზღვაო ძალებს, პირველი ბათუმური „გრიფი“ — 1980 წელს, ხოლო ბოლო მე-6 კი 1983 წელს ჩაბარდა.

1984 წლიდან ქარხანა „გრიფის“ ბაზაზე დაპროექტებული „გურზუფის“ (პ. 14670) ტიპის სასეირნო-სამსახურებრივი დანიშნულების კატარღებს აგებდა. 1991 წლამდე შემკვეთებმა 17 „გურზუფი“ მიიღეს.

**— როგორი იყო საქართველოში აგებული კატარღების სამსახურის გეოგრაფია?**

— როგორც ვიცი, პირველი სამი „გრიფი“ შავ ზღვაში ნოვოროსიისკისა და ოჩამჩირის მესაზღვრეთა ბაზებს (მე-6 საზღვაო მესაზღვრეთა ბრიგადა) გადაეცა, ხოლო მომდევნო ორი კი კასპიის ზღვაში კრასნოვოდსკისა (46-ე საზღვაო მესაზღვრეთა ცალკეული დივიზიონი) და ბაქოს (მე-17 საზღვაო მესაზღვრეთა ბრიგადა) მესაზღვრეთა ბაზებში გადანაწილდა.

1983 წელს მეც ვმონაწილეობდი კატარღის (საქარხნო №806) მშენებლობის დასრულებასა და გამოცდა-ჩაბარებაში, რომელიც ბალტიის ზღვაზე ვიბორგის (მე-2 საზღვაო მესაზღვრეთა ბრიგადა) სასაზღვრო ნაწილის ბაზის შემადგენლობაში შევიდა.

**— „გრიფი“ ზომით დიდი არ არის, მაგრამ მშენებლობისთვის აუცილებელ ლითონს, ძრავებს, შეიარაღებასა და სხვა აუცილებელ მაკომპლექტებლებს, ალბათ, სხვა ქალაქებიდან იღებდით?**

— მართლაც ტიპურ სასაზღვრო-სადარაჯო ხომალდებთან შედარებით „გრიფი“ პატარა კატარღაა და ამის მიუხედავად მასალებს, აგრეგატებს, კვანძებს, აპარატურასა თუ შეიარაღებას რამდენიმე ასეული (თუ არ მეშლება 700-ზე მეტი) ქარხნიდან და ფაბრიკადან ვიღებდით.

კუიბიშევის (ახლა სამარა) ალუმინის ქარხანა — ალუმინის პანელებს, ფურცლოვან და პროფილურ მასალებს გვაწვდიდა, ლენინგრადის (ახლა სანქტ-პეტერბურგი) მანქანათმშენებელი ქარხანა „ზვეზდა“ — მთავარ ძრავებს, ბაგაროდსკის მანქანათმშენებელი ქარხანა — დიზელ-გენერატორებს, ფეოდოსიის გემთსაშენი ქარხანა — რეზინა-ტექნიკურ ნაკეთობებს, ხარკოვის ქარხანა „ტეპლოავტომატი“ — ჰიდრავლიკურ სისტემებს, სევასტოპოლის ქარხანა „ერა“ — ელექტრომოწყობილობებს, უჟგოროდის მექანიკური ქარხანა — სახომალდე ავეჯს, ტულის მანქანათმშენებელი ქარხანა — შეიარაღებას და ა.შ.

კატარღის მაკომპლექტებელ ბევრ ნაწილს ლითონის მექანიკური დამუშავების საამქრო ამზადებდა, ხოლო ლითონის ქიმიურ დამუშავებას გალვანური დამუშავების საამქრო უზრუნველყოფდა.

კორპუსის დეტალების მომზადებითა და კვანძების ნაწილობრივი აწყობით დამამზადებელი საამქრო იყო დაკავებული. კატარღის მთლიანი აკრეფა კი გემთამწყობი საამქროს №2 ელინგის გემხარიხაზე მიმდინარეობდა.

**— საქართველოს საწარმოები თუ მონაწილეობდნენ კატარღების მშენებლობაში?**

— მაშინ ყველა საწარმოს წინასწარ დადგენილი მომწოდებლები ჰყავდა და შემდგომ რაიმე ცვლილებების შეტანა გამორიცხული იყო. თანაც საქართველოს მრეწველობა გემთმშენებლობისთვის სპეციფიკურ მაკომპლექტებლებს არ აწარმოებდა.

თუმცა ზოგჯერ შესაბამისი ხარისხის ფიცრებსა და ფანერას ბათუმის ხის დამამუშავებელი ქარხანა და ზოგიერთი სახეობის საღებავს ბათუმის ქიმიური ქარხანა გვაწვდიდა.

**— ფეოდოსიის ქარხანა ერთხანს წელიწადში 11 „გრიფსაც“ კი აგებდა, ხოლო ბათუმის ქარხანას მშენებლობის ტემპი ბევრად ნელი ჰქონდა. რა იყო ამის მიზეზი?**

— ქარხანას წელიწადში 2-3 „გრიფის“ აგება დაუგეგმეს, რადგან მაშინდელი ტერიტორია და საწარმოო სიმძლავრეები მეტის საშუალებას არ იძლეოდა. ჩვენთვის პრიორიტეტი მაინც პატარა კატარღები იყო და ყოველ თვეში 5 „სტრიჟს“, 3 „აისტს“, 10-12 БМК-ს, 1 НПК-სა და სხვადასხვა სპეცნაწარმს ვამზადებდით.

ახალ ტერიტორიაზე (ანგისა) გადასვლით ქარხანა მძლავრ საწარმოო ბაზას იძენდა და დიდი კატარღების, სადესანტო „სერნასა“ და წყალმტყორცნამძრავიანი „საიგაკის“ სერიული მშენებლობის პერსპექტივაც ჩნდებოდა.

არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ საბჭოური პოლიტიკაც, რომელიც საქართველოში თანამედროვე პროდუქციაზე ორიენტირებული საწარმოების შექმნით დაინტერესებული არ იყო.

**— როგორ მიმდინარეობდა „გრიფების“ გამოცდა და შემკვეთისთვის გადაცემა-რეკლამაციები თუ იყო?**

— კატარღების გამოცდა წინასწარ დადგენილი საგამოცდო პროგრამით ტარდებოდა და ის 2-3 კვირას (ამინდზეც იყო დამოკიდებული) გრძელდებოდა.

ქარხნის სპეციალისტები კატარღის ნაპირთან დგომისას ამოწმებდნენ და ცდიდნენ დიზელის ძრავებს, დიზელ-გენერატორებს, აპარატურას, ყველა დანადგარსა თუ სისტემას. შემოწმებას გადიოდა წყალშეუღწევადობაზე კატარღის კორპუსის წყალქვე-



1998 წლის ივლისში დასრულებულ P-104-ს შემკვეთის მოთხოვნით 23 მმ-იანი ЗУ-23-2 ტიპის ავტომატები დაუყენეს

შა ნაწილი, კინგსტონები, კარები და ილუმინატორები.

იმავდროულად, ეკიპაჟი დანადგარების ექსპლუატაცია-მოვლასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლით იყო დაკავებული.

ყველა ხარვეზის გამოსწორების შემდეგ ქარხნის სპეციალისტები ეკიპაჟთან ერთობლივად სასვლო გამოცდას იწყებდნენ, სადაც ექსპლუატაციისას მოსალოდნელი ყველა შემთხვევის გათვალისწინებით კატარღა გამოცდას 24-საათიან რეჟიმში (ზოგჯერ რამდენიმე საათი ან რამდენიმე დღე გრძელდებოდა) სრულ გამოცდას გადიოდა.

მას შემდეგ, რაც საგამოცდო პროგრამის ყველა პუნქტი შენიშვნების გარეშე იქნებოდა შესრულებული, კატარღას შემკვეთი იღებდა.

მე არ მახსოვს, რომ ბათუმური „გრიფების" რაიმე სერიოზულ დაზიანებასთან დაკავშირებული რეკლამაცია მიგვეღო.

**— რა განსხვავება იყო ფეოდოსიისა და ბათუმის ქარხნებში აშენებულ „გრიფებს" შორის?**

— ორივე ქარხნის „გრიფები" იდენტური იყო და მათი ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლებელი გახლდათ. ამას მხოლოდ ქარხნის სპეციალისტები ახერხებდნენ და ისიც ანძის ზედა კრონშტეინის მიხედვით, — ბათუმურ „გრიფებს" ზედა კრონშტეინის ვერტიკალური სამაგრი არ ჰქონდა.

**— როგორ შეაფასებდით კატარღის შესაძლებლობებს, ან პროექტს შემდგომი მოდერნიზაციისთვის რეზერვი თუ აქვს?**

— თავის დროზე საბჭოთა სტანდარტების მოთხოვნებით შექმნილი „გრიფი" კარგი საპატრულო კატარღა იყო, რომელიც ბაზირებისთვის განსაკუთრებულ პირობებს არ საჭიროებდა და სათადარიგო ნაწილების მხრივაც სირთულეები არ იყო.

პროექტი 50-ზე მეტი წლისაა და ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ ტექნიკურად და მორალურად მოძველდა. მაგალითად, კატარღის ელექტრომოწყობილობები, რომელიც 220 ვოლტ ძაბვასა და 400 ჰერცის სიხშირის დენზე მუშაობს და ამ მახასიათებლის აპარატურა ახლა ძნელი მოსაძებნია.

პროექტმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა. კატარღის გაბარიტებიდან გამომდინარე, ბათუმის შპს „მიდელის" პროექტი (MIDELI-GR) და შპს „საზღვაო ტექსერვისის" მოდერნიზებული კატარღა „ფაზისი", ალბათ, მაქსიმუმია.

თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლებელია სანავიგაციო და გარემოზე კონტროლის ელექტრონული აპარატურის უფრო დახვეწა, გარკვეულწილად საექსპლუატაციო მახასიათებელთა გაუმჯობესებაც.

***თემურ ჩაჩანიძე***

1993 წელს აფხაზებმა რუსებისგან ორი „გრიფი" მიიღეს და 23 მმ-იანი ЗУ-23-2 ტიპის ავტომატითა და 80 მმ-იანი უმართავი რაკეტების გამშვები ბლოკი Б8М1-ით აღჭურვეს



ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქარხანაში ძველ ტერიტორიაზე (ახლანდელი იახტკლუბი) 1991 წელს №807 და №808, ხოლო 1993 წლისთვის №809 და №810 კორპუსების მშენებლობა დაასრულა.

1993 წელს პირველი კორპუსის (№807) მშენებლობა გაგრძელდა და დასრულებისთვის აუცილებელი ყველა მაკომპლექტებელი ქარხნის საწყობებში ინახებოდა.

ჩვენი აგებული, გამართული და გამოცდილი კატარღა (ბორტი №762) 1995 წლის აგვისტოში აჭარის უშიშროების სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა.

პირველმა ქართულდროშიანმა სასაზღვრო-საპატრულო კატარღამ შემდგომში საბორტო №102 მიიღო.

1997 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეკვეთით მეორე კორპუსის (№808) მშენებლობა გაგრძელდა. კატარღა 1998 წლის ივლისში დასრულდა და ბორტი №888 ისევ აჭარის უშიშროების სამინისტრომ დაიტოვა. მოგვიანებით კატარღის ბორტზე #104 გამოჩნდა.

1998 წელს აჭარის მთავრობის დაფინანსებით მესამე კორპუსზე (#809) მუშაობა განახლდა და 1999 წლის ივლისში „გრიფი" (ბორტი #103) მწყობრში ჩადგა.

მეოთხე კორპუსზე (№810) მუშაობა პერიოდულად მიმდინარეობდა და ქარხნის დანგრევის წინ მისი მზადყოფნა 75-80% იყო. „გრიფის" დასრულება დაფინანსების უქონლობის გამო არ ხერხდებოდა, თორემ საწყობებში პროექტით გათვალისწინებული მაკომპლექტებლების 99% ინახებოდა.

2009 წელს, ქარხნის გემთამწყობი საამქროს დანგრევის შემდეგ, კორპუსი კარგა ხანს ღია ცის ქვეშ იდგა, სანამ 2010 წელს სანაპირო დაცვის ფოთის ბაზას არ გადაეცა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებითა და MIDELI-GR-ის პროექტით №810-ის ლამის 20-წლიანი სამშენებლო ციკლი დასრულდა და „ფაზისი" 2012 წლის 5 ივნისს ბათუმში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის მონაწილეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს გადაეცა.

# დაგვიანებული პატივი...

***ვუძღვნი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული მეომრის, რეზო ალავერდაშვილის ხსოვნას. კაპრალი რეზო ალავერდაშვილი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით და მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“.***



რეზო ალავერდაშვილი 1987 წლის 19 მაისს დაიბადა მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისში. მის ოჯახს ძალიან უჭირდა, პატიოსანი შრომით ირჩენდა თავს. რეზო და მისი ძმები ხშირად დადიოდნენ სოკოსა და ყვავილზე, რათა ცოტაოდენი ფული ეშოვათ. რეზო ძალიან განიცდიდა თავისი ოჯახის გაჭირვებას და სწორედ ამან განაპირობა მისი არჩევანი. 2007 წელს რეზო ჯარში გაიწვიეს. პირველივე გამოძახებაზე წავიდა. სამხედრო სავალდებულო სამსახური ვაზიანში გაიარა. სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ კი კონტრაქტს მოაწერა ხელი და პროფესიონალი ჯარისკაცი გახდა. 2008 წელს, აგვისტოს ომამდე ცოტა ხნით ადრე, რეზოს დედა გარდაეცვალა. ჩვენ, მისი მეგობრები და ნათესავები, იქ ვიყავით და ვეხმარებოდით. დედის ორმოცს რეზო ვეღარ დაესწრო. საქართველოში აგვისტოს ომი დაიწყო...

ომის დაწყებისთანავე რეზოს ასეული გაცხარებულ ბრძოლაში ჩაება. დიდი ბრძოლები გამოიარეს. რეზოს ბრძოლის ველიდან დაჭრილები გამოჰყავდა. თვითონაც დაჭრილი იყო, მაგრამ თავისი მეგობრები მაინც არ მიატოვა. სამი დაჭრილი ჯარისკაცი გამოიყვანა სამშვიდობოს. კიდევ ერთხელ შებრუნდა ბრძოლის ველზე. ამის შემდეგ ის აღარავის უნახავს... 2008 წლის აგვისტოს ომში უგზო-უკვლოდ დაიკარგა კაპრალი რეზო ალავერდაშვილი. მისი ცხედრის პოვნა და ამოცნობა მხოლოდ 2012 წელს გახდა შესაძლებელი. ამ ყველაფერს უფრო დაწვრილებით რეზოს ძმა — რამაზ ალავერდაშვილი გვიამბობს:

— რეზო 2007 წელს წავიდა ჯარში, სავალდებულო ჯარის დამთავრების შემდეგ კი — საკონტრაქტო სამსახურში. კარანტინი კოდაში გაიარა, შემდეგ სამი თვის განმავლობაში ორხევში გადიოდა სწავლებას, ბირთვისში კი წვრთნები ჩაუტარეს. სწავლობდა ჩასაფრებისა და გადაადგილების ხერხებს, პრაქტიკულ ბრძოლას. მოგვიანებით ისრაელისა და აშშ-ის სამხედრო ინსტრუქტორებმა წვრთნები ჩაუტარეს. მსახურობდა მეოთხე ბრიგადის I ბატალიონის III ასეულში. ასრულებდა ასეულის სერჟანტის მოვალეობას. როგორც მისი თანამებრძოლები ამბობენ, რეზო კარგი ჯარისკაცი იყო, არც ერთხელ არ დაურღვევია სამხედრო წესდება და დაკისრებულ მოვალეობას კარგად ასრულებდა.

**— გვიამბეთ რეზოს ბრძოლისა და დაღუპვის შესახებ.**

— რეზო ხშირად გვირეკავდა ხოლმე და თავის ამბავს გვატყობინებდა. 9 აგვისტოს დედაჩემის ორმოცზე უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ აღარ გამოუშვეს. სამხედრო ნაწილიდან გასვლისას ყველა ჯარისკაცს ტელეფონები დაატოვებინეს და ვეღარ ვუკავშირდებოდით. ბოლო საუბრისას გვითხრა, რომ დილით ადრე წამოვიდოდა და დედის ორმოცს დაესწრებოდა. დიდხანს ველოდით მის ზარს, მაგრამ ამაოდ. მოგვიანებით გავიგეთ, რომ საქართველოში ომი დაიწყო... რეზოს ასეული წინა ხაზზე იბრძოდა. ცხინვალში 8 აგვისტოს შევიდნენ. რეზო ხელშიც დაჭრეს და ფეხშიც, მაგრამ მაინც იბრძოდა. საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაჭრილი მეგობრები გამოჰყავდა უსაფრთხო ადგილას. ამის შემდეგ კი უკვალოდ გაქრა. ვეღარავინ გაიგო მისი ადგილსამყოფელი. ვესაუბრეთ მის გადარჩენილ ჯარისკაცს. გვითხრა, რომ რეზო ბრძოლის ველზე შებრუნდა კიდევ ერთი დაჭრილის გამოსაყვანად და დაიკარგა კიდეც. წლების შემდეგ გავიგეთ, რომ 9 აგვისტოს დაიღუპა. 21 წლის იყო მაშინ...

**— როგორ მოხერხდა რეზოს ცხედრის აღმოჩენა და იდენტიფიკაცია?**

— 2008 წლის 26 აგვისტოს საპატრიარქომ ცხინვალიდან გადმოასვენა 45 კაცი. ვისი ვინაობაც დააზუსტეს, ოჯახებს გადასცეს, ხოლო ვისი ვინაობაც ვერ გაიგეს, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე დაასვენეს. 2012 წლის 24 აპრილს მუხათგვერდიდან პროზექტურაში გადმოასვენეს და ექსპერტიზა ჩაუტარეს. ამ საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებდა. ეს პროცედურა 8 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. გამომძიებელმა დამირეკა და მითხრა, რომ ერთი ჯარისკაცი სიმაღლით ემთხვეოდა რეზოს მონაცემებს. ამის შემდეგ დნმ-ის ანალიზის გაკეთება მთხოვეს. ასეც მოვიქეცი და 10 დღეში პასუხი მოვიდა. ასე დადგინდა, რომ გარდაცვლილი ჯარისკაცი ნამდვილად რეზო იყო. აღსანიშნავია, რომ პირველი ექსპერტიზა 2008 წელს ჩაუტარდა, მაგრამ ვერ შეძლეს რეზოს ამოცნობა, ეხლა კი 100%-ით ამოიცნეს. ამოცნობას მე და მამაჩემი დავესწარით. ექსპერტის დასკვნის გაცნობის შემდეგ რეზოს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხეულის ნაწილები დავათვალიერეთ. შემდეგ რეზოს ნიჩბისში გადასვენება გადავწყვიტეთ. თავდაცვის სამინისტრომ ყველა ხარჯი თავის თავზე აიღო.

**2012 წლის 3 ნოემბერს რეზო ალავერდაშვილის ცხედარი მშობლიურ სოფელში — ნიჩბისში გადაასვენეს. უამრავი ხალხი ელოდა მის გადმოსვენებას. აქ იყვნენ ნიჩბისის მოსახლეობა, პოლიტიკოსები და სამხედროები. ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა სამხედრო პატივი მიაგეს სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირს. უამრავი ხალხი მოვიდა სამძიმარზე. გამომშვიდობების დროც დადგა. მის ცხედარს ჩოხოსნები მიასვენებდნენ. ასობით ადამიანი მიაცილებდა რეზოს უკანასკნელ გზაზე... სასაფლაოსთან საპატიო ყარაული იდგა. სამხედრო ორკესტრმა საქართველოს ჰიმნი დაუკრა. საპატიო ყარაულმა ავტომატები გაისროლა. რეზო ალავერდაშვილი სამხედრო პატივით დაკრძალეს. ყველამ დაიტირა ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც საქართველოს გმირად იქცა.**

ალიკა მერებაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გოლიათების დაბრუნება

**ჟურნალისტიკის თითქმის 230-წლიანი ისტორიის მიუხედავად, დირიჟაბლები აქტუალურობას ჯერ ისევ ინარჩუნებენ. მაგრამ თვითმფრინავების ფართო გავრცელებასთან ერთად, სამხედრო მიზნით დირიჟაბლების გამოყენების ეპოქა ძალიან მალე, გასული საუკუნის 30-იან წლებში დასრულდა. მიუხედავად ამისა, დღეს ამერიკელი სამხედროები დირიჟაბლებით ისევ არიან დაინტერესებული.**

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ავღანეთში ამერიკული სამხედრო კონტინგენტი მცირე ზომის აეროსტატებს იყენებს. ჰაერზე მსუბუქ საფრენ აპარატებზე დღე-ღამის ხედვის კამერები, თბოვიზორები და მაღალი მგრძნობიარობის პანორამული სენსორებია დამონტაჟებული.

გვარლზე გამოკიდებული აეროსტატები რამდენიმე კილომეტრ სიმაღლეზე აჰყავთ და კამერებით დანახული გამოსახულება კი სპეციალური სადენით მიწაზე ონლაინრეჟიმში გადაიცემა.

სამხედრო ავიაციასთან, მათ შორის უპილოტო საფრენ აპარატებთან შედარებით აეროსტატი გაცილებით ეფექტურია.

მაგალითად, მსხვილი ბაზის თავზე „ჩამოკიდებულ" აეროსტატს, თავისი მოვალეობის შესრულება შეუჩერებლივ რამდენიმე დღე შეუძლია და თან მის ქვეშ სრულ წრიულ სივრცეს ერთდროულად აკონტროლებს.

თავისი მინუსები აეროსტატებსაც აქვთ. დისლოკაციის ადგილის შესაცვლელად, ჰაერზე მსუბუქი საფრენი აპარატი მიწაზე უნდა დაუშვა, სახმელეთო სადგურს ადგილმდებარეობა შეუცვალო და შემდეგ ჰაერში ხელახლა აუშვა, რასაც დრო სჭირდება. ამ შემთხვევაში დირიჟაბლი უფრო პრაქტიკულია.

ამიტომაც ამერიკელებმა სამხედრო დირიჟაბლების აღორძინება და ავღანეთში გამოყენება გადაწყვიტეს. ასე ჩაეყარა საფუძველი პროგრამა LEMV-ს (Long Endurance Multi-intelligence Vehicle — ხანგრძლივი მოქმედების მრავალმიზნობრივი სადაზვერვო საშუალება), რომელიც სამხედრო დაზვერვისთვის სრულიად ახალი დირიჟაბლის შექმნას ითვალისწინებდა.

დირიჟაბლების პოპულარობა XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო. 1900-იანი წლების დასაწყისში ისინი უკვე ფართოდ გავრცელდნენ. იმ დროისთვის საკმაოდ ძვირად ღირებული დურალუმინის ხისტი კონსტრუქციის დირიჟაბლი „ცეპელინები" პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების ბირთვს წარმოადგენდნენ.

დაზვერვის გარდა, გერმანელები სიგარის ფორმის გოლიათებს მოწინააღმდეგის პოზიციებისა და ქალაქების დასაბომბადაც იყენებდნენ.

**პროექტის განხორციელების შემთხვევაში, „ლურჯი ეშმაკი" აშშ-ს ყველაზე დიდი სამხედრო საფრენი აპარატი იქნებოდა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



**წმინდა სავაჭრო-სატრანსპორტო ფუნქციების გარდა, გიგანტური დირიჟაბლების დაბრუნება მეტწილად სამხედრო ინტერესებით არის განპირობებული. უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში საჯარისო შენაერთების მომარაგების სპეციფიკა მკვეთრად შეიცვალა და სამხედროები სულ უფრო ხშირად მოცულობითი ტვირთის (ტყვია-წამლით დაწყებული და ტანკებით დამთავრებული) მაქსიმალურად მცირე დროში მოუმზადებელ რაიონებში გადასროლას მოითხოვენ, სადაც ინფრასტრუქტურა მოძველებულია ან საერთოდ არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში დიდი ტვირთამწეობის სამხედრო-სატრანსპორტო დირიჟაბლი შეუცვლელია.**

**30-იანი წლების ბოლოს დირიჟაბლების ეპოქა დასრულდა, რადგან თვითმფრინავებს, შემდგომ კი შვეულმფრენებს კონკურენციას ვერ უწევდნენ. თუმცა ჰაერზე მსუბუქ ამ საფრენ აპარატს ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდა, — მას საწვავის მინიმალური ხარჯით, ჰაერში დიდი ხნით ერთ ადგილზე „ჩამოკიდება“ შეეძლო.**

2012 წლის ზაფხულის ბოლოს აშშ-ში ლეიქჰერსტის ბაზიდან კომპანიების Northrop Grumman-ისა და Hybrid Air Vehicles-ის ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი გიგანტი HAV-304 აფრინდა.

90 წთ-იანი პირველი საცდელი ფრენის შემდეგ, აპარატი მიწაზე დაეშვა. სხვათა შორის, ამავე ბაზიდან 1929 წელს გერმანული დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინი“ დედამიწის გარშემო მოგზაურობაში გაფრინდა.

HAV-304-ის საგამოცდო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, 2013 წლის დასაწყისში დირიჟაბლს ავღანეთში, რეალურ საბრძოლო პირობებში სამოქმედოდ გაუშვებენ.

რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე ბარაჟირებადი დირიჟაბლი დიდ ტერიტორიაზე უწყვეტ დაკვირვებას აწარმოებს. ამისთვის მას თანამედროვე სათვალთვალო სისტემებითა და შესაბამისი აპარატურით აღჭურვავენ. მის ფუნქციებში იქნება: მნიშვნელოვანი გზების კონტროლი, თალიბთა ჯგუფების ადრეული აღმოჩენა და საკუთარ საჯარისო შენაერთებს შორის კომუნიკაციის დამყარება. შემდგომ ეტაპზე ამერიკელი სამხედროები 7 ტ ტვირთამწეობის HAV-304-ს 3600 კმ-მდე მანძილზე ტვირთის გადასატანად გამოყენებას უპირებენ.

ფრენის დიდი სიმაღლის წყალობით დირიჟაბლი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისთვისაც მიუწვდომელი დარჩება.

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში შექმნილ ლეგენდარულ „ჰინდენბურგთან“ (სიგრძე 240 მ, დიამეტრი 41 მ) შედარებით HAV-304-ს ზომით უფრო მოკრძალებულია (სიგრძე 91 მ) აქვს, მაგრამ ოპტიკურ-ელექტრონული დეტექტორებით, რადიოელექტრონული ბრძოლის სისტემებით, რადარებითა და რეტრანსლატორებით დატვირთულს ჰაერში განუწყვეტლივ ყოფნა სამი კვირა შეუძლია. ამასთან, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ის 10-ჯერ ნაკლებ საწვავს მოიხმარს, ვიდრე ანალოგიური დანიშნულების სხვა საფრენი აპარატი.

უპილოტო აპარატებში საწვავის ხარჯი გაცილებით მცირეა და მათი ჩამოგდებაც არც ისე მარტივია. თუმცა დირიჟაბლისგან განსხვავებით უპილოტოს ჰაერში „ერთ ადგილზე ყოფნა“ არ შეუძლია და თანაც დიდი ფართობის ერთდროული კონტროლი ბევრ აპარატს საჭიროებს. ასეთ შემთხვევაში კრიტერიუმი „ღირებულება-ეფექტურობა“ უპილოტოების სასარგებლოდ არ იქნება.

მრავალ უპირატესობასთან ერთად, HAV-304 ოპციონალურად პილოტირებადი საფრენი აპარატია, ანუ მისი მართვა როგორც კაბინიდან, ასევე მიწიდან (თანამგზავრის საშუალებით) — დისტანციურად შეიძლება. უკანასკნელ შემთხვევაში 18-დირიჟაბლიანი ჯგუფის სამართავად მოწინავე ბაზირების ზონაში მხოლოდ ათი ოპერატორის ყოლაა საჭირო. მაშინ როდესაც თითოეულ უპილოტო აპარატს ერთი ოპერატორი ემსახურება.

უპილოტო აპარატი დირიჟაბლს ვერც სასარგებლო დატვირთვით შეედრება. HAV-304-ის შემთხვევაში 7 ტ-იანი ტვირთამწეობის „შევსება“ ბომბებითა და რაკეტებით შეიძლება, რაც საბრძოლო ეფექტურობას გაზრდის.

პროგრამა LEMV-ით აშშ-ში კიდევ ერთი სუპერდირიჟაბლი იქმნებოდა. 110 მ-ის სიგრძის Blue Devil-ს („ლურჯი ეშმაკი“) აშშ-ის ყველაზე დიდი საფრენი აპარატი უნდა ყოფილიყო. სადაზვერვო აპარატურით აღჭურვილი დირიჟაბლის გამოყენება ავღანეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგეგმებოდა, რისთვისაც მას დღე-ღამის ხედვის კამერები, სითბოვიზორები, რადიოელექტრონული დაზვერვის სისტემები, კარტოგრაფირებისა და საკომუნიკაციო აპარატურა უნდა ჰქონოდა.

მთავარი კომპონენტი კი სისტემა WAAS-ი უნდა ყოფილიყო. მის შემადგენლობაში 96 კამერა შედის, რომელთა გამოყენებით ადგილმდებარეობის ერთდროული გაკონტროლება 12 კმ-ის რადიუსში შეიძლება. 6 კმ-ის სიმაღლეზე „ჩამოკიდებული“ „ლურჯი ეშმაკი“ ჰაერში ყოფნას 5 დღე შეძლებს.

სპეციალისტები „ლურჯი ეშმაკის“ აღჭურვას სუპერკომპიუტერით აპირებდნენ, რომელიც საათში 300 ტერაბაიტამდე ინფორმაციის (კამერებისგან მიღებული ფოტოები) გადაამუშავებს. შედარებისთვის: ამ მოცულობის ინფორმაციის გადამუშავებისთვის 2 000 კაცია საჭირო.

დირიჟაბლის შექმნის ხელშეკრულებას ხელი 2010 წლის ოქტომბერში მოეწერა და გეგმით 2012 წლის თებერვალში საგამოცდო პროგრამით




გამოცდების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, 2013 წლის დასაწყისში HAV-304-ს ავღანეთში, რეალურ საბრძოლო პირობებში სამოქმედოდ გაუშვებენ

ავღანეთში უნდა გაეგზავნათ. თუმცა იმ პერიოდისთვის მას პირველი აფრენაც არ ჰქონდა შესრულებული და საბოლოოდ აშშ-ის თავდაცვის უწყებამ „ლურჯ ეშმაკზე“ უარი თქვა.

დახურვის მიზეზი დირიჟაბლის შექმნის ვადის გაწელვა და პროექტის თითქმის ორჯერ გაძვირება იყო. თავდაპირველად სამხედრო-საჰაერო ძალები პროექტზე 86 მლნ დოლარის დახარჯვას აპირებდნენ, მაგრამ 2012 წლის მარტში კონგრესმა „ლურჯი ეშმაკის“ დასრულებაზე დამატებით 211 მლნ დოლარი გამოყო. პროექტის დასაჩქარებლად და თანხების ეკონომიისთვის სამხედროებმა რთულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და დირიჟაბლის უპილოტო რეჟიმში მართვაზე უარი თქვეს. ამ რადიკალურმა ნაბიჯებმა „ლურჯი ეშმაკი“ მაინც ვერ გადაარჩინა. პროექტის დახურვას ის გარემოებაც მოწმობს, რომ 2013 წლის თავდაცვის ბიუჯეტში ეს დირიჟაბლი არ ფიგურირებს.

**ალექსანდრე აფაქიძე**

**პროგრამა LEMV-ში კიდევ ერთი მონაწილე კომპანია Lockheed Martin-ის P-791-ის ტიპის დირიჟაბლია. ამ თემატიკაზე კომპანიის განყოფილება SkunkWorks-ი 1990 წლიდან მუშაობს. სხვათა შორის, სწორედ ამ განყოფილებაში შეიქმნა ლეგენდარული მზვერავი თვითმფრინავები U-2 და SR-71.**

**P-791-ის დამზადება 2005 წელს დასრულდა. ჰიბრიდული ტიპის დირიჟაბლის (ჰიბრიდული დირიჟაბლი ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატია, რომელიც აფრენისთვის ამწევ ძალას იყენებს და ამასთან, საკუთარი ძრავებიც აქვს) სიგრძე 37,5 მ, სიგანე კი 16 მ-ია. მისი კონსტრუქციის ყველა კომპონენტი, ჯიხური, ძრავები, საწვავის სისტემა, მართვის ორგანოები ჰელიუმით სავსე გარსზე მაგრდება. თავად გარსი სპეციალური, კევლარის მსგავსი მტკიცე მასალისგან, ვექტრანისგანაა დამზადებული.**

**კონსტრუქციული თავისებურებიდან გამომდინარე, ჰიბრიდული დირიჟაბლი აფრენა-დაფრენისთვის გარკვეული სიგრძის ასაფრენ-დასაფრენ ზოლს საჭიროებს.**

**P-791 პირველად 2006 წლის 31 იანვარს აფრინდა. მისი ოთხი ძრავა 56 კმ/სთ-ში სიჩქარეს ავითარებს. თავიდან სამხედროები დირიჟაბლით კმაყოფილი იყვნენ და პროექტის დაფინანსებასაც გეგმავდნენ (დირიჟაბლი „ლოქჰიდ მარტინმა“ საკუთარი ფინანსებით შექმნა). თუმცა P-791-ის პროტოტიპი მხოლოდ მომავალი დირიჟაბლის სადემონსტრაციო ვარიანტი იყო და დახვეწას საჭიროებდა. ამას გამოცდისას გამოვლენილი სხვადასხვა გაუმართაობაც დაემატა და საბოლოოდ სამხედროებმა P-791-ზე უარი თქვეს. ერთხანს მის გამოყენებას სატვირთო-სატრანსპორტო მიზნით აპირებდნენ, რასაც მისი 20 ტ-იანი ტვირთამწეობაც ხელს უწყობდა, მაგრამ ეს ვარიანტი ჯერჯერობით ჰაერშია გამოკიდებული.**



# კავკასიური მოვლენები



აზერბაიჯანი ჯავშანავტომობილი Cobra-ს დამატებითი პარტიების აპირებს

## აზერბაიჯანი

- 2020 წლისთვის აზერბაიჯანი ჯავშანტექნიკის პარკის მნიშვნელოვანი ნაწილის განახლებას გეგმავს. პროცესი ადგილობრივი წარმოებისა და სხვა ქვეყნებში (არაპოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები) გაკეთებული შესყიდვების ხარჯზე განხორციელდება. პირველ ეტაპზე დაგეგმილია БРДМ-ის, БТР-60-ისა და БТР-70-ის უფრო თანამედროვე ტექნიკით შეცვლა. არჩევანი გაკეთებულია თურქული Cobra-ს სასარგებლოდ და გადაწყვეტილია დამატებითი პარტიების შესყიდვა. გარდა ამისა, დაინტერესებული არიან თურქული Arma-თი, Pars-ითა და Ejder-ით. პარალელურად თურქულ ფირმებსა და სამხრეთაფრიკულ Paramount Group-თან ერთობლივად წარმოების საკითხიც განიხილება.
- იარაღით ვაჭრობის ანალიზის საერთაშორისო ცენტრის (SAMTO) მონაცემებით 2012 წელს აზერბაიჯანმა 804 მლნ დოლარის შეიარაღება შეიძინა და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მე-18 ადგილი დაიკავა.
- ქალაქ განჯის სამხედრო სასამართლომ ეროვნული არმიის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცი გაასამართლა, რომელიც თანამებრძოლთა გაუპატიურებაში იყო ბრალდებული. სასამართლომ მას 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.
- განვლილ წელს თავდაცვითი მრეწველობის ერთ-ერთმა ქარხანამ თურქულ კომპანია Tisas-თან ერთობლივად სამი მოდელის — Inam-ის, Zefer-ისა და Zefer-K-ს 1 600 პისტოლეტი დაამზადა.
- ჟურნალისტური კვლევების „დოქტრინის“ მონაცემებით, 2013 წლის იანვარში აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში არასაბრძოლო მიზეზებით 6 სამხედრო დაიღუპა და 3 დაიჭრა.
- ახალგაზრდობის სამხედრო მომზადების გასაუმჯობესებლად აზერბაიჯანის საშუალო სკოლებში, სადაც 500-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს, სპეციალური კლასები გაიხსნება. კლასები სრულად აღიჭურვება ტრენაჟორებით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო იარაღითა და ხელყუმბარებით.
- აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის არაზ აზიმოვის თქმით, აეროპორტის გახსნას ქალაქ ხოჯალიში (სტეფანაკერტი) ჰუმანიტარული მიზნები არა აქვს და აზერბაიჯანი სამოქალაქო თვითმფრინავების ჩამოგდებასაც არ აპირებს. ჩიკაგოს კონვენციის შესაბამისად აზერბაიჯანი უკანონო ფრენებს თვითმფრინავების ზოგიერთ აეროდრომზე იძულებით დაჯდომით შეწყვეტს. აზიმოვის განმარტებით, ყარაბაღში დაახლოებით 30 ათასი სომეხი ცხოვრობს და მათ უზრუნველსაყოფად ლაჩინის დერეფანი საკმარისია, სადაც ყოველდღე მინიმუმ 70 სატვირთო ავტომობილი გადაადგილდება. მინისტრის მოადგილეს მიაჩნია, რომ სომხეთს საჰაერო დერეფანი ყარაბაღი დამატებით შეიარაღების შესატანად სჭირდება.
- 5 თებერვალს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის შედეგად ხოჯავენდის რაიონში სოფელ კუროპატკინოს მახლობლად დაიღუპა აზერბაიჯანელი

შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების 21-ე წელთან დაკავშირებით ერევანში სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო სამსახურში მყოფი სომეხი ეროვნების სამხედროები ჩავიდნენ



# მიმოხილვა



ცხინვალში საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზამ შექმნის მე-4 წელი აღნიშნა

ჯარისკაცი. იმავე დღეს ასევე დაიღუპა ლეიტენანტი ტურალ ნადირ-ოღლი ასკეროვი, ხოლო ფრონტის ალდამის მონაკვეთზე 20 წლის ჯარისკაცი დაიჭრა.

რაც თითოეულ პოლკში უმაღლესი განათლების მქონე, პროფესიონალი ფსიქოლოგი-ოფიცრის შტატის შემოღებას შეეხება.

## სომხეთი

● 25 იანვარს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების 21-ე წელთან დაკავშირებით ერევანში ჩავიდნენ სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო სამსახურში მყოფი სომეხი ეროვნების სამხედროები: რუსეთიდან — გენერალ ლეიტენანტი ნორატ ტერ-გრიგორიანცი, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმირ ჩობანიანი, გენერალ-მაიორი რომან არუთინოვი, ლიბანიდან — ბრიგადის გენერალი პანოს მანჯიანი, ჩილედან — ვიცე-ადმირალი ერნან კუიმჯიანი, საფრანგეთიდან — პოლკოვნიკი რუბიკ გალსტიანი. სტუმრები ეწვიენ ვაზგენ სარქისიანის სახელობის სამხედრო ინსტიტუტს, იმყოფებოდნენ აზერბაიჯან-სომხეთის გამყოფ ხაზზე, სადაც გაეცნენ სამსახურის პირობებსა და პირად შემადგენლობას გაესაუბრნენ.

● 31 იანვარს საღამოს ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში სავალდებულო-სამხედრო სამსახურში მყოფმა ჯარისკაცმა მეკავშირე ასეულის იარაღის ოთახში ავტომატის გასროლით თავი მოიკლა.

● 5 თებერვალს სომხეთის პარლამენტმა კანონში „სომხეთის შეიარაღებულ ძალების შიდა სამსახურის დამტკიცების შესახებ“ პირველი წაკითხვით მოიწონა შესწორებების შეტანა,

## კონფლიქტის რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● სეპარატისტთა სამხედრო უწყების დელეგაცია — მინისტრის პირველი მოადგილის გენერალ-მაიორ ბესლან წვიჟბას, მინისტრის მოადგილის სტატს-მდივნის ნოდარ ფილიასა და აღმოსავლეთის დაჯგუფების სარდლის გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმირ ანუას შემადგენლობით მონაწილეობდა დნესტრისპირეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის დედაქალაქ ტირასპოლში აფხაზეთსა და დნესტრისპირეთის შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მე-20 წელთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

● რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ რაშიდ ნურგალიევმა გალის რაიონში მდინარე ენგურის ნაპირზე განლაგებული რუსეთის საოკუპაციო ჯარების სასაზღვრო საგუშაგოები დაათვალიერა და აღნიშნა, რომ „საზღვრის დაცვის საქმეში რუსი და აფხაზი მესაზღვრეები წარმატებით ურთიერთქმედებდნენ“.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 1-ელ თებერვალს საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზამ შექმნის მე-4 წელი აღნიშნა. ბაზის მეთაურის გენერალ-მაიორ ალექსანდრ შუშუკინის თქმით, განვლილ სასწავლო წელს ბაზის პირადი შემადგენლობისთვის 2500-ზე მეტი მეცადინეობა და 40-ზე მეტი საასეულო-საბატალიონო ტაქტიკური სწავლება ჩატარდა.

### თვითაღიარებული ყარაბაღი

● ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია The HALO Trust-ი ქვეყნის ტერიტორიის ფეთქებადსაშიში საგნებისგან გასუფთავებას განაგრძობს. პროგრამის ხელმძღვანელის ნიკ სმარტის თქმით, მუშაობა 2013 წელსაც გაგრძელდება და ყარაბაღის ფეთქებადსაშიში საგნებისგან მთლიანად გასუფთავებას კიდევ დაახლოებით 5 წელი დასჭირდება. შარშან ფეთქებადსაშიშ საგნებზე აფეთქების 5 შემთხვევა აღინიშნა და 6 კაცი დაშავდა.

● თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა შეხების ხაზის პერიმეტრზე ფრენები შეასრულეს. ყარაბაღის საჰაერო თავდაცვის ძალებმა ყველა სამიზნე დროულად აღმოაჩინეს და კონტროლზე აიყვანეს.

**თემურ ჩაჩანიძე**

ნურგალიევის შეფასებით საზღვრის დაცვაში რუსი და აფხაზი მესაზღვრეები წარმატებით ურთიერთქმედებდნენ





არსენალი
Sikorsky
S-76 Spirit
PESCA 1
GARDACOSTAS
DE GALICIA
EC-JES

# გვიანი პერიოდის რაინდები

ეროვნული ბიბლიოთეკა



**156** ჯავშნიანი რაინდები მეტად დიდი ძალა იყო. რაინდებს საუკეთესო იარაღი და აბჯარი ჰქონდათ და გამოცდილი მეომრები იყვნენ. ამიტომ ხშირად ჯარში მეთაურებად ნიშნავდნენ.

**157** ხანდახან რაინდები ქვეითადაც იბრძოდნენ. მაგალითად, დაახლოებით 1300 წლიდან ინგლისელი რაინდები ქვეითად იბრძოდნენ. ეს მათ საშუალებას აძლევდა უსაფრთხო პოზიცია დაეკავებინათ და თანამებრძოლებთანაც მჭიდრო კავშირი ჰქონოდათ.

► თუ ბაცინეტის ტიპის მუზარადის ზარადს ასწევდა, მეომარი მტერსაც დაინაზავდა და სუნთქვაც შეეძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**158** ბრძოლაში დაცვა ცხენსაც სჭირდებოდა. მისთვის აბჯარს ლითონისა და ტყავისგან ამზადებდნენ. დაახლოებით 1300 წლიდან რაინდები ცხენებს სხვადასხვა სახის აბჯრით მოსავდნენ. უაბჯრო ცხენი შეიძლებოდა დაჭრილიყო ან მოეკლათ და რაინდი უცხენოდ დარჩენილიყო.

▶ ცხენს აბჯარი თავსა და კისერზე ჰქონდა ჩამოცმული, კალთები კი ტანს უფარავდა.

**159** კისტენი მომაკვდინებელი იარაღი იყო. ეკლებიანი დიდი ლითონის ბურთი ან კეტი ხის ტარზე ჯაჭვით იყო მიმაგრებული. მას საშინელი ჭრილობების მიყენება შეეძლო, მაგრამ შეიძლებოდა მოულოდნელად პატრონსაც მოხვედროდა, ამიტომ მისი გამოყენება მხოლოდ მათ შეეძლოთ, ვინც ყოველდღე საათობით ვარჯიშობდა.



▼ რაინდი კისტენით ებრძვის მტერს.

**160** თითოეულ მეომარს თავისი ადგილი ჰქონდა ბრძოლაში. ბრძოლის წინ მეთაური მეომრებს ისე განალაგებდა, რომ თითოეულის შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოეყენებინა; საუკეთესოდ შეჯავშნულ მეომრებს მტრის მოსალოდნელი შეტევის ადგილას განათავსებდა, მშვილდოსნებს კი ფლანგებზე (მარცხენა და მარჯვენა მხარეს), საიდანაც ისრებს მთელ ბრძოლის ველზე აწვდენდნენ. მსუბუქად აღჭურვილი მეომრები ზურგში იდგნენ და თუ მტერი უკუიქცეოდა, მზად იყვნენ მოწინააღმდეგეზე დასადევნებლად.

# უდაბნოს ბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



**161** მშვილდებს სხვადასხვა მასალისგან აკეთებდნენ. შუა აღმოსავლეთის უდაბნოების მეომრები სამშვილდედ ცხოველის რქას, ძვალსა და მყესებს იყენებდნენ. მათ შერეული მშვილდები ეწოდებოდა და ისრებს უფრო დიდი ძალით ისროდნენ, ვიდრე გრძელი მშვილდები.

► მოღუნული მშვილდი პატარა, მაგრამ ძლიერი იყო.

**162** მონღოლები მსუბუქ ჯავშანს ატარებდნენ. ცენტრალური აზიის მკვიდრ ტომებს, რომელთაც მონღოლები ერქვათ, ჩინგიზ-ყაენი (1162-1227) მეთაურობდა. მონღოლთა აბჯარი მსუბუქი იყო, რადგან ცენტრალურ აზიაში რკინა არ იშოვებოდა. მსუბუქი ჯავშნის წყალობით მონღოლები ცხენებს სწრაფად დააქროლებდნენ და უეცარი თავდასხმა იცოდნენ.





► მაჰმადიანი მეომარი, რომელსაც ფირფიტებიანი აბჯარი აცვია, სციმიტარს იქნევს. მაჰმადიან მეომრებს ეცვათ ფართო ხალათები, თავზე კი ჩალმები ეხურათ, რომ უდაბნოს სიცხეს გამკლავებოდნენ.

**163** მოღუნულ ხმლებს სციმიტარი ეწოდებოდა. დამასკოელმა მჭედლებმა ხმლის გამოჭედვის ახალი მეთოდი დაახლოებით 1100 წელს გამოიგონეს. სანამ საბოლოოდ გამოჭედნენ, გავარვარებულ ფოლადს რამდენიმე ფენას ადებდნენ. ახალი ტიპის ფოლადით აკეთებდნენ მოღუნულ ხმლებს, რომელიც მსუბუქიც იყო და პირბასრიც. მას სციმიტარი ეწოდებოდა.

**164** შუააღმოსავლურ აბჯარს მოგრძო ლითონის ფირფიტები ჰქონდა. ფირფიტები მხოლოდ ცალი ბოლოთი იყო ერთმანეთზე მიმაგრებული და თავისუფლად მოძრაობდა, თუმცა კი მეომარს ხმლის დარტყმისგან იცავდა. ასეთი აბჯარი, მსუბუქი, კომფორტული და ეფექტური იყო, მაგრამ ძვირი ღირდა.

**165** უდაბნოს სიცხის გამო აბჯარი მსუბუქი იყო. ფირფიტებიანი აბჯარი, რომელსაც ევროპაში იყენებდნენ, შუა აღმოსავლეთის უდაბნოებში არ გამოდგებოდა. ლითონის ფირფიტები ჰაერის მოძრაობას აჩერებდა და სატარებლადაც მოუხერხებელი იყო. XIII-XIV საუკუნეებში უდაბნოს მებრძოლები ფართო მოსასხამებს ატარებდნენ, მსუბუქი მეტალის ფირფიტებით.



◄ მონღოლების არმია კიევის რუსეთის მეომრებს უტევს. მართალია, მონღოლთა იარაღი სტეპებსა და უდაბნოებში საბრძოლველად იხმარებოდა, მაგრამ ტყეებშიც ეფექტური იყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხაკისფერი ლითონის ცხენები



ამ ორ ფოტოს შორის სხვაობა დაახლოებით ასი წელია, თუმცა ორივე შემთხვევაში მოტოციკლეტი ერთსა და იმავე დანიშნულებას ასრულებს



**1990 წლის აგვისტოს დასაწყისში სადამ ჰუსეინის არმიამ ქუვეითის ოკუპაცია მოახდინა, რამაც აგრესორთან საბრძოლველად მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მრავალნაციონალურ ჯარებში გააერთიანა.**

**კოალიციის ჯარებისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებისთვის ერთ-ერთ დიდ საფრთხეს ერაყელთა Scud-ის ტიპის ბალისტიკური რაკეტები წარმოადგენდა. უდაბნოს ქვიშებში მობილურ გამშვებ დანადგარებზე დაყენებული შცუდ-ების ძებნაში ბრიტანელი SAS-ის მებრძოლები მონაწილეობდნენ. ზოგიერთი ჯგუფი გადაადგილებისთვის მოტოციკლეტებს იყენებდა.**

სახელგანთქმულმა გოტლიბ დაიმლერმა 1885 წელს საზოგადოებას უცნაური მანქანა, ძრავიანი ველოსიპედი, ანუ მოტოციკლეტი წარუდგინა. ოღონდ ამ ველოსიპედს უკანა ღერძზე ორი პატარა ბორბალი ჰქონდა დამატებული, რადგან გამომგონებელს ორთვლიანი ველოსიპედით სიარული არ შეეძლო და წონასწორობას ასე უფრო ინარჩუნებდა.

დაიმლერის ამ ქმნილებას რკინით შემოსალტული ხის ბორბლები და ხისგან დამზადებული ჩარჩო ჰქონდა, რომელზეც 0,5-ცხ.ძალიანი, ბენზინსა და ნავთზე მომუშავე ძრავა იყო დაყენებული.

ძრავის ასამოქმედებლად საჭირო იყო ბენზინით სპილენძის ვარვარების მილაკის გაცხელება, რაც თავის მხრივ საწვავს აალებდა, ხოლო ძრავის ამუშავება კი მოსამართი სახელურით დაახლოებით ერთწუთიან ტრიალს მოითხოვდა.

გავიდა 12 წელი და გერმანელმა გამომგონებელმა მაქს კუდელმა 1897 წელს დაამზადა 2,75-ცხ.ძალიანი ძრავით აღჭურვილი ტრიციკლი Cudell-ი, რომლითაც სამხედროებს ოფიცრების გადაყვანა და მსუბუქი ქვემეხების გაწევა შესთავაზა.

მომდევნო ნაბიჯი ბრიტანელმა ფრედერიკ სიმსმა გააკეთა და დაჯავშნული კვადროციკლი ე.წ. Motor Scout-ი (მოტორიზებული ეტლი) 1898 წლის აპრილში რიჩმონდის გამოფენაზე წარმოადგინა.

სიმსმა კვადროციკლ Beeston-ს 1,5-ცხ. ძალიანი De Dion-ის ძრავა და

წინიდან ჯავშანფარით დაცული Maxim-ის ტყვიამფრქვევი დაუყენა, მაგრამ ერთი კაცისთვის კვადროციკლის ტარება და თან ტყვიამფრქვევის დამიზნებით სროლა განსაკუთრებით მოძრაობისას რთული გამოდგა.

მსგავსი მანქანის შექმნაზე ატლანტის ოკეანის გადაღმა აშშ-ის არმიის მაიორი, როიალ დევიდსონი მუშაობდა და ჩარლზ დიურეის (იმ პერიოდის ავტოტექნიკის ერთ-ერთი ცნობილი მწარმოებული) კონსტრუქციისველოსიპედის შასიზე 1898 წელს პირველი ამერიკულ საბრძოლო მანქანა — ტრიციკლი Davidson-Duryea Gun Carriage (3X2) ააწყო.

დევიდსონმა შასი წინა მხრიდან ჯავშანფარით დაცული 7,62 მმ-იანი Colt-Browning M1895 მოდელის ტყვიამფრქვევით აღჭურვა და მომსახურებისთვის სამკაციანი ეკიპაჟიც (მძღოლი, მსროლელი და მექანიკოსი) შეადგინა.

არმიული სამსახურისკენ მოტოციკლეტი გზას ნელ-ნელა იკვლევდა და აქაც პირველი გერმანელები აღმოჩნდნენ.

1904 წელს გერმანიის არმიის სატრანსპორტო ჯარების საცდელმა ქვედანაყოფმა „ბერლინმა" ბალტიის სანაპიროზე სწავლებისას NSU-ს ფირმის 11 მოტოციკლეტი კურიერად და ტყვიამფრქვევისთვის თვითმავალ ლაფეტად გამოიყენა.

იმავე პერიოდში გაჩნდა შემტევი მოტორიზებული ნაწილების ჩამოყალიბების იდეა, სადაც ქვეითები მოტოციკლეტებით ფრონტის ხაზის გარღვევასა და მოწინააღმდეგის ზურგში შეტევის სწრაფად განვითარებას შეძლებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ არმიის მოტორიზაციის მხრივ გერმანია სხვა ქვეყნებზე წინ იდგა, 1913 წლიდან მოტოციკლეტებისთვის ბევრად მეტი ადგილი ამერიკის არმიაში მოინახა.

ამერიკელმა სამხედროებმა Indian-ებსა და Harley-Davidson-ებში კურიერობასთან ერთად დაინახეს საცეცხლე მხარდაჭერის, დაჭრილებისა (ეტლზე ერთმანეთის თავზე ორი საკაცე იყო მოთავსებული) და საფოსტო მტრედების გადამყვანი საშუალებები.

საბრძოლო დანიშნულებით კი მოტოციკლეტები პირველად მექსიკელი რევოლუციონერის პანჩო ვილიას რაზმებმა 1916 წელს მექსიკის მოსაზღვრე ამერიკულ დასახლებებსა და ქალაქებზე თავდასხმისას გამოიყენეს.

ამერიკელმა სამხედროებმა გამოსავალი ისევ მოტოციკლეტებში დაინახეს და დახმარებისთვის Harley-Davidson-ს მიმართეს, რომელმაც არმიას მექსიკელებთან საბრძოლველად 35 მოტოციკლეტი გადასცა.



XX საუკუნის დასაწყისში მოტორიზებული კავალერიის შეტევა ასეთნაირად იყო წარმოდგენილი

მოტოციკლეტები მცირე რაოდენობით კავკასიის რუსეთის არმიასაც ჰყავდა, როცა 1915 წელს თბილისში 29-ე ავტოსატყვიამფრქვევო ოცეული სამი დაჯავშნული ავტომობილითა (Benz-ი, Pierce-Arrow-ი და White-ი) და 4 მოტოციკლეტით ჩამოვიდა.

კავკასიის ფრონტზე მოტოციკლეტები მეტწილად მეკავშირის დანიშნულებას ასრულებდნენ.

დამოუკიდებელი საქართველოს არმიის საინჟინრო-სატექნიკო ჯარების შემადგენლობაში მყოფ საავიაციო დივიზიონს შტატით 4 მოტოციკლეტი ეკუთვნოდა. ასევე გამორიცხული არ არის, რომ მოტოციკლეტები ავტოჯავშნოსანთა რაზმსაც ჰყოლოდა.

პირველი მსოფლიო ომის მონაწილე თითქმის ყველა ქვეყნის არმია მოტოციკლეტებით იყო აღჭურვილი, მაგრამ პოზიციური ხასიათის მაშინდელი საბრძოლო მოქმედებები ამ მანქანების მასობრივ და ეფექტურ გამოყენებას გამორიცხავდა.

იმავდროულად, გამოჩნდა, რომ რკინის ცხენზე შემომჯდარი „მხედარი" ისეთივე დაუცველი იყო, როგორც ქვეითი და პრობლემის დაძლევას ევროპული ფირმები ომის შემდეგ შეეცადნენ.

1932 წელს შვედურმა ფირმა AB Landsverk-მა დანიელთა შეკვეთით Harley Davidson-ის მოდელი VSC/LC-ის ბაზაზე დაჯავშნული მოტოციკლეტი Landsverk 210 დაამზადა.

გერმანელი მოტოციკლისტები მარშის დროს



ეროვნული ბიბლიოთეკა



ფრანგული მოტოროლერი Vespa 150 TAP-ი

სამთვლიანი მანქანის გაძლიერებული ჩარჩო და საბურავები მთლიანად ჯავშანფურცლებით დაიფარა, ხოლო დაჯავშნული ეტლისთვის ისეთი კონსტრუქცია მოიძებნა, რომ ტყვიამფრქვევის სროლა სახმელეთო და ასევე საჰაერო სამიზნეებზეც შესაძლებელი იყო.

ჯავშანმა მოტოციკლეტი დაამძიმა, მოუქნელი გახადა და გააუარესა მანევრულობა-სისწრაფე, ამიტომაც სამხედროებმა დაიწუნეს.

ჯავშანმოტოციკლეტის შექმნა ბელგიურმა ფირმა FN-მაც სცადა და 1935 წელს სამხედრო დანიშნულების FN M86-მა აგება დაასრულა.

ბელგიელებმა მოტოციკლეტის ჩარჩო გააძლიერეს და ჯავშანი მხოლოდ წინიდან დაუყენეს, სადაც მძღოლს ხედვისთვის ჯავშანფურცელში ვიწრო ღრიჭო დაუტოვეს.

გადაკეთებით FN M86-მა წონაში მოიმატა, რაც გამავლობასა და მანევრულობა-სიჩქარეზე აისახა. ასეთი მოტოციკლეტი კი სამხედროებს არ სჭირდებოდათ.

თუმცა ფირმამ ორი მოტოციკლეტის ნახაზებთან ერთად ბრაზილიის პოლიციისთვის მიყიდვა მაინც შეძლო.

ამასობაში პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია, რომელაც 20-იან წლებში ახალი არმიის შექმნა დაიწყო, მოტოციკლეტებს საკმაოდ საინტერესო გამოყენება მოუძებნა.

ვერსალის ხელშეკრულება გერმანიას სატანკო და მოტოქვეითი ნაწილების ჩამოყალიბებას უკრძალავდა, მაგრამ ჯარისკაცებისა თუ ცალკეულ ქვედანაყოფთა მოტორიზაციის საშუალებად მოტოციკლეტების გამოყენებას არ კრძალავდა. ამასთან, ეკონომიის მხრივაც ნაკლებ ხარჯს მოითხოვდა და სამხედროებში დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა.

მართალია, გამოყენების არეალი კურიერ-მეკავშირის მოვალეობით იყო შეზღუდული, მაგრამ გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსები მასში საკავალერიო ქვედანაყოფებისთვის ცხენის შემცვლელს ხედავდნენ.

1928 წლიდან აქტიურად დაიწყო სამხედრო სამსახურისთვის ახალგაზრდების მოტოციკლისტთა კლუბებში ჩაბმა, სადაც სწავლების კურსი მოიცავდა ფიზიკურ მომზადებას (ზოგჯერ ახალგაზრდებს ზურგით მოტოციკლეტის გადატანასაც აიძულებდნენ), უგზოობის პირობებში მაღალი სიჩქარით ეტლიანი მოტოციკლეტების ტარებას, მატერიალური ნაწილის სრულყოფილად შესწავლას, ღამით ტარებაზე დაოსტატებას, უამინდობასა და ცუდ გზებზე სიარულს და ა.შ.

1935 წელს გერმანიის არმიაში ქვეით მოტოციკლისტთა ასეულები და ბატალიონები ჩამოყალიბდა, რომლებიც სატანკო, მოტორიზებული, ქვეითი და საპარაშუტო დივიზიების შემადგენლობაში შევიდა.

მოტოციკლისტებისAდანიშნულება დაზვერვა და მოწინააღმდეგის ფლანგსა თუ ზურგში მოულოდნელი თავდასხმა იყო.

მოტოციკლეტების მობილურ და ეფექტურ საცეცხლე ძალად გამოყენებას სხვა ქვეყნებიც ცდილობდნენ.

ავსტრიელებმა მოტოციკლეტის ეტლზე 20 მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი Solothurn M36 მოათავსეს, რასაც ჩარჩოს გაძლიერება და ეტლის დაგრძელება დასჭირდა, თუმცა სათანადო ეფექტი მაინც ვერ მიიღეს.

საფრანგეთი არმიის მოტოციკლი Gnome-Rhone AX2 M1937 კი 25 მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის ტრანსპორტირებაზე იყო მორგებული, მაგრამ მძიმე იარაღის გადატანა მანქანის გამავლობაა აუარესებდა.

უფრო გაუმართლა იტალიელებს. ტრიციკლი Guzzi Trialce 8 მმ-იანი Breda M1937 ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი და სერიულადაც მზადდებოდა.

1940 წელს საბჭოთა მთავრობამ სპეციალური არმიული მოტოციკლეტების წარმოება გადაწყვიტა და ნიმუშად გერმანული BMW-ს R71 მოდელი შეირჩა.

შვეციაში მალულად ნაყიდი ხუთი R71-ის საფუძველზე საბჭოთა ანალოგი დამზადდა და 1941 წლის გაზაფ-



ირანის არმიის მოტოციკლისტ-კვადროციკლისტთა ქვედანაყოფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულიდან მოსკოვის მოტოციკლეტების ქარხნის კონვეიერიდან პირველი M-72-ები ჩამოვიდა.

მოკლე დროში წითელი არმიის შემადგენლობაში მოტოციკლისტთა 40-მდე პოლკი ჩამოყალიბდა, თუმცა მათი დიდი ნაწილი მალევე დაიშალა.

წითელ არმიაში არტილერისტებს მოტოციკლეტებით (საბჭოთა M-72-ები და ამერიკული Harley-Davidson-ის WLA-ები) 82 მმ-იანი ნაღმსატყორცნები გადაჰქონდათ.

1942 წელს კი საბჭოთა ინჟინრებს ეტლზე PC-82 და PC-132 ტიპის უმართავი რეაქტიული ჭურვების დაყენების იდეა გაუჩნდათ, მაგრამ მოტოციკლეტის მდგრადობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო მისი რეალიზაცია ვერ მოხერხდა.

მეორე მსოფლიო ომის პირველივე — პოლონეთის კამპანიამ მოტოციკლისტთა ქვედანაყოფების სუსტი ადგილები გამოავლინა. გერმანელი მოტოციკლისტები დაუცველნი აღმოჩნდნენ და ცეცხლსასროლი იარაღისგან დიდ დანაკარგს განიცდიდნენ, ხოლო მძიმე იარაღის უქონლობის გამო პოლონელთა საცეცხლე წერტილების ჩახშობას ვერ ახერხებდნენ,

საბჭოთა კავშირთან ომის დროს კი, განსაკუთრებით ზამთარ-გაზაფხულის უგზოობაში მოტოციკლეტების გამავლობა ძალზე დაქვეითდა, რაც გამოყენების ეფექტურობაზე აისახებოდა.

გამავლობის გასაუმჯობესებლად ფირმა NSU-მ მოტოციკლეტის მართვის მექანიზმი მუხლუხა შასს დაუყენა და 1940 წელს მსუბუქი გამწე Sd Kfz 2 (NSU HK 101) კიდეც დაამზადა.



რუსული მოტოციკლეტების Урал-ის აღჭურვაში 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ან ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა შედის



გამწევმ პატარა კუთრი დაწოლის ხარჯზე ტალახსა და ჭაობში კარგი გამავლობა აჩვენა, მაგრამ ვიწრო ლიანდი, ეკიპაჟის დაუცველობა, ფერდობზე გადაბრუნების საფრთხე და დიდ სიჩქარეზე მოხვევისას ამოტრიალების საშიშროება დაუძლეველ სუსტ მხარეებად დარჩა.

ზამთარში მოტოციკლისტთა პირობების გასაუმჯობესებლად სპეციალურად საპარაშუტო ნაწილებისთვის მზადდებოდა Zuendapp-ის მოდელი KS750, რომელსაც თბილი ჰაერით ფეხებისა და ხელების გათბობის სისტემა ჰქონდა, მაგრამ რუსულ ყინვაში ის ეფექტს მაინც არ იძლეოდა.

ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ მოტოციკლეტებთან დაკავშირებული დიდი ოპტიმიზმი საბრძოლო მოქმედებებმა გაანელა.

მოტოციკლეტის საბრძოლო საშუალებად გადაქცევა ბოლოს 50-იანი წლების დასაწყისში ფრანგებმა სცადეს, როცა საფრანგეთის არმიას აფრიკაში ავიატრანსპორტირებადი, ძლიერი საცეცხლე ძალით აღჭურვილი გადაადგილების მსუბუქი საშუალება დასჭირდა.

იტალიური ფირმა Piaggio-ს მოტოროლერ Vespa 150 TAP-ს ფრანგმა ინჟინრებმა ამერიკული უკუუგორებო 75 მმ-იანი ქვემეხი M20 დაუყენეს, ხოლო გვერდებზე ჭურვები მიამაგრეს.

დაუჯავშნავ მოტოროლერზე მძღოლი სრულიად დაუცველი იყო და აფრიკის პირობებში გადაადგილებაც საკმაოდ ჭირდა. არცთუ იშვიათად სამხედროებს ქვემეხის ხელით გადატანა უხდებოდათ და შემდეგ შტატივზე აყენებდნენ.

საბრძოლო მოტოროლერების პირველი პარტია 1956 წელს დამზადდა. ფრანგმა პარაშუტისტებმა სულ 800-მდე Vespa 150 TAP-ი მიიღეს და დიდი ნაწილი ალჟირში ომის დროს გამოიყენეს.

მოტოციკლეტები დღესაც არის მრავალი ქვეყნის არმიის შეიარაღებაში, მაგრამ გამოყენების საკმაოდ ვიწრო არეალი შემორჩა.

უფრო მეტი ინტერესი კვადროციკლების მიმართ გაჩნდა. 2008 წლის აგვისტოში რუსულ საფრენ აპარატებთან ბრძოლაში ქართველი მეზენიტეები ხელით გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით აღჭურვილ კვადროციკლებს იყენებდნენ.

კვადროციკლები შეიარაღებაში აქვთ აზერბაიჯანის სასაზღვრო ჯარებს, ხოლო ირანის არმიაში სხვადასხვა იარაღით აღჭურვილ კვადროციკლისტთა ქვედანაყოფებია ჩამოყალიბებული.

**თემურ ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უკრაინელი მოხალისის ჩანაწერები: საქართველოს 93-ის ცხელი შემოდგომა

**უკრაინის ეროვნული ასამბლეა – უკრაინის სახალხო თავდაცვის (УН-УНСО) მოხალისეთა რაზმი „არგო" აფხაზეთის ომში ქართული საზღვაო ქვეითი ბატალიონის შემადგენლობაში იბრძოდა და ის ერთადერთი სხვა ქვეყნის ფორმირება იყო, რომლის მოქალაქეებიც საქართველოს ერთიანობისთვის ომში მონაწილეობდნენ.**

## დაივიწყე წარსული!

განცდილისგან გადაღლილ-გამოფიტულ ბიჭებს ახლო წარსულის დავიწყება სურდათ, რათა ყოველდღიურობას დროებით მაინც განშორებოდნენ. ზოგიერთი შეცვლის შემდეგ უკრაინაში მიემგზავრებოდა, ზოგიც შემცვლელს არ ელოდებოდა და ტოპოლიას, კავუნის, ვორონის თუ მარჩუკის მსგავსად რჩებოდნენ.

ტოპოლია ივნისიდან არ მოშორებია საბრძოლო მოქმედებათა ზონას. იგი საუკეთესოდ, აზრიანად და ინიციატივით იბრძოდა, რისთვისაც ოცეულის („როი") მეთაურადაც დანიშნეს.

იმ პერიოდში ჩვენ ახალ ქვედანაყოფს ვაყალიბებდით, ვარკვევდით ჩვენს დანიშნულება-ამოცანებს და დღის განაწესიც მკაცრი არ იყო.

დილით ერთი საათით გვიან ვდგებოდით და საღამოს ასევე ერთი საათით ადრე ვწვებოდით. თუმცა საყარაულო სამსახურს ყველა ეწეოდა. ფიზიკური მომზადება მოკლე მანძილზე გარბენით და თავისუფალი ვარჯიშით ამოიწურებოდა. დღისით ძირითადი დატვირთვა ტაქტიკურ მეცადინეობებზე იყო გადატანილი.

ორი „როისგან" შემდგარი ჩვენი ქვედანაყოფის მეთაურად ნასტიგალი (ასე ვეძახდით მას ხუმრობით) დანიშნეს, ხოლო „როის" მეთაურებად კი კავუნი და ტოპოლია ავირჩიეთ.

მე ყურადღებით ვუსმენდი ბრძოლაში ნამყოფი ბიჭების საუბრებს, გამომქონდა ჩემთვის საჭირო დასკვნა, და სიტუაციაზე მორგებას ვცდილობდი.

ყურადსაღებია, რომ თუ თქვენ ვოლონტიორად რომელიმე ომში მონაწილეობთ, ამბიცია უნდა დაივიწყოთ და „თანამდებობები" მაშინვე არ მოითხოვოთ, მიუხედავად იმისა, რომ წარსულში მართლაც ოფიცერი იყავით. სხვები თქვენთან შედარებით ბავშვები არიან, რომლებმაც ამ ომში ათეულობით ბრძოლა გადაიტანეს და მდგომარეობაც უკეთ იციან, იცნობენ ქვეყანას, მის ტრადიციებს, ერკვევიან მიმდინარე პოლიტიკაში. ისინი ადეკვატურად რეაგირებენ ტაქტიკურ და ოპერატიულ ცვლილებებზე.

გაივლის დრო, ჩაივლის ბრძოლები, ღირსეული საქციელით თავს გამოიჩენ და თანამებრძოლები ლიდერად თვითონ აგირჩევენ.

წარმატება, განსაკუთრებით დასაწყისში, დამოკიდებულია იმაზე, შეგწევს თუ არა ძალა, დაივიწყო წარსული, თითქოს ის არც არსებობდა და ყველაფერი თავიდან დაიწყო.

ტოპოლიამ და კავუნმა ეს შეძლეს, ნიჭიერ მეთაურებად ჩამოყალიბდნენ და ცოდნით სამხედრო სასწავლებელდამთავრებულ ლეიტენანტებს არ ჩამორჩებოდნენ, ხოლო გამოცდილებითა და ადეკვატური მოქმედების უნარით მათ ბევრად აღემატებოდნენ.

## სანამ ბრძოლა დაიწყებოდა

ბაზაში ყოფნის დრო უსაქმოდ არ გაგვიტარებია და ის თავისთავად მრავალფეროვანი მოვლენებით აღსავსე აღმოჩნდა.

ჩვენ საშუალება მოგვეცა უფრო ახლოს გავცნობოდით თბილისს. თუმცა ეს ნაცნობობა ბაზრებსა და პარლამენტის შენობის მიმდებარე ქუჩებში სიარულით ამოიწურებოდა. როცა ბაზრებში, ქართველები ჩვენს ფორმას, განმასხვა-

ვებელ ნიშნებს დაინახავდნენ და საუბარს მოისმენდნენ, მაშინვე ხვდებოდნენ, რომ ჩვენ „იმ უკრაინული ჯარის“ წარმომადგენლები ვიყავით და გვიმასპინძლდებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში დიდი გაჭირვება იყო.

ჩვენც ბევრი არ გვინდოდა, — კონა მწვანილი, ცოტა ყველი, ლავაში, ჭიქა კახური ღვინო და ტკბილი საუბარი.

ხანდახან ჩვენ „ლაზს“ პარლამენტთან რაღაც წვრილმანების, ამუნიციის თუ პროვიანტის მისაღებად მისვლა უწევდა. თუ თავისუფალ დროს მოვიხელთებდით, ზოგჯერ რუსთაველის პროსპექტზე და მიმდებარე ქუჩებში დავსეირნობდით.

მე განსაკუთრებით მიზიდავდა თბილისელი მხატვრების ქუჩის გამოფენა-გაყიდვების ადგილები. იქ აკვარელითა თუ ზეთის საღებავებით შესრულებულ მრავალ საინტერესო ნახატს შევხვდებოდით. ძალიან მომწონდა ძველი თბილისის შემოდგომის პეიზაჟები. ტალანტები ომისა და ნგრევის დროსაც ტალანტებად რჩებოდნენ. „ყველაფერი წარმავალია, ერთადერთი მუსიკაა მარადიული“... — გამახსენდა მაესტრო ლეონიდ ბიკოვის სიტყვები.

ბაზაში ხელცარიელი თითქმის არასოდეს ვბრუნდებოდით. ქართველები ამის უფლებას არ გვაძლევდნენ. თითოეულ ჩვენგანს მოჰქონდა მწვანილი, ლავაში, ყველი... ღვინოს არ ვტანებოდით, რადგან სიმთვრალესა და ლოთობას უმკაცრესი სასჯელი მოსდევდა, — დაწყებული „ბუკით“ (მუხის ჯოხი) და რაზმიდან გარიცხვით დამთავრებული. ეს კი „უკან დასაბრუნებელი“ ბილეთის დაკარგვასაც ნიშნავდა და ადამიანი უცხო, არეულ ქვეყანაში მარტოდმარტო რჩებოდა.

„ბუკებით“ დასჯა (ძირითადად, ალკოჰოლის არასანქცირებული მოხმარების გამო) მწყობრის წინ ხდებოდა და დასჯას დამნაშავისავე ამხანაგი ასრულებდა. ამ დროს ორივე ფეხზე იდგა. წინასწარ მინდა გავცე პასუხი იქედნურ კითხვებს, — დამნაშავეს შარვალს არავინ ხდიდა. „ბუკის“ შესრულების შემდეგ დამნაშავე მობრუნდებოდა მწყობრისკენ და ზაპოროჟიე სეჩის დროინდელ ტრადიციულ სიტყვებს ამბობდა: „პანკოვე კაზაკი, დიაკუიუ ზა ნაუკუ“ (ბატონო კაზაკებო გმადლობთ ჭკუის სწავლებისთვის). ამის შემდეგ ის მწყობრში დგებოდა. ამით ყველაფერი მთავრდებოდა. ამის მიმართ ყველას ჯანსაღი დამოკიდებულება ჰქონდა. ეს კანონი არავისთვის ყოფილა გამონაკლისი და მეთაურებიც ისევე ისჯებოდნენ (სხვა მწყობრის წინ) როგორც რიგითები, ხოლო თუ ვინმე ბრიყვი კბილთა ღრჭენას იწყებდა, მაშინვე ორჯერ მეტს იღებდა ჩვენგან, ვიდრე დასჯილი.

დღეს თუ არა ხვალ, შეიძლება თითოეული ჩვენგანი „ბუკის მორჩილება-ში“ აღმოჩენილიყო.

ყველანი მოხალისენი, თანამოაზრეები და უკრაინელები ვიყავით. ყველა ჩვენგანი სულით კაზაკი, უკრაინის პატრიოტი იყო.

საერთოდ მოხალისეთა რაზმები გამოირჩევიან დისციპლინით, ურთიერთგაგებით, ერთსულოვნებითა და ერთმანეთისათვის თავგანწირვის უნარით.

იუგოსლავიაში საომარი მოქმედებების თითქმის მუდმივად ნასვამი რუსი მოხალისეები სერბეთის [illegible] ხედროებს ბრძოლისუნარიანობით [illegible] რად სჯობდნენ.

აქვე ვეზიარე პირველად რელიგიური რიტუალების შესრულებს. დილით, ვარჯიშის წინ, ძველი უკრაინული არმიის ტრადიციებით, „დო მოლიტვი“ ბრძანების შემდეგ, „მამაო ჩვენოს“ ვკითხულობდით. ამასვე ვაკეთებდით სასადილოში.

„მამაო ჩვენოს“ ძილის წინაც, მწყობრში, და ერთხმად ვკითხულობდით. ეს ჩვენზე უდიდეს სასიკეთო გავლენას ახდენდა. გვაფიქრებდა ადამიანთა ყოფის წარმავლობაზე და მშვიდად ვიძინებდით.

გვიწევდა დაღუპული თანამებრძოლების დაკრძალვაც თბილისის სამხედრო სასაფლაოზე, რასაც თან ახლდა ეკლესიაში განსვენებულის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი და ზალპი სამი გასროლით. საპატიო ყარაულის მოვალეობას დაღუპულისვე ამხანაგები ასრულებდნენ, რომლებიც შემდეგ ისევ ბრძოლის ველს უბრუნდებოდნენ და ზოგი მათგანი დაღუპულის ბედსაც იზიარებდა.

ეს რიტუალი მოვალეობის გრძნობას უმძაფრებდა მათ. ყველა ცდილობდა დაღუპული თანამებრძოლისთვის მიეგო პატივი. კუბო ტაძარში შეგვქონდა და პარაკლისის დროს მის გარშემო ვიდექით, მას ვემშვიდობებოდით, სამარეს ვთხრიდით, ვასაფლავებდით, მის ხსოვნას ზალპით ვუხმიანებოდით და მივდიოდით, მივდიოდით ბედთან შესახვედრად. თვალებში ვუყურებდით მას და არავის ზურგს უკან არ ვიმალებოდით.



1993 წლის 19 ივლისს სოფელ შრომასთან ბრძოლაში მონაწილეობას უკრაინელი მოხალისეები ქართველებთან ერთად ბრძოლებში დაღუპულ თანამებრძოლთა საფლავების მონახულებით აღნიშნავენ



სულიერ მხარეს უკრაინელ მოხალისეებში დიდი ადგილი ეკავა

## გადაიარაღება და მომზადება

როგორც ზემოთ ვთქვი, პარლამენტში იშვიათად მოვდიოდით. საქმე ის არის, რომ აღჭურვილობას ველოდით, რადგან განვლილ ბრძოლებში ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გაგვიცვდა, ავტომატების მესამედი მწყობრიდან გამოვიდა, ყველა ტყვიამფრქვევი და ყუმბარსატყორცნიც წესრიგში არ იყო.

ჩვენ შეიარაღებული ვიყავით მდარე რუმინული წარმოების „კალაშნიკოვით“ (ხუმრობით „კალაშესკუს“ ვეძახდით). თვალში საცემი იყო უხარისხო ლითონი, არავითარი წრთობა და ოქსიდირება, რის გამოც იარაღის ზედაპირი სწრაფად იჟანგებოდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, დარი იყო თუ ავდარი. ავტომატს ჟანგი მაშინაც ედებოდა, როცა ყაზარმაში ხელუხლებლად ეკიდა.

ავტომატიკის დეტალებს, საცემსასხლეტ მექანიზმს, საკეტის ჩარჩოსა და თვით საკეტსაც დამუშავება არც ეტყობოდა და ერთმანეთზე იყო მორგებული. ასევე იყო მჭიდებიც. ზამბარები ნახევარი მჭიდის გასროლის შემდეგ „ჯდებოდა“ და დროდადრო მათი გაჭიმვა გვიხდებოდა.

ვაზნის გადახრის გამო ყოველი მეორე მჭიდი შეყოვნებას იძლეოდა. რუმინული „კალაშნიკოვის“ ლულები ფურთხებას (გადახურების გამო) უკვე მესამე მჭიდის გასროლის შემდეგ იწყებდა. მინიმუმ ორ დღეში ავტომატი გაწმენდა-დაზეთვას საჭიროებდა, ხოლო საიარაღო თხევადი ზეთი არ გვქონდა და მის მაგიერ ძრავის ნახმარ ზეთს ვიყენებდით. ამ „ძვირფას“ თითო იარაღში ქართველებმა 150 დოლარი გადაიხადეს.

მე წილად მერგო საფეთქელთან ყუმბარის ნამსხვრევით გახვრეტილი, შიგნით სისხლჩამხმარი ჩაფხუტი და ხისკონდახიანი „კალაშესკუ“, მაგრამ ბიჭებმა დამამშვიდეს და დამპირდნენ, რომ ავტომატს ნორმალური იარაღის გამოჩენისთანავე შემიცვლიდნენ.

არსებობს განსაკუთრებული საფრონტო შეგონებანი, მინიშნებები და პრაქტიკით დამტკიცებული დაკვირვებები. დაე, მქონდეს გახვრეტილი ჩაფხუტი, „ყუმბარა ერთსა და იმავე ადგილზე ორჯერ ხომ არ ეცემა“. გავწმინდე, შევლებე და დავიხურე.

ყუმბარის ნამსხვრევებით დაფხაჭნილ ჩემს ავტომატს კონდახის ბუდეში ყველას გასაკვირად პენალის სრული კომპლექტი აღმოაჩნდა.

სროლისას ჩემმა ავტომატმა მოულოდნელად საშუალო შედეგი აჩვენა და „ფურთხება“ მესამე მჭიდის გასროლის შემდეგ დაიწყო. იმის გათვალისწინებით, რომ ბრძოლისას ცეცხლის ძირითადი სახეობა მოკლე ჯერებია, ავტომატის გამოცვლა არ ღირდა. შემდგომში ჩემი ვარაუდი გამართლდა.

არარუსული წარმოების „კალაშნიკოვები“ ხარისხით ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან. მათ შორის საუკეთესოა ყოფილ გდრ-ში დამზადებული. მას პოლონური „კალაშიც“ არ ჩამოუვარდება, ხოლო უნგრულს კი შედარებით დამაკმაყოფილებელი ხარისხი აქვს. იუგოსლავიური ყველა ზემოთ ჩამოთვლილზე დაბალი ხარისხისაა, რომ არაფერი ვთქვათ რუმინულსა და ბულგარულზე, რომლებიც არაფრად ვარგა. აღნიშვნის ღირსია ჩინური „კალაშნიკოვების“ ლითონის ხარისხისა და დამუშავების გაუმჯობესება. მისაღებია ავტომატების ალბანური ვარიანტიც.

„კალაშნიკოვებისთვის“ საჭირო 5,45 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ვაზნები ზოგი რუსეთში, ზოგი რუმინეთში და გდრ-ში იყო დამზადებული.

ქართველებს იმ დროს სასროლი იარაღიდან მხოლოდ РПГ-7-ის წარმოება ჰქონდათ აწყობილი.

საერთოდ იარაღთან დაკავშირებული საქმე ტოპოლიასა და კოვუნს ჰქონდათ ჩაბარებული. ისინი პარლამენტში ერთი კაბინეტიდან მეორეში დადიოდნენ და ითხოვდნენ იმას, რაც ეკუთვნოდათ.

მათ გზავნიდნენ სხვა, „უფრო დიდ და მნიშვნელოვან“, ოღონდ გამოუსადეგარ ჩინოვნიკებთან. ასე გრძელდებოდა დიდხანს, სანამ შემთხვევით იგორ გიორგაძესთან არ მოხვდნენ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ეროვნული ბიბლიოთეკა



# საგემბანო ავიაცია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N17-26, 2012 - N1-3, 2013

## სუპერავიამზიდები

მსოფლიოში პირველი სუპერავიამზიდი, ამერიკული Forrestal (CVA-59) მწყობრში 1955 წელს ჩადგა. ის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პირველ ამერიკულ და იმ დროისთვის უდიდეს ავიამზიდად ითვლებოდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, Forrestal-ი პირველი იყო, რომელიც პროექტირებიდანვე რეაქტიული ავიაციის გამოყენებაზე იყო გათვლილი.

მისი პარამეტრები შთამბეჭდავი იყო: 325 მ სიგრძის ხომალდის სრული წყალწყვა 81101 ტ-ს აღწევდა, ხოლო „ესექსის“ კლასის ავიამზიდებთან შედარებით სამჯერ მეტ საწვავს (თითქმის 5 მლნ ლ) და ოთხჯერ მეტ საბრძოლო მასალას (650 ტ) იტევდა.

მშენებლობის პროცესში პროექტში ცვლილებები შევიდა და კუთხურ გემბანთან ერთად ავიამზიდი ორთქლის 4 კატაპულტით აღიჭურვა (ორივე გამოგონება ამერიკელებმა ბრიტანელებისგან „ისესხეს“).

ორი კატაპულტა — გემბანის ცხვირში, ორიც კუთხურ ნაწილზე დაიდგა და ამ სიახლით „ფორესტოლს“ ყოველ 60-65 წამში ჰაერში 8 თვითმფრინავის აშვება შეეძლო. საავიაციო ჯგუფის ეფექტურობის გასაზრდელად ხომალდს 4 ლიფტი ჰქონდა.

1955 წლის ზაფხულში, როცა „ფორესტოლი“ გამოცდას გადიოდა, ვერფებზე მისი სამი „ტყუპისცალი“ — Saratoga (CVA-60), Ranger (CVA-61) და Independence (CVA-62) შენდებოდა, ხოლო ამერიკელი სპეციალისტები მომავალი ავიამზიდებისთვის უკვე ატომური რეაქტორების შექმნაზე მსჯელობდნენ.

## ახალი გამანადგურებლები

„ფორესტოლის“ მწყობრში ჩადგომასთან ერთად, ფლოტმა შეიარაღებაში ახალი გამანადგურებლებიც მიიღო. ერთ-ერთი პირველი, F9F-6 Coguar-ი, ისრისებრფრთიანი პირველი ამერიკული საგემბანო თვითმფრინავი იყო, რომელიც კორეის ომის დასრულებისთანავე გამოჩნდა.

კორეის ომში საგემბანო Panther-ი მოიერიშის ფუნქციას კარგად ასრულებდა, მაგრამ ისრისებრფრთიან МиГ-15-თან საჰაერო ბრძოლა უჭირდა.

გამოცდაზე ახალმა Coguar-მა 1052 კმ/სთ სიჩქარე განავითარა და Panther-ის ანალოგიურ პარამეტრს ერთი „ასეულით“ გადააჭარბა. განსხვავება მხოლოდ საფრენოსნო შესაძლებლობებში არ იყო. ფლოტის ახალ გამანადგურებელს ტრადიციულ უმართავ რაკეტებთან ერთად

პირველმა სუპერავიამზიდმა მწყობრში 38 წელი დაჰყო და 1993 წლამდე იმსახურა. ვიეტნამის ომის მონაწილე ხომალდმა მოდერნიზაციის რამდენიმე ეტაპი გაიარა. თუმცა ბორტზე მომხდარი მრავალი ინციდენტების გამო, ფლოტში „ფორესტოლს“ Zippo (ამერიკული სანთებელა) შეარქვეს. ყველაზე მსხვილი შემთხვევა, 1967 წლის 29 ივლისს მოხდა. რაკეტის თვითნებური გაშვებით გაჩენილ ხანძარსა და შემდგომ აფეთქებებს 14 სთ უმკლავდებოდნენ. შემთხვევამ 134 კაცი შეიწირა. 161 დაიჭრა





F7U-3-ს ვერსიებია: მზვერავი F7U-3P და გამანადგურებელი F7U-3M. ეს უკანასკნელი AIM-7 Sparrow-ის ტიპის 4 „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტით იყო შეიარაღებული

AIM-9 Sidewinder-ის ტიპის „ჰაერი-ჰაერი“ კლასის მართვადი რაკეტების გამოყენებაც შეეძლო და პირველი ამერიკული საგემბანო თვითმფრინავი იყო, რომელიც ასეთ შეიარაღებას იყენებდა. 1960 წლამდე „გრუმანის“ ქარხანამ სულ 1985 Coguar-ი დაამზადა.

იმ პერიოდში ფლოტის შეიარაღების ყველაზე ორიგინალური თვითმფრინავი F7U Cutlass-ი იყო, რომლის პროექტირებაზეც მუშაობა 1947 წლის ზაფხულში დაიწყო.

ორძრავიან თვითმფრინავს ორი კილი ჰქონდა და სტაბილიზატორების არარსებობით გამოირჩეოდა. კონსტრუქტორთა ჩანაფიქრით, ამგვარი ორიგინალური სქემა, აპარატის შესაძლებლობებს გააუმჯობესებდა.

მაგრამ ხუთი პროტოტიპის ჩამოვარდნამ და ორი მფრინავ-გამომცდელის დაღუპვამ ენთუზიაზმი გაანელა. მრავალი ნაკლის გამო საბაზო ვარიანტში მხოლოდ 20-მდე თვითმფრინავი დამზადდა, ხოლო ფლოტი Cutlass-ის შეიარაღებაში მიღების კატეგორიული წინააღმდეგი იყო და მწარმოებლებისგან მის სრულყოფას მოითხოვდა.

მოდიფიკაცია F7U-3 (ძირითადი შეიარაღება 4x20 მმ-იანი ქვემეხი) წინამორბედისგან ძირფესვიანად გამოირჩეოდა და მძლავრი ძრავების ხარჯზე ბგერის სიჩქარეს ავითარებდა.

Cutlass-ის მომდევნო ვარიანტად დამრტყმელი მოდიფიკაცია განიხილებოდა. მას 7 საკიდზე უმართავი რაკეტები და ბომბები (მათ შორის ატომურიც) უნდა ეტარებინა. კონტრაქტით ფლოტს 250 თვითმფრინავი უნდა მიეღო, მაგრამ 5 აპარატის აგების შემდეგ კონტრაქტი გაუქმდა.

თვითმფრინავის ექსპლუატაცია მალე, შეიარაღებაში მიღებიდან 3 წლის შემდეგ, 1957 წელს დასრულდა. ნოვაციურ კონსტრუქციას დაბალი საიმედოობა აღმოაჩნდა, რის გამოც 1952-56 წლებში თვითმფრინავი 78 საფრენოსნო შემთხვევისა და 21 მფრინავის დაღუპვის მიზეზი გახდა.

კორეის ომში გამოცდილების გათვალისწინებით ამერიკელებმა იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ავიამზიდებზე მრავალმიზნობრივი ავიაჯგუფების ნაცვლად სპეციალიზებული თვითმფრინავებით დაკომპლექტებული ავიადანაყოფების განთავსება ბევრად ეფექტური იქნებოდა.

ამ კონცეფციის შესაბამისად 50-იანი წლების ბოლოს აშშ-ის ფლოტში გამოჩნდა ერთ-ერთი სპეციალიზებული თვითმფრინავი, ზებგერითი Crusader-ი (ქართულად „ჯვაროსანი“). ეფექტურობის მიუხედავად, მან Phantom II-ის მსგავსი პოპულარობა მაინც ვერ მოიპოვა. თუმცა ვიეტნამის საჰაერო ბრძოლებში მრავალფუნქციურ „მოჩვენებასთან“ შედარებით, უფრო მაღალი საბრძოლო შესაძლებლობები გამოავლინა.

F8U Crusader-ის შექმნაზე ფლოტმა კონკურსი ჯერ კიდევ 1952 წელს გამოაცხადა. მასში მონაწილე რვა ფირმამ 21 პროექტი წარადგინა და გამარჯვებულად ფირმა Vought-ის F8U დასახელდა. თვითმფრინავს საკმაოდ უჩვეულო კონსტრუქციული თავისებურება ჰქონდა: საფრენოსნო მახასიათებელთა გასაუმჯობესებლად, აფრენა-დაჯდომისას ფრთის დაყენების კუთხე 70-ით იზრდებოდა, რასაც, თავის მხრივ, შეტევის კუთხის ზრდა მოჰყვებოდა.

ძირითადი შეიარაღების სახით „ჯვაროსანს“ ოთხი 20 მმ-იანი ქვემეხი ჰქონდა, ხოლო ფიუზელაჟის ქვეშ, გასაშლელ კასეტაში, 70 მმ-იანი 32 უმართავი რაკეტა თავსდებოდა. მათი გამოყენება როგორც მსხვილი საჰაერო სამიზნეების (როგორიც ბომბდამშენია), ასევე სახმელეთო ობიექტების გასანადგურებლად შეიძლებოდა. „ჰაერი-ჰაერი“ კლასის შეიარაღებიდან ფიუზელაჟის ბორტებზე



1956 წლის მარტში ავიამზიდ „ჰენკოკზე“ F7U-3-ს დაჯდომისას მომხდარმა ავარიამ მფრინავი და ხომალდის ეკიპაჟის 3 წევრი შეიწირა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოდიფიკაცია — F8H Crusader
სიგრძე — 16,53 მ
ფრთის გაქანი — 10,87 მ
ცარიელი თვითმფრინავის წონა — 8538 კგ
მაქს. ასაფრენი — 15549 კგ
ძრავა — 1xPratt&Whitney J57-P-420
წევა ფორსაჟზე — 8890კგძალა
მაქს. სიჩქარე — 1859 კმ/სთ
პრაქტიკული ჭერი — 12802 მ
ეკიპაჟი — 1 კაცი
შეიარაღება — ოთხი 20 მმ-იანი ქვემეხი. 4 „ჰაერი-ჰაერი“ რაკეტა Sidewinder. სასარგებლო დატვირთვა — 2000 კგ

**„ჯვაროსანმა“ Phantom II-ის მსგავსი პოპულარობა ვერ მოიპოვა. თუმცა ვიეტნამის ცაში მრავალფუნქციურ „მოჩვენებასთან“ შედარებით, უფრო მაღალი საბრძოლო შესაძლებლობები გამოავლინა**

ორი AIM-9 Sidewinder-ის ტიპის რაკეტა იყო დამაგრებული.

Crusader-ი პირველად 1955 წლის 25 მარტს აფრინდა და დამკვეთზე შთაბეჭდილების მოსახდენად პირველივე ფრენისას ზებგერითი სიჩქარე განავითარა. ფლოტი თვითმფრინავით იმდენად კმაყოფილი იყო, რომ მესამე პროტოტიპის მშენებლობის განკარგულება გააუქმა და სერიული წარმოება გადაწყვიტა. ავიამზიდიდან F8U პირველად 1956 წლის აპრილში აფრინდა.

თვითმფრინავს „მკაცრი ხასიათი“ ჰქონდა და ახალბედა პილოტებს შეცდომებს არ პატიობდა. თუმცა ავიამზიდზე გამოჩენისთანავე ახალმა „ჯვაროსანმა“ მოძველებული „პანტერები“ და „კუგარები“ რამდენიმე თვეში სრულად ჩაანაცვლა.

ექსპლუატაციის პროცესში თვითმფრინავზე AIM-9-ების რაოდენობა ოთხამდე გაიზარდა, ხოლო ფიუზელაჟში უმართავი რაკეტების კასეტა არაეფექტურობის გამო გაუქმდა. სანაცვლოდ ფრთებზე შეიარაღების ჩამოსაკიდი ოთხი წერტილი განთავსდა (მოდიფიკაცია F8U-2).

კარიბის კრიზისის დროს, „ჯვაროსნის“ მზვერავი მოდიფიკაცია კუბაში საბჭოურ შეიარაღებას ფოტოებს უღებდა (თვითმფრინავები სახმელეთო ბაზებიდან მოქმედებდნენ), შემდგომ კი კუნძულიდან საბჭოური ბალისტიკური რაკეტების გატანის პროცესს აკონტროლებდნენ.

მაგრამ თვითმფრინავის მთავარ საბრძოლო ასპარეზად ვიეტნამი იქცა, სადაც სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ ფლოტის და საზღვაო ქვეითთა კორპუსის „ჯვაროსნები“ ერთად მოქმედებდნენ.

F8U პირველი ამერიკული თვითმფრინავი იყო, რომელიც ვიეტნამის ცაში მოწინააღმდეგე შეხვდა. 1965 წლის 3 აპრილს МиГ-17-ებმა ერთი „ჯვაროსანი“ ჩამოაგდეს და ერთიც დააზიანეს. რევანში ამერიკელმა პილოტებმა კი რამდენიმე დღეში აიღეს.

გამანადგურებლის სახით საჰაერო ბრძოლებში თვითმფრინავმა თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. ბრძოლებში ჩამოგდებული და დაკარგული თვითმფრინავის თანაფარდობით კი „ჯვაროსანს“ Phantom II-ზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა.

აშშ-ის გარდა, Crusader-ს ფილიპინები (1977 წელს ქვეყანამ 35 F8H შეიძინა) და ფრანგები იყენებდნენ. ბოლო 42 სერიული თვითმფრინავი პარიზმა 1964-65 წლებში იყიდა და ავიამზიდებზე — „ფოშსა“ და „კლემანსოზე“ განათავსა.

ფრანგებმა ბოლო თვითმფრინავი შეიარაღებიდან 1999 წელს მოხსნეს. ამგვარად „ჯვაროსანთა“ ექსპლუატაცია 42 წელი გაგრძელდა. 50-იან წლებში შექმნილი საგემბანო თვითმფრინავისთვის ეს ერთგვარი რეკორდია. სერიული წარმოება 1965 წელს 24 სერიული და ექსპერიმენტული მოდიფიკაციის 1261 თვითმფრინავის გამოშვებით დასრულდა.

**ალექსანდრე აფაქიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)




რვა წლის განმავლობაში ფლოტმა და საზღვაო ქვეითებმა ვიეტნამში 170-მდე „ჯვაროსანი“ დაკარგეს. თუმცა ნახევარზე მეტი მსგავს არასაბრძოლო ვითარებაში დაზიანდა



# ლორდი ჰოვარდ ეფინგემელი

## 1536–1624

ლორდი ჰოვარდ ეფინგემელი უმაღლესი ლორდ-ადმირალი იყო, ვინც სერ ჯონ ჰოუკინსსა და სერ ფრენსის დრეიკს სარდლობდა 1588 წელს ესპანელთა უძლეველი არმადის დამარცხებაში.

ჩარლზ სტიუარტი ეფინგემის პირველი ბარონის, უილიამ ჰოვარდის პირველი ვაჟი იყო. დედოფალ მერის დროს მამასთან მსახურობდა ზღვაზე. როდესაც მისი ნათესავი ელისაბედ I (ლორდ ჰოვარდის მამა ანა ბოლეინის ნახევარდა იყო) ავიდა ტახტზე, სამეფო კარზე ერთ-ერთი გავლენიანი დიდებული გახდა და 1559 წელს უკვე ინგლისის ელჩი იყო საფრანგეთში.

1562 წელს ჰოვარდი პარლამენტში სურეის საგრაფოს წარმომადგენელია, 1569 წელს კი კავალერიის გენერალი უორიკის გრაფის დაქვემდებარებაშიო, რომელმაც ქვეყნის ჩრდილოეთში კათოლიკეთა ამბოხება ჩაახშო. 1570 წელს ლორდი ჰოვარდი მეთაურობდა ხომალდების ესკადრილიას, რომელიც ელისაბედ I-მა დანიიდან ესპანეთში მიმავალ მეფე ფილიპე II-ის საცოლეს, ანა ავსტრიელს (იმპერატორ მაქსიმილიანის და) გააყოლა თან. ამ მისიას უფრო სადაზვერვო მოტივი ჰქონდა. 1572 წელს ჰოვარდი რაინდად აკურთხეს. ის ეფინგემის ლორდი გახდა მამის გარდაცვალების შემდგომ, 1573 წელს.

### ქრონოლოგია

* 1536 დაიბადა.
* 1569 კათოლიკე ლორდთა ამბოხების ჩახშობაში მონაწილეობდა.
* 1573 მამის სიკვდილის შემდეგ ლორდ ჰოვარდს მიემატა ტიტული — ეფინგემელი.
* 1585 უმაღლესი ლორდ-ადმირალი გახდა.
* 1588 ინგლისის ფლოტს უსარდლა ესპანურ არმადასთან ბრძოლაში.
* 1596 კადისზე იერიშს ხელმძღვანელობდა.
* 1597 ნოტინგემის გრაფი გახდა.
* 1599 ინგლისის ლორდ-ლეიტენანტი გახდა.
* 1601 ესექსის ამბოხების ჩახშობაში წვლილი შეიტანა.
* 1624 გარდაიცვალა 14 დეკემბერს, კროიდონთან ახლოს, სურეის საგრაფოში.

### უმაღლესი ლორდ-ადმირალი

1585 წელს ჰოვარდი უმაღლესი ლორდ-ადმირალი გახდა.

მომდევნო წელს ის შოტლანდიის დედოფალ მერის სასამართლო პროცესზე კომისრად დანიშნეს და დედოფალ ელისაბედს დაჟინებით სთხოვდა, სასიკვდილო განაჩენისთვის მოეწერა ხელი. 1587 წლის დეკემბერში ჰოვარდმა განსაკუთრებული რწმუნება მიიღო ესპანეთთან საბრძოლველად, — ის ინგლისის არმიის გენერალ-ლეიტენანტი და ფლოტის სარდალი გახდა. ეფინგემი ფლოტის უმეტეს ხარჯს თვითონ იხდიდა, ამიტომ მან სერ უოლტერ რელის აგებულ 800-ტონიან საბრძოლო ხომალდ „არკ როიალზე" თავისი დროშა აღმართა.

როდესაც სრუტეში არმადა გამოჩნდა, ეფინგემს გამაფრთხილებელ ტაქტიკაზე დაეკისრა პასუხისმგებლობა. მან დრეიკისა და ჰოუკინსის ხომალდები მწკრივზე შეაჩერა და დისტანციიდან დაუშინა ესპანურ ხომალდებს. ამ ხერხმა გაჭრა და ცალკე ამოვარდნილი გრიგალისა და ცალკე ინგლისური სამხედრო ხომალდების ხელშეწყობით არმადა განადგურდა.

ჰოვარდს გამარჯვების იმედი არ ჰქონდა, რადგან მებრძოლების უმეტესობა ტიფმა იმსხვერპლა. მან გა-

შუა საუკუნეების კადისის პორტი



ეროვნული ბიბლიოთეკა






დარჩენილები მარგეიტში გადაიყვანა და პირადად შეუდგა მათთვის სადგომების მოძებნას ბეღლებსა და ფარდულებში.

„ვის გულს არ დაასევდიანებდა იმის ხილვა, რომ ასე მამაცად მებრძოლები ასე საცოდავად იხოცებოდნენ", — წერდა ჰოვარდი. საბოლოოდ დედოფალმა გაისტუმრა მათი ხარჯები.

როდესაც ცნობა გაჩნდა, რომ ესპანელები მორიგ საბრძოლო ფლოტს ამზადებდნენ, ეფინგემმა და დედოფლის ფავორიტმა, ესექსის გრაფმა ფლოტი სამხრეთისკენ მიმართეს, რათა ხელახლა გაენადგურებინათ ესპანური გალეონები, და კადისი დალაშქრეს.

## მტრობა ესექსთან

მომდევნო წელს ეფინგემი ნოტინგემის გრაფი გახდა. ამან ესექსს შური აღუძრა, რადგან კადისში გამარჯვებას ის თავის თავს მიაწერდა. მაგრამ დედოფალს ესპანელების ახალი ფლოტის საკითხი უფრო აღელვებდა, ამიტომ ჰოვარდი ინგლისის ლორდ გენერალ-ლეიტენანტად დანიშნა. ჰოვარდი დედოფლის როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო ძალების სარდალი გახდა.

როდესაც ესექსი აჯანყდა, ეფინგემმა ჯანყის ჩახშობაში თავისი წვლილი შეიტანა და ესექსის სასამართლოზეც კომისრად გამოვიდა, რითიც დედოფლის წყალობა დაიმსახურა.

1603 წელს სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა დედოფალმა ტახტის მემკვიდრედ შოტლანდიის მეფე ჯეიმზ VI დაასახელა.

ჯეიმზის მეფობისას ჰოვარდი შოტლანდიისა და ინგლისის გაერთიანების საქმეს ემსახურებოდა, მოგვიანებით კი „დენთის შეთქმულების" საქმეზე ისევ კომისრობა იკისრა. ლორდი ჰოვარდი 88 წლისა გარდაიცვალა ჰაინგჰაუზში, კროიდონთან ახლოს.

## ეფინგემი და არმადა

● არმადასთან საბრძოლველად რომ ემზადებოდა, ეფინგემმა თავისი ფლოტი სამად დაყო. თვითონ მთავარ გზაზე დარჩა, დრეიკი კუნძულ უესანისკენ გაგზავნა, ჰოუკინსი კი სილის კუნძულისკენ გადაისროლა გასასვლელის დასაცავად. მართალია, პლიმუთიდან მოშორებით, კონცხ სენტ-ოლბანსჰედსა და სენტ-ქეთრინთან არაერთი შემოტევის გამკლავება ჰოვარდმა ითავა, დრეიკსა და ჰოუკინსს მაინც მოქმედების თავისუფლება ჰქონდათ.

● ეფინგემს აკრიტიკებდნენ პორტლენდთან მტრის სათავო ხომალდ „სან ლორენცოს" იერიშის გამო, ნაცვლად იმისა, რომ გრეივსენდთან განლაგებული მტრის მთავარი ძალისთვის შეეტია. მიუხედავად ამისა, სერ უოლტერ რელი აქებდა ლორდ ჰოვარდს. მისი თქმით, ესპანელებს არმია ჯერ კიდევ ხომალდებზე ჰყავდათ, როდესაც ეფინგემს ყველაფერი დასრულებული ჰქონდა. „მათ ეფინგემზე მეტი მებრძოლი ჰყავდათ, საფარიც უფრო მაღალი იყო და შეტაკებაც უფრო ძლიერი, — წერდა რელი, — ასე რომ, ამ აურაცხელი ხომალდების ალყაში რომ მოყოლილიყო, ინგლისის სამეფოს საფრთხე შეექმნებოდა".

● 1596 წელს ეფინგემმა და ესექსმა ფლოტს უსარდლეს და 20 ივნისს 150 საბრძოლო ხომალდით კადისში შევიდნენ. ესპანური ფლოტი განადგურდა — 32 გემი დაკარგა. ჰოვარდმა ესპანელთა ორი ხომალდი გადაარჩინა და სამეფო ფლოტს გადასცა. უფრო მეტ ალაფსაც ჩაიგდებდნენ, ესექსს რომ არ მოეთხოვა ჰოვარდისთვის უკან გაყოლა. კადისი დაარბიეს, ფორტი კი გაანადგურეს. ამ ბრძოლის შემდეგ 66 ინგლისელი მებრძოლი რაინდად აკურთხეს.

მოამზადა
**ლევან ინასარიძემ**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# სკალპის აღების რიტუალი

ამერიკელ ინდიელ მეომრებში ბრძოლებში მიღწეულ წარმატებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მტერთან შეტაკებისას გამოვლენილი სიმამაცე და მოხერხებულობა მეომრის რეპუტაციაზე დადებითად მოქმედებდა, რადგან თითოეული ბრძოლა ოსტატობა-სიმამაცის გამოვლენის შანსი იყო და გამოცდილ მებრძოლთა შორის თუ საზოგადოდ, ტომში მის სტატუსს ამაღლებდა.

ბრძოლაში გამარჯვება ინდიელი მეომრებისთვის მრავალმხრივ დატვირთვას ატარებდა, რაზეც ტომთა ტრადიციული საბრძოლო ხელოვნების მრავალი წეს-ჩვეულება მეტყველებს და მათ შორის უდავოდ ყველაზე საინტერესო სკალპის მოხსნის ტრადიცია ჩანს.

საზოგადოდ, ინდიელი მეომარი მრავალი ნიშნითაა დასამახსოვრებელი, მაგრამ დღეს საზოგადოების წარმოდგენაში ამერიკის ინდიელი მეომრები ყველაზე მეტად მაინც სკალპის მოხსნასთან ასოცირდებიან.

სკალპის მოხსნის ტრადიციას ამერიკელ ინდიელ ტომთა შორის ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები მოწმობს, რომ ეს ტრადიცია ჩრდილოეთ ამერიკის მკვიდრ მოსახლეთა შორის ჯერ კიდევ ევროპული კოლონიზაციის დაწყებამდე იყო გავრცელებული.

სკალპირება ინდიელი მეომრების საბრძოლო ტრადიციების კომპლექსის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი იყო და გამარჯვებული მეომრის მიერ დამარცხებული (მოკლული ან დატყვევებული) მოწინააღმდეგის თავის ზედაპირიდან ბასრი იარაღით კანის ნაწილის თმასთან ერთად მოჭრას გულისხმობდა.

სკალპის კლასიკურ ნიმუშს ადამიანის თავის კენწეროდან თმასთან ერთად ამოჭრილი კანის ნაწილი წარმოადგენდა. თუმცა ცნობილია სკალპირების სხვა ფორმებიც.

მიუხედავად იმისა, რომ სკალპირებას ინდიელ მეომართა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, იგი არ იყო საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენა მთელ ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა სამყაროში.

XVI-XVII საუკუნეებისთვის, ევროპელებთან პირველი კონტაქტის პერიოდში, ჩრდილოეთ ამერიკაში სკალპირების ტრადიცია მხოლოდ ცალკეულ ტომთა შორის იყო გავრცელებული. ესენი იყვნენ: კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები კრიკების ტომი, ფლორიდის ინდიელები, ასევე დიდი ტბების რაიონში მოსახლე იროკეზებისა და მათი მეზობელი ტომები. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში კონტინენტის დანარჩენ ნაწილში მოსახლე ტომები სკალპის მოხსნის ტრადიციას არ მისდევდნენ.

სკალპების მოხსნამ ინდიელთა შორის ეტაპობრივი და საყოველთაო გავრცელება მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის ევროპული კოლონიზაციის დაწყების შემდეგ პოვა. ამ პროცესს რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი:

პირველი — ევროპელთა მიერ კონტინენტზე ჩამოტანილმა ლითონის ცოვმა იარაღმა და განსაკუთრებით დანებმა ინდიელებს სკალპის მოხსნის პროცესი გაუადვილა. ევროპული დანები კი საკმაოდ ბასრი იყო.

მეორე — ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც იყო კოლონიზატორთა მიზანმიმართული პოლიტიკა, რომლის მიზანიც ინდიელთა შორის სკალპირების ტრადიციის გავრცელების ხელშეწყობა იყო. XVII-XVIII საუკუნეებში კონტინენტზე ტერიტორიული გაფართოებისთვის ბრძოლაში ინგლისელი და ფრანგი კოლონისტები საკუთარ ინდიელ მოკავშირეებს მოწინააღმდეგის ჯარისკაცებისა თუ მეომრების სკალპებისთვის ფულად ჯილდოს უწესებდნენ.

ევროპულმა ფაქტორმა სკალპირების ტრადიციის უკიდურესი დეგრადაცია განაპირობა. კოლონიური ხელისუფლება საკუთარ ახალმოსახლეებს მოკლული ინდიელების სკალპებისთვის ფულს უხდიდა. მაგალითად, პენსილვანიის კოლონიის გუბერნატორს სკალპებისთვის გასაცემი ხელფასის ტარიფებიც კი ჰქონდა დაწესებული იმის მიხედვით, თუ რა ასაკის ინდიელი იქნებოდა მოკლული. ამ ფულადი ჯილდო გაიცემოდა 12 წლის ზემოთ მოკლული ინდიელი კაცისა და ასევე ქალის სკალპებისთვის.

შემოსავლის მიღების მიზნით ინდიელი ქალებისა და ბავშვების მოკვლა და სკალპირება გავრცელებულ მოვლენად იქცა, რასაც შურისძიებით გამხეცებული ინდიელები თეთრკანიანი ქალებისა თუ ბავშვების სკალპების მოხსნით პასუხობდნენ.

ინდიელთა სკალპებისთვის ფულადი ჯილდოს დაწესება აშშ-ში აქტუალური XIX საუკუნეშიც რჩებოდა.

დასავლეთისკენ ტერიტორიული გაფართოებისა და ინდიელებთან ომე

ბის ეპოქაში ადგილობრივი ხელისუფლება ინდიელის სკალპებისთვის ხშირად ფულად კომპენსაციას აწესებდა.

სამხრეთ-დასავლეთში აშშ-ისა და აპაჩების კონფლიქტის დაწყებაც სწორედ სკალპების საკითხმა განაპირობა. 1836 წელს მექსიკის სონორას გუბერნატორის მიერ აპაჩი ინდიელების სკალპებისთვის დაწესებული გასამრჯელოს მისაღებად ამერიკელმა სკალპებზე მონადირეებმა ინდიელები სასტიკად დაარბიეს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში არიზონაში აპაჩის ტომის ინდიელის სკალპი 250 დოლარი ღირდა.

საუკუნეში სკალპირების ტრადიცია აშშ-ის დასავლეთის ინდიელ ტომთა შორისაც გავრცელდა, თუმცა, ამ მოვლენისადმი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარი იყო. მაგალითად, კომანჩების ტომში სკალპის მოხსნა მეომარს განსაკუთრებულ პატივს არ მატებდა. ტომში ფიქრობდნენ, რომ უკვე გარდაცვლილი ადამიანისთვის სკალპის მოხსნა ნებისმიერ მეომარს შეეძლო.

თუ სკალპირება განსაკუთრებით სარისკო სიტუაციაში ხდებოდა, მაშინ მას დიდად აფასებდნენ. ასე რომ, კომანჩებში სკალპირებას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

ასინიბოინებთან მტრის სკალპირება ღირსეულ საქმედ ითვლებოდა, მაგრამ საკუთრივ სკალპი ნაკლებად ფასობდა.

კროუს ტომის ინდიელები სკალპის მოხსნის ტრადიციას მოხსენიების ღირსადაც კი არ თვლიდნენ.

კროუს ტომის ინდიელები სკალპებს იშვიათად ხსნიდნენ, ხოლო ოტოს ტომის ინდიელებში მოკლულის სკალპირების უფლება იმ მეომარს ჰქონდა, ვინც მოწინააღმდეგე უშუალოდ დასცა.

დასავლეთის სხვა ტომებში მოკლული მტრის სკალპირების უფლება მეტწილად ნებისმიერ მეომარს ჰქონდა.

შაიენების ტომში კი მეომრისთვის ყველაზე ღირსეულ ქმედებად ითვლებოდა სკალპის მოხსნა ცოცხალი მოწინააღმდეგისთვის.

როგორც ჩანს, სკალპი დასავლეთის ტომების მეომართა შორის მაინც ნაკლებმნიშვნელოვანი საბრძოლო ჯილდო იყო. აშშ-ის დასავლეთის ტომთა შორის სკალპი მეომრისთვის უფრო მეტად მტერზე გამარჯვების სიმბოლოს წარმოადგენდა. ის იყო ერთგვარი დეკორაციული დეტალი, რომელიც მეომრის სიმამაცეზე მიუთითებდა, ანუ მას წმინდა ვიზუალური ეფექტის მოხდენის დატვირთვა ჰქონდა. მეომრები სკალპებს ტანისამოსზე ან თმაზე იმაგრებდნენ. სკალპი გამოსაჩენი და თვალში მოსახვედრი უნდა ყოფილიყო, ამიტომაც საზეიმო ტანსაცმელზე მას დამატებით დეკორაციულ დეტალებსაც უკეთებდნენ. ბელადები და დაწინაურებული მეომრები სკალპებს საკუთარ კარვებზეც ამაგრებდნენ.

სკალპს ღრმა შინაარსობრივი და სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და მრავალ ტომში მას სხვადასხვა კალენდარულ და საზოგადოებრივ-რელიგიურ რიტუალებში მოიხმარდნენ. სკალპები ასევე გამოიყენებოდა სამედიცინო პრაქტიკაში ავადმყოფთა სამკურნალოდ.

ინდიელთა შორის სკალპის მოხსნას თავდაპირველად რელიგიური დატვირ-


ბრძოლაში გამარჯვებული ინდიელი სკალპის აღებას ზეიმობს



ამერიკულ გაზეთ Harper's Weekly-ში დაბეჭდილი ინდიელთა ცეკვა სკალპებით (1874 წელი).

თვა ჰქონდა. მაგალითად, იროკეზების, შაიენებისა და არაპახოს ტომის ინდიელებისთვის ადამიანის თმა წარმოადგენდა სულის სამყოფელს, ხოლო ვინც სკალპის სახით სხვის თმას მიისაკუთრებდა, მის სასიცოცხლო ძალასაც ეპატრონებოდა.

ბრძოლაში გამარჯვებული მეომრების რიტუალური ცეკვა ხშირად „სკალპების ცეკვადაც" იწოდებოდა.

ტომთა შორის არსებობდა სკალპის მოხსნის, რიტუალური გამოყენებისა და შენახვასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ტრადიციები. XVIII საუკუნეში ჩრდილოეთ ამერიკის ალმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებ ტომთა შორის ევროპული ფაქტორის ზემოქმედების შედეგად სკალპების რელიგიური დატვირთვა დავიწყებას მიეცა და ეს ტრადიცია ფულის მიღების მიზნით ჩადენილ სასტიკ მკვლელობებში გადაიზარდა.

არსებობს მოსაზრება, რომ აშშ-ის დასავლეთით მცხოვრები ტომების მეომრები სკალპის მოხსნას არ განიხილავდნენ რელიგიურ კონტექსტში. ამ მოსაზრების თანახმად, დასავლეთის ტომებში სკალპი მტრის მოკვლის დამადასტურებელ ნიშნად ითვლებოდა.

***მიხეილ ბარნოვი***





# ატომური ჭურვები არტილერიისთვის

## 60 წლის წინ ატომური ჭურვი პირველად გაისროლეს, რამაც ატომურ არტილერიას დაუდო სათავე

ატომური იარაღის გამოყენების შემდეგ მსოფლიო ისტორია კარდინალურად შეიცვალა, რადგან დაპირისპირებულ მხარეებს გაუჩნდათ ძლიერი შემაკავებელი ფაქტორი, — საპასუხო ატომური დარტყმის საშიშროება.

პირველი ატომური, ხოლო შემდგომ კი ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობები რამდენიმე ტონას იწონიდა და მათი წაღება მხოლოდ სტრატეგიული დანიშნულების მძიმე ბომბდამშენებს თუ შეეძლო. შემდგომში ატომური ასაფეთქებელი მოწყობილობების გაბარიტებისა და მასის თანდათან შემცირების შედეგად გაჩნდა საშუალება, რომ ატომური საავიაციო ბომბები საფრონტო ბომბდამშენებს და თვით გამანადგურებელ-ბომბდამშენებსაც კი წაეღოთ. ბირთვული ქობინების მასისა და ზომების მინიმალიზაციის შედეგად კონსტრუქტორებმა ეს უდიდესი სიმძლავრის იარაღი სტრატეგიული, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური დანიშნულების ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტების ქობინებშიც განათავსეს.

პარალელურად გამოჩნდა ბირთვულქობინიანი ტორპედოები, რომლებითაც წყალქვეშა ნავები იყვნენ შეიარაღებული. სრუტეების დასაცავად და ჩასაკე-



ამერიკული ნახევრად სტაციონარული ქვემეხი T-131, რომელმაც მსოფლიოში პირველი ატომური ჭურვი გაისროლა. ქვემეხის მასა საბრძოლო მდგომარეობაში 42,6 ტ-ს აღწევდა, ჩაბმული ორი გამწევით კი მასა 75,5 ტ-მდე ადიოდა. მისი გადაადგილება მხოლოდ ასფალტირებულ გზაზე შეიძლებოდა. ეს ქვემეხი პენტაგონმა ევროპაში გადაისროლა, სადაც ის 1963 წლამდე იყო შეიარაღებაში იმ შემთხვევისათვის, თუკი საბჭოთა ტანკები აღმოსავლეთ ევროპიდან ლა-მანშისკენ დაიძვრებოდნენ. ქვემეხი ისროდა 15 კტ ტროტილის სიმძლავრის 280 მმ კალიბრის ატომურ საარტილერიო ჭურვს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



**საბჭოთა 406 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი CM-54 64 ტ-მდე იწონიდა და 570 კგ მასის ატომური ჭურვი „კონდენსატორი“ მაქსიმალურ 25,6 კმ მანძილზე უნდა გაესროლა. სულ 4 ასეთი ქვემეხი დამზადდა**

ტად გათვალისწინებული იყო ატომური წყალქვეშა ნაღმების გამოყენებაც.

თითქმის ანალოგიური დანიშნულება ჰქონდა სახმელეთო-ინჟინრულ ატომურ ნაღმებსაც, რომელთა აფეთქებასაც ხეობა უნდა ჩაეკეტა, რათა შეეფერხებინა შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის წინსვლა.

ატომური და ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობების დახვეწისა და მინიატურიზაციის შედეგად გაჩნდა საშუალება, რომ მოწინააღმდეგისთვის „პატარა ჰიროსიმა“ უკვე პოლკისა და თვით ბატალიონის მეთაურსაც მოეწყო ისე, რომ ამისთვის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებისა თუ საფრონტო ბომბდამშენების დახმარება არ დასჭირვებოდა, — ამისთვის მას მხოლოდ ერთი საარტილერიო გასროლა დასჭირდებოდა.

1945 წელს ნევადის პოლიგონზე პირველი საცდელი ატომური აფეთქებიდან სულ რაღაც 8 წლის შემდეგ, 1953 წლის 25 მაისს, ნევადაში ძალზე მნიშვნელოვანი რამ მოხდა, — ამერიკულმა ნახევრად სტაციონარულმა T-131 ტიპის ქვემეხმა 280 მმ კალიბრის ჭურვი გაისროლა და 25 წმ-ის შემდეგ პოლიგონი მკვეთრმა გაელვებამ გაანათა, — პირველად მსოფლიო ისტორიაში გაისროლეს და ააფეთქეს ატომური საარტილერიო ჭურვი.

რა აზრი ჰქონდა ატომური ჭურვებისა და არტილერიის შექმნას, როდესაც უკვე არსებობდა ატომური იარაღის გადამტანი ბომბდამშენები და ბალისტიკური რაკეტები?

ატომური არტილერიის დაბადება დაკავშირებული იყო იმ დროისთვის პოპულარულ სამხედრო დოქტრინასთან — „შეზღუდული ბირთვული ომი“. დოქტრინის შემქმნელებს, როგორც აშშ-ში, ისე საბჭოთა კავშირში, იმედი ჰქონდათ, რომ მცირე სიმძლავრის ბირთვული აფეთქებებით დიდ უპირატესობას მოიპოვებდნენ „მცირე ომებში“ მესამე ქვეყნების ტერიტორიებზე.

მართლაც, სამხედრო სტრატეგებს ძალზე მიმზიდველად ეჩვენებოდათ რომელიმე სახმელეთო ოპერაციის დროს ფრონტის ხაზიდან მოწინააღმდეგის ზურგში 5-25 კმ სიღრმეში მცირე სიმძლავრის ატომური აფეთქებები საარტილერიო დანადგარებიდან გაშვებული ატომური 1-15 კტ ტროტილის სიმძლავრის ატომური ჭურვებით.

საბჭოთა კავშირი აშშ-ის ატომური არტილერიის შექმნაში მხოლოდ სამი წლით თუ ჩამორჩა. 1956 წელს საბჭოთა კავშირში გამოცადეს 406 მმ კალიბრის ატომური ჭურვი „კონდენსატორი“, ხოლო ერთი წლის შემდეგ კი 420 მმ კალიბრის ნაღმსატყორცნის ატომური ნაღმი „ტრანსფორმატორი“. თუმცა, არც ერთი შეიარაღებაში არ მიუღიათ, რადგან მათთვის განკუთვნილ საარტილერიო სისტემებს — 406 მმ-იან თვითმავალ ქვემეხს CM-54-სა და 420 მმ-იან თვითმავალ ნაღმსატყორცნ 2Б1 „ოკას“, სერიოზული ტექნიკური ხარვეზები ჰქონდა, რაც მათ საბრძოლო

**55,3-ტონიანი თვითმავალი ნაღმსატყორცნი 2Б1 „ოკა“ 420 მმ კალიბრის 670 კგ მასის ატომურ ნაღმს მაქსიმალურ 25 კმ-ზე ისროდა (აქტიურ-რეაქტიულ ნაღმს 50 კმ-ზე). სულ 4 ასეთი საარტილერიო დანადგარი გამოუშვეს**



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებას შეუძლებელს ხდიდა, — მათ სიმძიმეს ხიდები ვერ უძლებდნენ.

მიუხედავად ამისა, მაშინ კრემლმა ატომური არტილერიის პირველი ნიმუშები დასავლეთის დასაშინებლად, დეზინფორმაციისთვის გამოიყენა, როდესაც სამხედრო აღლუმზე წითელ მოედანზე ჩაატარა.

ძნელი სათქმელია, ჩაყლაპეს თუ არა საბჭოთა „ატომური სატყუარა“ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერლებმა, მაგრამ პირველი მოქმედი ატომური საარტილერიო სისტემა საბჭოთა კავშირმა შეიარაღებაში მხოლოდ 1965 წელს მიიღო.

ამ დროისთვის აშშ-ის არმიის არსენალში უკვე ირიცხებოდა რამდენიმე კალიბრის ატომური ჭურვები, რომელთა საბრძოლო გამოყენება ბევრად მოხერხებული იყო, ვიდრე ატომური არტილერიის პიონერის, ბუმბერაზი T-131 ტიპის ნახევრად სტაციონარული ქვემეხისა. ჯერ კიდევ 1957 წელს ამერიკელები შეიარაღებაში იღებენ 2 კტ ტროტილის ეკვივალენტი სიმძლავრის 203 მმ კალიბრის ატომურ ჭურვს, რომლის გასროლა სტანდარტულ თვითმავალ ჰაუბიცას M-110-ს შეეძლო.

1963 წელს პენტაგონის შეიარაღებაში კიდევ უფრო მინიატიურული ატომური საარტილერიო იარაღი ჩნდება, — 155 მმ კალიბრის ჭურვი, რომლის სიმძლავრე მხოლოდ 0,08 კტ-ს უტოლდებოდა და არა უმეტეს 58 კგ-ს იწონიდა. ეს უკვე მართლაც მასიური ატომური საარტილერიო ჭურვი გახლდათ, რომლის გასროლა NATO-ს სტანდარტის 155 მმ კალიბრის ყველა ქვემეხს შეეძლო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საბჭოთა კავშირმა საბრძოლო მოქმედებებისთვის გამოსადეგი ატომური არტილერიის სისტემების შეიარაღებაში მიღება მხოლოდ 1965 წლიდან დაიწყო.

საბჭოთა საარტილერიო პოლკებში ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდა 240 მმ კალიბრის ნაღმსატყორცნებისთვის (მათ შორის თვითმავალი „ტიულპანისთვის“) განკუთვნილი ატომური ნაღმები 9,5 კმ სიშორეზე სროლის მანძილით, ასევე 203 მმ-იანი ატომური ჭურვები (განკუთვნილი თვითმავალი საარტილერიო დანადგარებისთვის „პიონი“) და ყველაზე მინიატიურული 152 მმ-იანი ბირთვული ჭურვები, რომელთა გასროლა 17,4 კმ-მდე მანძილზე თვითმავალ „აკაციებსაც“ შეეძლო.

1989 წლამდე საქართველოში, კერძოდ, ვაზიანის მიდამოებში, სპეციალურ



პენტაგონის ოცნება — 2 კმ-ში მფრენი ბირთვულქობინიანი რაკეტა

მიწისქვეშა საცავში, სავარაუდოდ, ინახებოდა 152 და 203 მმ კალიბრის ატომური ჭურვებიც, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში საარტილერიო პოლკებს მიეწოდებოდა.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს ქართული არმიის მიერ გამოყენებული სხვადასხვა კლასისა და ტიპის საარტილერიო სისტემებიდან „პიონებსა“ და „აკაციებს“ თეორიულადაც და პრაქტიკულადაც შეეძლოთ 203 მმ კალიბრის 3БВ2-ისა და 152 მმ კალიბრის 3БВ3 ტიპის ბირთვული საარტილერიო ჭურვების გასროლა.

თუმცა, ცოტა საეჭვოა, რომ ასეთი ატომური ჭურვები თვით რუსეთის შეიარაღებაშიც დიდი რაოდენობით იყოს დარჩენილი, რადგან მათი შენახვის ვადა არ იყო დიდი და ისინი განსაკუთრებულ მოვლას (ერთნაირი ტემპერატურის, წნევისა და ტენიანობის დაცვას) საჭიროებდნენ.

ატომური ჭურვი გასროლისას ლულაში ძალიან დიდ გადატვირთვას განიცდის, რაც ართულებს მის კონსტრუირებას. ბევრად მარტივია ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების აღჭურვა ბირთვული ქობინებით. ასეც მოხდა და ატომურ არტილერიაზე უფრო პრაქტიკულად სარაკეტო ტექნიკა იქნა მიჩნეული.

პენტაგონი უფრო შორს წავიდა და ბირთვული ქობინის დაყენება, არც მეტი, არც ნაკლები, თითქმის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნის რეაქტიულ ჭურვზე სცადა.

ამერიკელმა გენერლებმა ბირთვული იარაღის გადამტანად ჩვეულებრივი საარმიო ჯიპიც კი გაამწესეს, რომელზეც უკუგორებადი 120 და 155 მმ კალიბრის ლულები დაამონტაჟეს. ლულაში წინიდან თავსდებოდა ზეკალიბრის უმართავი რაკეტა 0,01 კტ ტროტილის ეკვივალენტი სიმძლავრის ბირთვული ქობინით. რაკეტები სულ რაღაც 1-4 კმ-ში მიფრინავდა და იქ „მიკროჰიროსიმას“ აწყობდა. რა ბედი ეწეოდა თავად მსროლელს, როდესაც ორიოდ კმ-ში ბირთვული აფეთქების სოკო წამოიმართებოდა, უცნობია.

ამ მართლაც საშიშ და უაზრო „შეიარაღების შეჯიბრებაში“ მოსკოვი, რა თქმა უნდა, არ ჩამორჩა ვაშინგტონს და თავადაც დაიწყო ძალზე ახლო მანძილზე მოქმედი ატომური საარტილერიო სისტემების საცდელი ნიმუშების შექმნა. БТР-60ПА ტიპის ჯავშანტრანსპორტიორზე დააყენეს უმართავი რაკეტის გასაშვები მოწყობილობა, რომელიც მაქსიმალურ 68 კმ მანძილზე უშვებდა 150 კგ მასის ბირთვულქობინიან რაკეტას.

მეორე პროექტის თანახმად, T-64 ტიპის ტანკის კოშკურაში სამი ბირთვულქობინიანი რაკეტის გასაშვები მოწყობილობა დამონტაჟდა.

კიდევ ერთი პროექტი ანალოგიური ბირთვულქობინიანი სარაკეტო გასაშვები მოწყობილობის დაყენებას ქვეითთა საბრძოლო მანქანაზე БМП-1-ზე ითვალისწინებდა.

საბედნიეროდ, ეს პროექტები, რომლებიც ბირთვული იარაღით პოლკებისა და ბატალიონების შეიარაღებას ითვალისწინებდა, არც აშშ-ში და არც ყოფილ საბჭოთა კავშირში არ განხორციელდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა ბირთვული ინციდენტების ალბათობა, რადგან ასე გაბნეული ბირთვული იარაღის სათანადოდ შენახვა და დაცვა (მით უმეტეს, საბჭოთა კავშირის დაშლის დროს) ძალზე გაჭირდებოდა.

***ირაკლი ალადაშვილი***

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გაზრდილკალიბრიანი და მოდერნიზებული „ნეგევი“

## ისრაელი NEGEV-ის კალიბრს ზრდის და მისი „სნაიპერულ ტყვიამფრქვევად“ გადაქცევა სურს..

ხელის ტყვიამფრქვევი „ნეგევი“ საქართველოს შეიარაღებული ძალების მებრძოლებისთვის უცხო ხილი არ გახლავთ, რადგან ის ქართული არმიის საიარაღო ოთახებში ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე გამოჩნდა, თუმცა რამდენიმედღიან ბრძოლებში თითქმის არ გამოუყენებიათ. სამაგიეროდ, გორისა და სენაკის სამხედრო ბაზებიდან ალაფად რუსებმა ასობით „კალაშნიკოვსა“ და M4-თან ერთად ათობით „ნეგევიც“ გაზიდეს.

ისრაელის საიარაღო ფირმა IMI-ს წარმოებული 5,56 მმ კალიბრის Negev-ის ტიპის ხელის ტყვიამფრქვევები ქართულ არმიაში დიდი მოწონებით არ სარგებლობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ვისთანაც უსაუბრია ამ სტატიის ავტორს, უმრავლესობას ასეთი მოსაზრება აქვს. ერთ-ერთი ყოფილი ბრიგადის მეთაური (რომელმაც შემდგომ მცირე ხნით სამხედრო კარიერის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია) მას „ნეგევის“ ნაცვლად, აგდებულად „ნაგავსაც“ კი უწოდებდა.

თავის დროზე, „არსენალმა“, როდესაც „ნეგევები“ ახალი შემოტანილი იყო ისრაელიდან, ასეთი ტყვიამფრქვევი თბილისში, ერთ-ერთ სპეცდანიშ-

**ჩვენი დოსიე:** ებრაული საიარალო ფირმა IMI-ს მიერ მოდერნიზებული 7,62 მმ კალიბრის ხელის ტყვიამფრქვევი — NEGEV NG7-ი 7,6 კგ-ს იწონის. მისი საერთო სიგრძე ერთი მ-ია (დაკეცილი კონდახით 82 სმ), საიდანაც ლულაზე 508 მმ მოდის („კომანდოს“ ვარიანტის ტყვიამფრქვევის ლულის სიგრძე 420 მმ-მდეა შემცირებული). სროლის ტემპი 850-1150 გასროლა/წთ-ში მერყეობს და დამოკიდებულია აირრეგულატორის დაყენებაზე. ტყვიამფრქვევიდან ერთჯერადად გასროლაც შეიძლება.



NEGEV NG7

ეროვნული ბიბლიოთეკა


ამერიკული ერთიანი ტყვიამფრქვევი M60

ნულების დანაყოფების სასროლეთზე გამოცადა. მაშინ რაიმე დიდი ნაკლი „ნეგევისთვის" არ შეგვიმჩნევია, თუმცა ერთია, რამდენიმე ათეული ტყვიის გასროლა კომფორტულ პირობებში სასროლეთზე და მეორე — იარაღის გამოყენება მრავალკილომეტრიანი მარშნახტომების ან სულაც საბრძოლო მოქმედებების დროს ავღანეთში. ასე რომ, იმ მეტყვიამფრქვევეებს, რომლებიც „ნეგევებს" მუდმივად იყენებენ, უფრო დაეჯერებათ.

არ ვიცით, „ცახალის" მებრძოლებიც გამოთქვამდნენ თუ არა შენიშვნებს „ნეგევების" მიმართ, მაგრამ ფაქტია, რომ მისმა მწარმოებელმა ფირმამ 2012 წელს „ნეგევის" მოდერნიზებული ვარიანტი Negev NG7 წარმოადგინა.

ფორმით ის ჰგავს ძველ „ნეგევს" (კონდახის კონსტრუქციის გარდა), თუმცა მთავარი განსხვავება მათ კალიბრშია. თუკი „ნეგევის" პირველი ვარიანტი (რომელიც, სხვათა შორის ისრაელისა და საქართველოს გარდა, მსოფლიოს კიდევ შვიდი ქვეყნის შეიარაღებაშია, მათ შორის — აზერბაიჯანისა და ესტონეთის) გათვლილი იყო NATO-ს სტანდარტის 5,56X45 მმ კალიბრის ვაზნაზე, ახალი Negev NG7-ის კალიბრი 7,62 მმ-მდე გაიზარდა და მისთვის 7,62X51 მმ NATO-ს ტიპის ვაზნები გამოიყენება.

ერთი შეხედვით, 5,56 მმ კალიბრის ვაზნები ძალიან მოსახერხებელი გახლდათ მებრძოლებისთვის (როგორც ისრაელის, ისე ქართული არმიისთვის), რადგან ამ კალიბრის ვაზნების გამოყენება შეიძლება როგორც „ნეგევში", ისე ამერიკულ ავტომატურ კარაბინ M4-ებში, რომლებიც საქართველოსა და ისრაელშიც ძირითადი საშტატო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღია („ცახალში" M4-ების გარდა, ამავე კალიბრზე გათვლილი „გალილები" და „ტავორებიც" აქვთ). მებრძოლებს შეეძლოთ ერთმანეთისთვის მიეცათ ვაზნები, რასაც ბრძოლაში ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.


ბელგიური ხელის ტყვიამფრქვევი Minimi Para



საბჭოთა РПК-74-ი ყველაზე სუსტი გამოდგა ხელის ტყვიამფრქვევებს შორის, რადგან ლულა არ ეცვლებოდა

თუმცა, ახალი „ნეგევისთვის“ კალიბრის შეცვლა შემთხვევით არ მომხდარა. მსოფლიო საიარაღო სამყაროში შეინიშნება უკუტენდენცია, როდესაც ძირითადი საბრძოლო შეიარაღების კალიბრი ისევ ძველ 7,62 მმ-ს უბრუნდება, რომელიც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში NATO-ს ქვეყნებში 5,56, ხოლო ვარშავის პაქტის სახელმწიფოებში კი 5,45 მმ კალიბრის ვაზნებმა ჩაანაცვლეს. ამასთან, ახალი „ნეგევი“ არა შუალედური, არამედ შაშხანის 7,62X51 მმ კალიბრის ვაზნებზე გადადის, რის გამოც მისი შედარება უკვე შეიძლება მსოფლიოში ძალიან პოპულარული საბჭოთა ПКМ ტიპის ტყვიამფრქვევთან, რომელიც 7,62x54R ტიპის მძლავრი ვაზნების გამოყენებაზეა გათვლილი.

5,56 მმ კალიბრიანი ძველი „ნეგევები“ ბელგიური „მინი-მიმისა“ თუ საბჭოთა РПК-ის ხელის ტყვიამფრქვევების კლასში გადიოდა. ახალი „ნეგევებისთვის“ კალიბრის 7,62 მმ-მდე გაზრდის მიუხედავად, თავისი გაბარიტებითა და მასით იგი მაინც რჩება ხელის ტყვიამფრქვევების კლასში, თუმცა საცეცხლე შესაძლებლობებით გაუსწორდა ერთიან ტყვიამფრქვევებს, საბჭოთა ПКМ-სა და ამერიკულ M60-ს.



საბჭოთა ერთიანი ტყვიამფრქვევი ПКМ

თუ რამდენად გაძლიერდა საცეცხლე ძალა კალიბრის გაზრდის შემდეგ, მკითხველს შეუძლია თავად შეადაროს; 5,56X45 მმ NATO-ს ტიპის ვაზნის შემთხვევაში, 500 მმ სიგრძის ლულიდან გასროლისას 4,15 გ მასის 5,56 მმ კალიბრის ტყვიის საწყისი სიჩქარე — 930 მ/წმ, ხოლო საწყისი ენერგია კი 1790 ჯოული იყო.

იმავე ლულიდან 7,62X51 მმ NATO ტიპის ვაზნის 9,5 გ მასის 7,62 მმ კალიბრის ტყვიის საწყისი სიჩქარე 850 მ/წმ-ია, ხოლო საწყისი ენერგია კი 3380 ჯოული.

კალიბრის გაზრდის გარდა, კონსტრუქტორებმა ახალ „ნეგევს“ დამატებითი ფუნქცია შესძინეს, — მას ერთჯერადი სროლაც შეუძლია. ერთი შეხედვით, ეს ალოგიკურია, — ტყვიამფრქვევს, რომელიც მასირებული ცეცხლის საწარმოებლად არის გამოყენებული, რაში სჭირდება შაშხანასავით თითო-თითო გასროლა? ამის პასუხია მოდერნიზებული „ნეგევის“ თავზე მძლავრი ოპტიკური სამიზნის დაყენება, რითაც კონსტრუქტორებს სურთ ის „სნაიპერულ ტყვიამფრქვევად“ გადააქციონ, რომლის საშუალებითაც მსროლელმა მოწინააღმდეგის თითოეული ჯარისკაცის მიზანში ზუსტი ამოღება და დაზიანება უნდა შეძლოს.

მაგრამ ამისთვის არსებობენ სნაიპერების სპეციალური შაშხანები, ამიტომაც ცოტა საეჭვოა, რამდენად გაამართლებს „სნაიპერული ტყვიამფრქვევის“ იდეა. მოწონებას იმსახურებს მოდერნიზებული „ნეგევის“ ახალი მოხერხებული კონდახი. ძველ „ნეგევს“ „გალილის“ ავტომატიდან გადმოტანილი ლითონის სამკუთხა კონდახი ჰქონდა, რომელიც გვერდით იკეცებოდა. ახალ ტყვიამფრქვევს კი ავტომატური კარაბინის M4-ის მაგვარი ტელესკოპურად დასაკეცი კონდახი აქვს, რომელიც ამასთანავე მარცხნივ, გვერდითაც იკეცება, რაც უფრო კომპაქტურს ხდის მას, — თუკი Negev NG7-ის სიგრძე 1000 მმ-ია, კონდახის მარცხნივ მოკეცვის შემდეგ ეს მაჩვენებელი 820 მმ-მდე მცირდება (M4-ებში ტელესკოპურად დასაკეცი კონდახის გვერდზე მოკეცვა ტექნიკურად შეუძლებელია, რადგან კონდახის შიგნით უკან დამაბრუნებელი ზამბარაა განთავსებული).

არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ძველ „ნეგევში“ვაზნების მიწოდების სისტემაზე. კონსტრუქტორებმა უნივერსალურობის მისაღწევად ეს ტყვიამფრქვევი ორგვარად დატენვის საშუალებით აღჭურვეს, — „ნეგევზე“ შეიძლებოდა როგორც ავტომატის მჭიდის დაყენება, ისე ვაზნებიანი ლენტის მოთავსება სპეციალურ ქსოვილის ყუთში, რომელსაც ტყვიამფრქვევის ქვეშ კიდებდნენ. ამ უნივერსალურობის აზრი ის იყო, რომ თუკი მეტყვიამფრქვევეს ვაზნებიანი ლენტები გაუთავდებოდა, მას შეეძლო „გალილიანი“ თანამებრძოლის მჭიდები მოერგო „ნეგევისთვის“. თუმცა „ცახალის“ მებრძოლებში „ნეგევის“ ამ უნივერსალურობამ დიდი პოპულარობა ვერ მოიპოვა, რადგან აირრეგულატორის ხშირად გადართვა იყო საჭირო, რისი დროც გაცხარებული ბრძოლისას ხშირად არ არის (საერთოდ, „ნეგევის“ აირრეგულატორს სამი მდგომარეობა აქვს, რომლის გადართვა ხელით ხდება. პირველი მდგომარეობა გათვლილია იმ შემთხვევისათვის, თუკი სროლა ავტომატის მჭიდის გამოყენებით ხდება, მეორე და მესამე პოზიციაზე აირრეგულატორს ვაზნებიანი ლენტების გამოყენების შემთხვევაში აყენებენ, გააჩნია, დაბალი თუ მაღალი სროლის ტემპი სურთ).

7,62 მმ-იან „ნეგევის“ ავტომატს მჭიდს აღარ უყენებენ, ვაზნებიანი ლენტი კი ტყვიამფრქვევს მარცხნიდან მარჯვნივ მიეწოდება. ტყვიამფრქვევის ქვეშ კიდებენ მსუბუქ კონტეინერს, რომელშიც 100 ან 125-ვაზნიანი ლენტია მოთავსებული. „ჰამვიზე“ ან „იროკეზზე“ დაყენების შემთხვევაში, „ნეგევის“ ვაზნებით უზრუნველყოფა უფრო დიდი ტევადობის სავაზნე კოლოფებიდანაც შეიძლება.

ტყვიამფრქვევის ლულის ქვეშ დაყენებულია დასაკეცი სადგამები, ასევე წინა ხელის მოსაკიდი, რაც ძალზე მოხერხებულს ხდის სროლას ავტომატურ რეჟიმში, მათ შორის მიწაზე დაუფიქსირებლად, უშუალოდ ხელიდან.

„ნეგევზე“ დამაგრებულია „პიკატინის“ მიმმართველები, რომლებზეც ოპტიკური სამიზნისა და ღამის ხედვის მოწყობილობის მორგება შეიძლება.

მიუხედავად ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებებისა, არ არის გამორიცხული 7,62 მმ კალიბრის მოდერნიზებული Negev NG7-ები, ადრე თუ გვიან, ქართული არმიის შეიარაღებაშიც ვიხილოთ.

***ირაკლი ალადაშვილი***







Negev NG7-ი ტიპის ტყვიამფრქვევი ისვრის ღია საკეტის მდგომარეობაში. ლულის შეცვლა სწრაფად ხდება. ცეცხლის რეჟიმის გადამრთველი ბერკეტი განთავსებულია პისტოლეტის სახელურის მარცხენა ზედა ნაწილში, რაც ძალზე მოსახერხებელია მსროლელის მარჯვენა ხელის ცერა თითისთვის

ISSN 1987-5061

ი. 81/13

**არსენალი**



# NEGEV NG7